

æ œ ð ð œ

## ଓଡ଼ିଆ ଶ୍ରୀନାଥ

ଶ୍ରୀଲିପିବାଦି ମେଆତ୍ର

№ XII

१०८०८८०६०, १९०३

ଓফিসিয়েল

სტატუსი რეგ.ნომ. 700-მდე. ამინისტრის მიერ გვიშალა თუ არა მათ მიერ გვიშალა.

1909

Дозв. ценз. 10 января 1904 г., Тифлисъ.

I—ଶାନ୍ତିକାଳର ଦାଖିଲା—ଗୋପ ଏତେ ମହାତ୍ମାର ପରିଚୟ ଓ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ	1
II—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଜୀବନ ଓ ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ ଓ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ	7
III—ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିଚୟ—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଜୀବନ-ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ଓ ସାମାଜିକ ପରିଚୟ	44
IV—ବନ୍ଦିମାନଙ୍କ ପରିଚୟ—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ଓ ସାମାଜିକ ପରିଚୟ	69
V—ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ	1
VI—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିଚୟ—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ	19
VII—ବନ୍ଦିମାନଙ୍କ ପରିଚୟ—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ	45
VIII—ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ—ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପରିପାଦାନାମିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ	59

# შობის ღამეს

(გიუ-დე მოპასანისა)

„შობის ღამე, შობის ღამე! აჲ, არა, მე არასოდეს არ  
ვიდლესასწაულებ შობის ღამეს“.

ისეთის გაჯავრებულის ხმით ამბობდა ამას ანრი ტამპ-  
ლიე, რომ გეგონებოდათ, რაღაც სამარცხვინო საქმეზე იწვევ-  
ენო.

— გული რაზე მოგდის? — ჰკითხეს დანარჩენებმა სიცო-  
ლით.

— იმიტომ, რომ შობის ღამემ მე რო სირცხვილი მაჭამა,  
ჩემს დღეში არ დამავიწყდება და მას შემდეგ ეს გიუურ სიხა-  
რულის სულელური ღამე აუტანელ შიშა მგვრის ხოლმე.

— რა მოხდა ისეთი?

— რა? გნებავთ გაიგოთ? მაშ კარგი, ყური დამრგდეთ:  
გეხსომებათ, როგორ საშინლად სცივოდა ამ ორის წლის  
წინად ამ დროს; საწყალი ხალხი სიცივისაგან იხოცებოდა  
ქუჩაში. სენა გაიყინა. ქუჩაში წალის ძირი აღარ იფარავდა  
ფეხს სიცივისაგან. საღაც არის, ყველა გავიყინებითო, გეგონე-  
ბოდათ.

იმ დროს ერთი დიდი საქმე მოხდა და შუა მუშაობაში  
ვიყავ; ამიტომ შობის ღამის გასატარებლად ყოველ დაპატიუე-  
ბაზე უარს ვამბობდი; ვარჩიე შობის ღამე ჩემის მაგილის წინ  
გამეტარებინა. საღილი მარტოდ ვჭამე და საღილოთ უკან სა-  
ქმეს დავუბრუნდი. მაგრამ საღამოს, საათის ათზე, გამახსენდა  
პარიზის მხიარულება, ჩემს ოთახში ისმოდა ქუჩის ხმაუობა,  
ისმოდა, როგორ ემზადებოდნენ სავახშმოდ ჩემი მეზობლები,

ყველა ამან ამიყოლია. ალარ ვიცოდი, რას ვაკეთებდი; წერაში შეცდომები უემპარა; ერთას სიტყვით, მივხვდი, რომ ამ ღამეს იმედი უნდა გადამეწყვიტა, რომ კარგს რამეს გავაკეთებდი.

ცოტა ხანს ბოლთას ვსცემდი ჩემს ოთახში. შემდეგ დავჯექ, მერე ისევ ავდექ. უძველი იყო, რომ ჩემზე მოქმედებდა ქუჩის იდუმალი გავლენა და მეც გადავწყვიტებ;

დავუძახე მოსამსახურე ქალს და ვუთხარი: „ანჯელ, წადით და იყიდეთ რაც საჭიროა ორისთვის სავაჭშმოდ: ჭამანწკა, ცივი მწყერი, კიბო, ჟაშხი, პური. მოიტანეთ ორი ბოთლი ჟამპანური; გააწყეთ სუფრა და დაწექით.

ქალს გაუკვირდა, ცოტა არ იყოს, მაგრამ წავიდა ბძანების ასასრულებლად. როდესაც ყველაფერი მზად იყო, წამოვისხი მოსასხამი და ქუჩაში გავედი.

დიდი საკითხი მქონდა გადასაწყვეტი: ვისთან ერთად გამეტარებინა შობის ღამე. ყველა ჩემი მეგობარი ქალები სხვა და სხვა აღგილს იყვნენ მიპატიუებული. აღრევე უნდა გამოესულიყავ მათ საძებნელად, რომ ერთი მაინც მენახა. მაშინ აზრად მომივიდა, მოდი დროსაც გავატარებ და კეთილ საჭმესაც ვიქმ. პარიზი სავსეა ღარიბისა და მშვენიერის ქალი შვილებით, რომელთაც პურის ნამტვრევიც არ მოეძევებათ სახლში სავაჭშმოდ და რომელნიც დაეხეტებიან და დაეძებენ კეთილშობილს ყმაწვილ კაცს. მე მოვისურვე ერთ-ერთს ამისთანას ამ შობის ღამეს ციურ ანგელოზად მოვვლინებოდი. ამისათვის გადავწყვიტე გასართობ აღგილებში შესვლა, ძებნა, გამოკითხვა და მაინცა-და-მაინც ჩემს გემოზე არჩევა.

დავიწყე სირბილი ქალაქში.

მართლადაც, მრავალი საბრალო ქალი ვნახე, რომელიც შემთხვევას ეძებდა, მაგრამ ისინი მეტად ულამაზონი იყვნენ ანა და ისეთი გამხდრები, რომ ერთ წამსაც რომ შეჩერებულიყვნენ, გაიყინებოდნენ.

უნდა გამოვტყდე და ოქვენც იცით, — კარგა მოსუქებული ქალები მიყვარს. რაც უფრო ხორციანი ქალია, მეც ის

მირჩევნია და ახოვანი, ხორც შესხმული ქალი ხომ სრულებით მიბნევს გონს.

ერთბაშად ვარიეტეს თეატრის წინ თვალი მოვკარი ჩემის გემოს სახეს. მშვენიერი თავი, მაღალი გული, გასუქებულის ბატის მუცელით, ერთის სიტყვით, მშვენიერი რამ. ურუანტელ-მა დამიარა. აი მშვენიერი გოგო, — წავიბუტბუტე მე. ერთი-და დამრჩა გასასინჯი: სახე.

სახე—ტკბილია; დანარჩენი... დანარჩენი—შემწვარი. მო-ვუჩარე ფეხს, გავასწარ ამ ქალს და ერთ-ერთ ფარნის ქვეშ უცბად მოვტრიალდი.

საუცხოვო იყო, სრულებით ახალგაზდა, შავგვრემანი დიდ-რონის შავის თვალებით.

მე გამოვუცხადე ჩემი განზრახვა, რომელზედაც ხმა ამოუ-ლებლივ დასთანხმდა.

არ გაევლო საათის მეოთხედსაც, ჩვენ რომ ჩემს ოთახში მაგიდას მიეუსეხდით.

— ოჟ, რა კარგია აქა! — სთქვა მან, შემოდგა ოთახში ფეხი თუ არა, და ოთახს დაუწყო თვალით სინჯვა, თანაც სახეზე დიდი კმაყოფილება გამოეხატა, რომ ამ ყინვიან ღამეს საჭმელი და თავშესაფარი ნახა. საუცხოვო იყო, ისეთი ლამაზი, რომ გაკვირვებას მოვდიოდი, და მისმა ტანის სიმსუქნემ ხომ სამუდამოდ მოიგო ჩემი გული.

მოწხესნა მოსასხამი, მოიხადა თავსახური, დაჯდა და და-იწყო ჭამა, მაგრამ როგორლაც არ იყო მხიარული; დროგამო-შვებით მის ცოტაოდენ მკრთალ სახეს ქრთოლა ემჩნეოდა, თითქმ რაღაც უჩინარი სევდა სტანჯავდესო..

— ხომ არ გაწუხებს რამე-მექი, — ვკითხე მე.

— არაფერი, დავეხსნათ მაგას, — მიპასუხა მან და დაიწყო სშა: გამოსცალა სულის მოუთქმელად თავისი ჭიქა შამპანურისა, გაავსო ხელახლად და ისევ გამოსცალა.

ლვინომ წამოუწითლა ლოყები და ქალი გამხიარულდა, დაიწყო სიცილი.

მეც შეყვარებულსავით მოვხვიე ხელი და დავეწაფე მის ბაგეთ.

ახლა ჩემს წინ უბრალო და მოუხეშელი ქუჩის ქალი კი  
აღარ იყო. დავუწყე მის ცხოვრების ვითარების გამოკითხვა.

— რა საჭიროა ყველა ესენი, ჩემო კარგო! — მიპასუხა მან.  
ვაჭმე, ერთს სათს უკან...

ბოლოს მოვიდა დაწოლის დრო. მინამ მე მივდგი ბუხრის  
წინ გაშლილი სუფრა, ქალმა გაიხადა საჩქაროდ ტანთ და  
შესცურა საბანს ქვეშ.

ჩემ მეზობლებს ერთი ამბავი ჰქონდათ; ისმოდა მათი სიმ-  
ლერა და უშველებელი ხარხარი. „რა კარგად მოვიქეცი, რომ  
ეს მშვენიერი გოგო მოვნახე, — ვამბობდი მე გუნებაში, თორემ  
მეტი არ არის თქვენი მტერი, მე ამაღამ მუშაობას ვერ შევძ-  
ლებდი-მეთქი“.

ლრმად ამოკვნესის ხმამ უკან მიმახედვინა „რა დაგემართა,  
ჩემო კუტუნია“, ვკითხე მე. ქალი პასუხს არ იძლეოდა და  
ძალზე ჰკვნესოდა, თითქო საშინლად იტანჯებოდა.

— ცუდად ხომ არა კრძნობ შენს თავსა-მეთქი. — უცბად.  
დაიწივლა, დაიწივლა გულ გასაგმირად. მეც სანთლით ხელში  
მივაშურე.

ტკივილისაგან სახე მოშლილს სული უგუბდებოდა, ხელებს  
იმტკრევდა და ისე ყრუდ კვნესოდა, თითქო იხრჩობაო. მისი  
კვნესა გულს მიკლავდა.

— რა მოგივიდა, მითხარი, რა გემართება? — ვეკითხებოდი  
მე გონება-დაბნეული.

ქალმა პასუხი არ გამცა და ღმუილს მოჰყვა. ერთბაშად  
მეზობლებმა შესწყვიტეს სიცილი და ლაპარაკი და, ჰსჩანდა, ყურს  
უგდებენ იმას, რაც ჩემ ოთახში ხდებოდა.

— რას იტკივებ, მითხარ, რასა, — ვიმეორებდი მე ჩემსას.

— ოჯ, მუცელი, ჩემი მუცელი, — წაილულლულა მან. და-  
ვატანე ხელი საბანს და გადავაძრე...

მოლოგინებას აპირებდა თურმე, მეგობრებო.

ამის დანახვაზე მთლად დავიბენი; მივვარდი კედელს და  
რაც ძალა მქონდა, დავუშინე ხელი და „მიშველეთ, მიშველეთ—  
მექი“ — დავილრიალე.

კარი გაიღო და ჩემს ოთახში შემოუვინდა მთელი გროვა ხალხისა; ფრაკებში გამოწყობილი კაცები, ქალები გულ ამოჭრილ კაბებით, მასხარებად და თათრებად გამოწყობილები. ამ თავს დასხმამ ისე ამირია ჭკუა-გონება, რომ ლაპარაკსაც ვეღარ ვახერხებდი.

ეს ხალხი კი, გავდა, განსაკუთრებულ შემთხვევას, ან შეიძლება რამე ბოროტმოქმედების ნახვას ელოდა და ეხლა ვეღარა გაეგორა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე: „ეს... ეს... ეს ქალი მოლოგინებას აპირებს!“

მაშინ ყველამ მოინდომა მისი ნახვა, გამოთქვეს თავიანთი აზრი. ერთი კაპუცინი მეტადრე იკვეხნიდა, ამეებში ზოგი რამ მესმისო, და დაპირა ბუნებას დახმარებოდა.

ყველანი გადაკრულში იყვნენ და შემეშინდა, არ მოჰკლან ქალი მეთქი. უქუდოთ გავექანე კიბეზე ერთის მოხუცებულის ექიმის დასაძახებლად, რომელიც იქვე მეზობელ ქუჩაში იდგა.

ექიმი რომ მოვიყვანე, მთელი ჩემი სახლი ფეხზე დამხვდა; გაენათებინათ კიბე. ყველა სართულების მცხოვრებთ ეხლა ჩემს ოთახში მოეყარათ თავი. ოთხი ვიღაც კაცი მიმჯდარიყო სუფრასთან და ათავებულენენ ჩემს შამპანურსა და კიბოებს.

ჩემს დანახვაზე მთელმა ამ ხალხმა უშველებლად იღრიალა და ვიღაც მერძევემ მომართვა ხელსახოუში გამოხვეული დანაოჭებული, დაღმეჭილი, საშინელი პატარა ხორცის ნაჭერი, რომელიც წკმუტუნებდა და კნაოდა კატასავით. „ქალი გახლავს“, — მითხრა მან.

ექიმმა გასინჯა მშობიარე, გამოაცხადა, — საქმე ვერ არის კარგათ, რადგან ახალ ვახშამ ნაკამს მოუვიდა დაწოლაო, — დამპირდა, ახლავე გამოგიგზავნი მომვლელ ქალსა და ძიძასაო, და წავიდა.

ერთ საათს უკან მოვიდნენ ორივე, — ძიძაცა და მომვლელიც და თან მთელი ფუთა წამლები მოიტანეს.

ლამე სავარძელში გავატარე; ისე გონება დაკარგული ვაკავი, რომ აღარაფერი მაგონდებოდა.

დილით ხელმეორედ მოვიდა ექიმი. ავაღმყოფის მდგომარეობა სერიოზულად სცნო.

— თქვენი ცოლი, ჩემთა ბატონო... 3 — მითხრა მან.

— ჩემი ცოლი არ გახლავს ეგა... — გავაწყვეტინე სიტყვა

— თქვენი დიასახლისი, თუ გნებავთ... — განაგრძო მან და დამარიგა, თუ რა წამალი ან როგორი მოვლა ეჭირვებოდა ავაღმყოფს.

რა მექნა? გამეგზავნა საბრალო საავაღმყოფოში, გულქვას და ბოროტს დამიხახებდა მთელი სახლი, მთელი უბანი.

დავტოვე ჩემსა, ექვსი კვირა დაჭყო ჩემს ლოგინში. ბავშვი? ბავშვი გლეხებს მიეაბარე პუსსიში. ჯერაც ორმოცდაათ ფრანკად მიზის ყოველთვიურად. თავში რაკი გადვიხადე ერთხელ, აწი სხვა გზა აღარ არის, უნდა ვიხადო მთელ ჩემს სიცოცხლეს.

მოშავალში მამა მის მიწოდებენ.

ჭიგრამ რაც მომივიდა, იმას ვინდა სჩივის. — მორჩა თუ არა ქალი... აღინთო ჩემდამი სიყვარულით, მერე როგორის სიყვარულით ის არამზადა, ისა.

მერე?

მერე სახურავებზე მაწანწალა კატა რომგინახავთ, ისე გახდა. მეც გარედ გავაგდე ის ჩონჩხი. ეხლა მიდარაჯებს ქუჩებში, იმალება და ისე შემომცქერის ხოლმე. ხან და ხან სალამოს გამაჩერებს, რათა ხელზე მაკოცოს და ამით ისე მაბრაზებს, ლამის გამაგიფოს.

აი, ბატონებო, რად გადავწყვიტე აღარასოდეს არ ვიღლესასწაულო შობის ღაშე.



# მეცნი სოლომონ დიდი

და

რთულობა, რაჭის ერისთავი

(დასასრული \*).

მეოთხე სურათი.

(ხელისილზე უშველებელი მუხა, დედი მინდორი. მეფე სოლომონი,  
პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე, ჯარი.)

სოლომონ. როსტომ-ცბიერმა, პაპუნა,  
ჩვენზე კაკალი გასტეხა,  
მომეთილისმა თამარი—  
ლხინი, მეჯლისი ასტეხა;  
მტრები მიწყევლეს როსტომის  
ჩემზე ორგულმა შვილებმა.  
გაგვასულელეს,—იცრუეს  
მათმა ენამ და პირებმა.  
პირ-შავად დაგვრჩნენ იგინი,  
ჩვენ ჩვენი საქმე გვიქნია:  
მოვკვდებით მაინც, სამშოლო  
თუ მტრისგან ვეღარ გვიხსნია.

\* ) იხ. „მოამბე“ № 11 1908 წ.

შაბუნა. ჰენეს, რაც რომ ეკადრებოდათ,  
გასცემენ უფალს პასუხესა  
და თუ ვიცოცხლე პატარა,  
ენებში ვჯგუტავ ანძუხესა.

სოლომონ. მაშ, დავიწეროთ პირ-ჯვარი  
და შევევედროთ გამჩენსა.

რას გვიქმის ურჯულო ოსმალი,  
თუ ის გვიკურთხებს შარჯვენსა.

(მოიყრის მგხლს, მასთან ყველა)

დედა მარიამ! შენს ხვედრსა  
ხარბად წიწუნიან მტერები,

აღარ გვიდგია სული და  
რატომ არ მოგვეშველები?

მოგვეცი წმინდა გიორგი,  
რომ წინ გაგვიძლვეს იმედად,

რომ აღგვადგინოს მკვდრეთითა,  
არ ვებათ სხვისა ვირებად. (იცრემლება)

გული მომიკლა შინაურ

და გარეულმა ლალატმა:

რჯულს ლალატობენ და თვით შენც,  
ვერ გასჭრა მეფის ლალადმა.

ნუ მიგვანებებ წარწყმენდას,

გამოგვიშვირე ხელია;

წამოგვაყენე ჩაგრულნი —

ეს ცდა უკანასკნელია!

(ადგება ზეშე, წამოდგება სულ ყველა. მიმართავს ჯარს)

იშერლებო! ტყვეები ვართ,

გარს გვარტყიან მტრების მცველნი.

წამებულის დღე გვადგია,

რჯულს გვიცვლიან საძაგელნი.

ქვეყნის პირზე აგვას ლამობს

ჩვენსას გარე შინაური;

მეტი გზაც არ დაგვრჩნია.

გამოვჭიმოთ თვალი, ყური.  
 და ვით ჩვენმა წინაპრებმა,  
 იმ არგვეთის წამებულთა,  
 ან მივიღოთ წამებლობა,  
 ან ვაყაროთ მტერს ქვა-გუნდა.  
 თავ-განწირვით გავსძრათ ხელი,  
 ჩახუთულმა ტყვეობაში;  
 სამ თათარს მხარს არ დაუდებს  
 იმერელი მხნეობაში!  
 მართალია, ჩვენ ცოტა ვართ,  
 მაგრამა ვართ ჩვენვე სახლში:  
 ძალლსაც დიდი გული აქვსო  
 თავის სახში, თქმულა ხალხში.  
 მერე თანაც გაჭირვება,  
 რომ განვმხნევდეთ, გვაიძულებს:  
 მტრები ცოლშვილს გვიყიდიან,  
 მტერი ნაშრომს გვინადგურებს.  
 მეც თქვენთან ვარ; ვით მამა შეიღს  
 გარს გევლებით და ვიზრუნებ,  
 თქვენი ლხენით მეც ვიღებინებ,  
 თქვენი ტანჯვით ბევრს ვიმწუხრებ.  
 სადაც თქვენ, იქ მამა მეფეც,  
 მომიცია აჩის ფიცი.

დღეს ღვთისათვის ვიბრძვით და ის,  
 რომ გვიშველის, კარგად ვიცი!  
 ვენაცვალეთ უფლის სახელს,  
 ღირსი არ ვართ მის მსხვერპლობის,  
 მეფე მამას ვენაცვალეთ,  
 მეგობარი არის მოყმის!  
 სად ღმერთია და სად მეფე,  
 დაიხოცავს თვის თავს ჯარი,  
 ან და მკვდრეთით ააყენებს  
 ჩვენს სამშობლოს ქრისტეს ჯვარი!

ჯარი.

**სოლიმონი.** წერეთელო! მემარჯვენეთ  
ვერ გაგიშვებ,—დამითმე მე,  
ნახევარი შენი ჯარით  
შენთან ჯიბრი დავიჩემე.  
შუა-შუა ქვეით — ჯარსა  
წაუძლვება მტერზე ბერი.  
აგერ კიდეც რიურაუსა სცემს  
მოწმენდილი ცის ჰიერი!  
დროა ბრძოლის. მომაწოდე,  
წერეთელო, აზარფეშა;  
ჯარს გზა უნდა დავულოცო,  
მან მარწმუნა, მანუგეშა.

(ლვინით ავსილ აზარფეშას მიწოდებს წერეთელი.)

ლიდება ღმერთს! გაუმარჯოს  
მისთვის თავ-განწირულ ჯარსა,  
ნუ მოგვაკლებს მაცხოვარი  
მის წყალობასა და მადლის.

(გადასცემს წერეთელს, ის თაყვანებით ჩასრართმევს და ამავე სი-  
ტყვებით დასცლის, აგრეთვე ბერი წულიკიძე. დაპერებენ ბუქსა და  
ნაფირს და ჰირველ მამლის ყავილზე შეერევიან მტრის საფრებს.  
დარჩება ჭრთი ჯარის-კაცი და გეგელა თევდორაძე.)

**გეგელა.** შენ, ჯარის კაცო, შეცოცდი  
ამ უზარ-მაზარ ხეზედა,  
მითხარი, რა ამბავია  
ხრესილის ბრძოლის ველზედა.

**ჯარის-ჯაცი.** შესვლით ხომ შევალ, მაგრამა  
ჯერ ბუნდ-მანდი სდგას სქელადა,  
არც თვალი მიკრის ძალიან,  
სასწაულს-კი ვიქ ხელადა.

(შეცოცდება. თევდორაძე ბურდში შეიმალება მუხის. გვერდზე)

**გეგელა** (თავისთვის). თუ მტერმა ახლოს მობედა,  
თოფსა დაუცემ კონდახსა;  
ვუტირებ დედას, ციც ქვაზე

დაუჯენ პირ-შავ ოჯახსა.

(ხმა მაღლა) რა ამბავია?

ჯარის-გაცი. (კიფის რაც ძალი და ღონე აქვს) გვეშველია!

მტერმა საღუნწე იქცია!

(ისშის გახურებული ბრძოლის ხმაური)

გეგელა. (თავისთვის) ოსტატობაა! ამ ეშმაკს

სად მოუვიდა ფიქრშია?

გამხნევდა მეფის მხედრობა

და მოიკიდა ცეცხლია.

(ხმა-მაღლა) რა ამბავია?

ჯარის-გაცი. თენდება...

მეფე მტრებს რა შორს შეჭრია?

როგორც ვეშაპი დაქშინავს,

ღრენს ბრაზიანი აფთარი;

ალარ აქვს მისსა მხნეობას

და ვაშკაცობას სამზღვარი.

შელეწეს თათრის საფრები.

მეფე გაჟივის ველზედა.

დავლურში იწვევს ალიას,

რომ ათამაშოს ცერზედა!

გეგელა. ალია, ალბათ, იმალვის,

ოთხ-თვალის როგორ შესჭვრიტავს?

თვალს მოსჭრის თვალით, როგოც მზე

და მის მზერის ნიჭი შესწყვიტავს.

მის მოსისხარი მტერია

მეფე,—იმ მონის მსყიდველის.

რომ ემალება, ალბათ, ის

მეფისგან ავ-დღეს მოელის.

ჯარის-გაცი. მირბის მტრის ჯარი! ჰკა მაგას!

(კაძლიერდება შორეული ბრძოლის ხმაური)

გეგელა. რა ამბავია? რა იყო?

ჯარის-გაცი. გახელებულმა მეფემ:

ალიას კვალი მიიგნო.

კურდლელი წამოაყენა  
 მოედნად გამოუგდია;  
 მის ბედის-წერის ქალალდი  
 გიუ-მეფეს ხელში უგდია.  
 ხმალი ვერ ამოათავა,  
 რომ მეფემ თავი წაწყვიტა...  
 (კივის) ალია მოკლეს, ალია!  
 ალიას ჯარი გაფრინდა!

(გაისცის ჯარებში ყვირილი: „ალია მოკლეს, ალია! ალიას ჯა-  
 რი გაფრინდა!“) (შემორჩის მოხუცი ჯარის-კაცი, შემოდევს ახალ-  
 გაძლია თოვით ხელში)

მოხუცი ჭ.ჭ. ურჯულო! ნუ მდევ, მომშორდი!  
 ახალ-გაზდა ჭ.ჭ. ურჯულო შენ ხარ თვითანა.  
 ერთი თათარის სიკვდილი  
 მეც მბოძებია ლვთისვანა.  
 მოხუცი ჭ.ჭ. ქრისტიანი ვარ, უგნურო,  
 ჯარის-კაცი ვარ ლევანის.  
 ახალ-გაზდა ჭ.ჭ.. მოლალატეა ის რჯულის,  
 მოლალატეა ქვეყანის.

(ზაადებს ბეჭას ფრთაზე თავებს და დასცუმს)

მოხუცი: ოჰ, ჩემმა შვილმა თუ მნახოს,  
 არ დაგჭრას ორთავ ფეხები,  
 ზეციერ მამას შევვედრი,  
 გაუხმოს გრძელი ხელები!  
 ახალგაზდა ჭ.ჭ. ვინა ხარ? ვინა? ეგ ხმა გავს  
 მამი ჩემისა ბოს ხმასა.  
 ოჰ, ღმერთმა სისხლი მოკითხოს  
 ავი ლევანის მოდგმასა!

(გრივით გავარდება. სულს დალევს მოხუცი. შემოვარდება ლე-  
 ვან აბაშიძე და უვლის გარეშემო ხეს თოვით ხელში).

ღევანი. ეს ვინ გაპყივის საჯაროდ  
 გაქცევას თათრის ჯარისა?  
 გულის წვერს ვეძებ, გულის წვერს

იმ ენა საზიზლარისა.

ვით სკვინჩას კისრით დავუშვებ  
მახარობელსა მეფისა...

თვითან მიძვრება ტოტებში,  
ხმა კი დიდდება მყეფრისა.

**ბებეჭა** (თავისთვის ჩას. ფრებული გადმოილებს თოფს და დაუმიზნებს  
ლევანს).

სრულ ძლევით-მოსა იმერლის  
ამ თოფის ტუჩზე წერია!

(იგრიალებს თოფი, ლევანი გადაბრუნდება. ჯარის-კაცი გაა-  
ბამს უფრო ჩპა-მაღალას ყვირილს).

**ჯარის-კაცი:** გაცივდა ქვეყნის ორგული,  
ლევანი მხოლოდ მტვერია!

(ყვირის თავგამეტებით) მოჰლეს ალია, ლევანი,  
გარბის-გამორბის მტერია...

ჟეა მაგათ! ალარ გაუშვათ

არც ერთი ლეათ-ლერია!

ძლევა მოსილი სოლომონ

მირბის და მორბის ქაჯადა.

ასეთი გამარჯვებაი

კი ღირდა თათრის დარჯადა!

(ჩამოვა ხიდგან. გამოვა გეგელა თევდორაძეც ბურდებიდგან. შემო-  
ვარდებიან გაქცეული თათრები და მათთან ლევანის ჯარის-კაცებიც)

**თრიგე** (ერთ-ხმად მიაყვირებენ).

გაჩერდით, ავაზაკებო,

პირში ამოგი ხლეშთ ენასა!

მოელო ბოლო თქვენს თარეშს,

ზვიადობას და ლენასა.

თათარი თუნდა შველის თავს,

მირბის მის ქვეყანაშია,

თქვენ, იმერლებო, სად მიხვალთ?

ვის ტოვებთ სახლ და კარშია?

**ბებეჭა.** თქვენს ცოლ-შვილს შია-წყურია..

აგდებთ თუ გზა-შარაზედა?

ისე გეკურთხოსით ულვაში,  
 როგორც დაგლოცავსთ თვით დედა!  
 (შეჰქრავენ აკანკალებულებს)  
 თათრებო! სისხლით გამაძლებს  
 დანას გაგირქობთ ყელშია.  
 სტამბოლში თითო ყურუშსა  
 იღებდით ქართველ ტყვეშია!  
 კაცის მჭამლებო! რამდენი  
 გილიათ მუცლად ცოდვები.  
 რამდენსა დედას მოსტაცეთ  
 შვილი და ქმრებსა ცოლები?

(შემოვა მეფე სოლომონ, პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე,  
 ტყვები და ჯარი).

სოდეოშონ. აბა, სად არის, მანახვეთ  
 ჩემი დედის ძმა ვაჟკაცი!  
 სად არის სახე დიალი  
 და მის მარჯვენა მამაცი?

(ანახვებენ ლევანს. ის მიუყრის მუხლებს ნაბად გადაფარებულს  
 და მოთქამს)

ეს ხელი იყო, რომ მხვევდა,  
 შზრდიდა ალერსში ტკბილშია,  
 ესე ტუჩები ტუჩებში  
 მუოცნილნენ ნეტარ ძალშია.  
 ვითუჩქნებოდი მე ამის  
 თბილ უბეშია ვარდივით;  
 სამაგიეროდ ვაშკაცი  
 შევხვდი ამ გვარი პატივით!  
 დამნაშავე ვარ, ლევანო,  
 ვითხოვ სულ გრძელსა შენდობას,  
 ვითხოვ სიყვარულს უხრწნელსა  
 და წრფელსა ბიძა-შვილობას!

(ეთხოვება და ადგება).

პაპუნა ჩემო! მანახვეთ,  
 ეს მარცხი ვინცლამ დამმართა.

თოფი მეფისა ბიძაზე  
 როგორ გაბედა, ამართა?  
 ეს გამარჯვება საზღაპრო  
 მეფის გულს აღარ ახარებს:  
 მეფე მოსისხარ თათრებთან  
 მიწას თვის ბიძას აბარებს!  
 (არავინ არ ამხელს ლეგანის მოკვლას)  
 არვინ გამოტყუდა? მაშ კარგი!  
 ჯილდოს მივცემ მას, ვინცა ჰქნა;  
 მხოლოდ მანახვოს თვის სახე,  
 ლევანის მკერდი ვინც გახსნა.  
 (გამოვა გეგელა თევდორაძე)

გეგელა. მე ვქენი, დიდო სოლომონ,  
 მზე დავუბნელე ლევანსა.

სოლომონ. სტყუი, იუდა!

გეგელა. ბატონო;  
 არ შეჰქერს მეფის ენასა!..  
 არ შეჰქერს დიდსა სოლომონს  
 გინება, დაფაფხურება.  
 იუდა არ ვარ: მეფის მტერს  
 მე შევუმგვრიე გუნება.  
 მე დავამარცხე ღვთის მტერი,  
 ორგული სამშობლოისა.  
 ამისა მქნელი ნეტა-თუ  
 ძრახია ჩეენის დროისა!?

სოლომონ. სტყუი!

გეგელა. არ ვსტყუი, მეფეო!

სოლომონ. ვინ დაამტკიცებს მაგასა?

გეგელა. ყოველისფერი ამბავი  
 ჩემი მოჰკითხეთ ამ კაცსა.  
 (მოათრევს, ხეზე რომ იყო, იმ ჯარის-კაცს)

ამის ხრიკებმა ჩვენს ჯარსა  
 სული უბრუნა მძამე დროს.

ასეთი შვილის მრავლება  
ქვეყნისთვის ღმერთმა ინებოს!  
ეს შესრიალდა ამ ხეზე,  
ჰკივოდა ისეთს ამბებსა,  
რომ ჩვენს ჯარს სიმწნეს აძლევდა,  
ჭიპს წყვეტდა ავ-სულ თათრებსა.

**სოლომონ.** ეს იყო განა ის ვინმე?! (ჯარის კაცს გეველაზე)  
ეს არის მკვლელი ლევანის?

ჯარის ქაწი. დიალ, ბატონი მეფეო,  
რაღა თქმა უნდა, ეს არის.

**გეგელა.** დიალ, ხელმწიფევ, მოგხსენდესთ:  
გეგელა თევდორაძე ვარ  
გლეხი მესხეთის სოფლისა,  
რომ თქვენ წინაშე მხნედ ვსდგევარ.

**სოლომონ.** პაპუნა! გეგელა შვილსა  
თევდორე უნდა დაერქვას,  
რადგან „იუდის“ დარქმევით  
თავს უშვერს ქვასა და სეტყვას.  
უბოძე აზნაურობა,  
ერთგული არის ერისა  
და ორგულია მოსისხლე  
თვისი სამშობლოს მტერისა.  
მესხეთელ გლეხსა გეგუთში  
აჩუქე ყმები, მიწები...  
ამ ჯარის-კაცის მოწყალე  
მთელს სიცოცხლეში ვიქნები!

### მაზუთე სურათი.

(ოქროს ჩალდაყში. მეფე სოლომონ, მაკრინე დედოფალი და  
პატარა ელენე სრულ მეფერ სამეაულში ბრწყინავენ. აქ არიან  
მთელი იმერეთის დიდებული დარბაისლები, კარის-კაცნი)

ჰაბუნა.... და როდესაც მეფე მორჭმით  
ზის ტახტზე და მზისებრ ბრწყინავს,

მის უბეში შესაძრომად  
 ქრელი გველი ჩუმად გლინავს.  
 პირ შავ როსტომს მკერივი ქედი  
 მხოლოდ მაშინ მოუხრია,  
 როცა მეფეს იმერეთის  
 ყოვლი ძალი შეუპყრია,  
 როცა ყოვლი მისი მტერი  
 დაუცია, დაუმხვია  
 და სამშობლო საყვარელი  
 განუთქვამს და შეუმკია.  
 მეფე ხონთქარს აღარ პუობს,  
 როსტომს როგორ შეიპუებს?  
 ახლა მოვა, გაიღრიჲებს,  
 იმლიქვნელებს, ბევრს იცრუებს  
 და როგორც რომ გვიღალატა,  
 უარესად გვიღალატებს,  
 როცა, ღმერთმა ნუ შეასწროს,  
 დროს იხელთებს, დაათვალებს.  
 თუ მეკითხვის რამე, ვიტყვი:  
 როსტომ კუდს არ გაისწორებს;  
 ან დავსცეთ და ან შორს იყოს,  
 სულ ყველაფერს ეს აჯობებს.

**შაჟინე.** ჭარბობს თქვენი გაცხარება,  
 დიდი არის სინანული,  
 თუ რომ მაში მხრწნელი ჭია  
 აღარ ბუდობს დაფარული.

**სოლომონ.** ვმ! მე ვიცი,— გამოვცადე,  
 როსტომისა არ მაქვს ნდობა.  
 როცა დანა ყელთან მქონდა,  
 გამიწია ლალატობა.

**ბერი ლორთ...** ეძა, მეფევ! ნაფიცი ვარ—  
 ვალდებული ერთგულობის,  
 თუ რომ ვამბობ— ალბათ, უნდ ვსოქვა,

სიტყვა-კაზმით როდი მომდის.  
 ფუყი მუხა ვარგა ღვლერქად?  
 ისე როსტომ ხელმწიფის ყმად.  
 მონად, ვამბობ, ვერვინ შეჰქმნის  
 თავ-წახსნილსა მას ნებივრად.  
 მისი სულის თვისებაა:  
 დიდ-გულობა, ზვიადობა;  
 ყოვლის საქმე მისი ამბობს,  
 რომ არა აქვს სათნოობა;  
 მან არ იცის თანაგრძნობა,  
 თავ-დადება მან არ იცის,  
 ხარბი თვალი არ ასვენებს,  
 აბედივით ნელ-ნელ იწვის;  
 არ რწამს რჯული, არ რწამს ერი,  
 გამომუღლავნდა ქვეყნის მტერი!  
 განა მისთვის კიდევ არის  
 თავ საფარი მეფის ჭერი?  
 თუ მეკითხვის რამე, ვიტყვი:  
 ალარ არის ჩვენი წევრი;  
 დაიღუპოს, როს ხელში გვყავს,  
 თუნდ გამავლეთ ზურგზე მკევრი!

**ბერი წულუქ...** ბერის სიტყვა მომეწონა...  
 უმანქოა მისი ფიქრი.  
 მასთან ლირსიც ნდობისაა  
 მისი სიტყვა—არის გმირი,  
 მან სამშობლოს სამსახურზე  
 სობოროში ღვარა სისხლი;  
 სულ მიწასთან გაასწორა  
 კიკიანი, მტერი მკვირცხლი.  
 მას როსტომთან არ მიუძღვის  
 არასფერი მტრობა, ჯიბრი,  
 და რაცა სთქვა—ერის ხმა,  
 მეც ერთ-პირად მასთან ვიკვრი.

ზურაბ-მაქელაძე. ბრძანეთ, არჩილ, თქვენი აზრი.

არჩილ. დამითმია შენთვის სიტყვა.

შენ შეჲკარი თათრის კრიჭა

და დაეცი თავზე რისხვა.

პატიოსან ჯიბრს მიმეცი,

ვისახელე მითი ხრმალი.

არ მქონოდა მაგალითი,

ვაი მაშინ ჩემი ბრალი!

ზურაბ მაქ... რაღა მეთქმის?! თუ რომ ვაქეთ,

ვინც ქვეყნის ბედს ჰკლავდა გულში,

მის გინებით უნდ მივაგოთ,

ვინც მოკვდა მის სამსახურში.

მაშინ ყოვლი ჩენი ოქმი

საზიზლარი იქნებოდა;

დიდი შეფე სოლომონიც

ერისგან არ იქნებოდა!

სოლომონი! აშკარაა... შავსა თეთრად,

ნურვინ ფიქრობს, ვერვინ შეჲჭნის..

პარემ მალე დაიღუპოს

მოლალატე თვისის ქვეყნის.

არჩილ. ქართველის გულს კარგად ვიცნობ.

მიმაჩნია მის თვისებად:

პურ-ლვინით ის მტერს მოყვრად ხდის,

პურ-შავობით მოყვასს მტერად.

მამა-პაპის ჩეულება

წმინდა არის და ნათელი:

პურ-ლვინოს თუ ვულალატეთ,

გავიტეხეთ ხომ სახელი!?

როსტომ ბატონს დიდად უქეთ

დახვედრა და გასპინძლობა;

კარი ცხვირთან ჩაურაზოთ

არ იქნება მახინჯობა?

მოვიწვიოთ, ვსცეთ პატივი,

მის გულის-წვას ვუგდოთ ყური.  
ვინ იკის, რომ იქ გაისხის  
ხმა სულ-ტყბილი, საამური.

ნუ ივიწყებთ: — ქრისტეს გვერდზე  
სცხონდა ჯვარ-ცმულ ავაზაკი..  
სანამ ახლოს არ მოვიმზრობთ,  
ზედ-მეტია ლაპარაკი!

**ჰაჭიათე.** მომეწონა, ღვთის საამოდ  
და სულ-გრძელად სიტყვა თქმული,  
მოყვასი ხომ ისეც გვიყვარს,  
მტერს ჭირდება სიყვარული.  
მე მიკვირს, რომ ჩვენს გიორგის  
არ წასცდა-რა, გაბუნგულა.  
ნუ- თუ ვინმე აწყენია  
და იშისთვის გაბუტალა?

**გარეგი აბაშიძე.** ყოველ იმედ დაკარგული,  
ყოვლ საწალელ მოსპობილი  
კაცი მოდის, ღილი კაცი  
ვით უმანკო ბავში, ჩჩილი.  
ერთად ერთი ნუგეში აქვს  
თვისი მტერის მოყვრობაში  
და თქვენც ხელსა უწიანებთ  
კისრით აგდებთ უფსკრულ ზღვაში?  
ჩვენ ვიომეთ რჯულისათვის;  
გვეუბნება იგი რჯული:  
მტერიც ფეხზე აყენეთ,  
თვისივ წებით დათრგუნული!  
ამის შემდეგ, რაღა თქმაა,  
უნდ მივიღოთ ჩვენ სტუმარი  
და თუ გულში რამ მიფუგნოთ,  
იუდის ჯერ ღაუწეარი,  
მაშინაც კი მოვერევით,  
უფრო ახლოს გვეყოლება.

მაშინ ზეცაც არ გვინუქფებს,  
ცოლვაც აღარ გვეცოლვება.

**სოლომონ.** მაშ ვიხმაროთ სულგრძელობა,  
ვამცნოთ, რომ ვართ ქრისტიანი.  
და თუმც ხაშმი რამე ამღვრევს,  
შევიქნები რისხვიანი.  
მოიწვიე, პაპუნ ჩემო,  
მოგვილოცოს გამარჯვება..  
მისი ძლვენიც უმაგივროდ,  
თუ მეფე ვარ,—არ დარჩება.

(შემოჰყავს ორ დადგეულს და პაპუნა წერეთელს ძვირფასად  
ჩაცმულ-დახურულ-ჩარაზმული როსტომ ერისთავი და მისი შეიღი  
ვაჟი. აუდგინათ მეფე. როსტომი და მისი შეილები ფეხ-გადაკვანტუ-  
ლები სალაშმის მოახსენებენ).

**როსტომი.** ყოვლად ძლიერო მეფეო,  
სოლომონ დიდად განთქმულო!  
გილოცავ ძლევით მოსასა,  
მტრის მკერდზე ფეხებ დადგმულო!  
ლევანის, თქვენი წინაპრის  
თქვენ კვალი აღგიბეჭდიათ:  
ორთავეს უფლის გვირგვინის  
თავს დადგმა წილად გრგებიათ.  
ეგ გვირგვინია ეკალის  
სამშობლოს, რჯულის დაცვისა;  
ეგ გვირგვინია წმინდანის,  
გამღვთაებული კაცისა.  
ღვთაებრივ ბრწყინავთ სხივ-ფენით  
იმერეთისა ტახტზედა;  
არც აწ მოშლოდეს ეგ ბეჭი  
თქვენ შეილ-ძირს ქვეყანაზედა!

**სოლომონ.** (თვალებში შეწერებოდა რტისტომს, როსტომი ვერ უწერებდა  
თვალებსა. ბოლოსაც ცირად)  
როსტომო, მომწონს მოლოცა,  
სიტყვა-კაზმული ტკბილია!

მაღალსა ღმერთსა შევედრის  
 ჩემი ენა და პირია,  
 რომ იგი მასრულებინოს,  
 რაც მტკიცედ გულში მიდვია:  
 შენთვის, როსტომო, მომეზლოს,  
 ქვეყნისთვის თავიც მიდვია!

**დარბაისლები.** (ერთ-ხმად) ამინ!.

**შემძენა.** (მაღალ ხით) ამინ! ამინ!

(კვალად თაყვანს სცემს ერისთავი მეფეს. რას მიბაძავენ მისი  
 შეილებულება და გულზე ემთხვევა მეფეს. მეფე  
 ემთხვედა როსტომ წუბლზე, ერისთავის შვილები ემთხვევიან  
 მეფეს ხულებზე. მეფე როსტომს გვერდით მოისვამს)

**სოლომონ.** (როსტომს) მიქია

სტუმრის დახვედრა შენია:  
 ჩიტის რძეც აღარ გკლებია,  
 რომ სუფრა გაგიფენია.  
 დარბაისლებო! პურ-ლვინოს  
 მადლობა უნდა, მიზლვაცა;  
 პატივი ეცით ერისთავს,  
 არ დაედაროს თვით ზღვაცა.

(შლიან სუარებს კარ-გამოლებულ პირ და პირ სასალილოში)

შენც, დეჯუფალო, თამარსა

წაპხაძე ქცევა ყოფაში.

მისებრ მოქნილი, ტკბილ-სიტყვა

ვინ ვნახე დიდ-კაცობაში?

ტოლუმბაშობა დაიწყო

და დამიკრულა მტერები.

როგორც რომ დუდუკს მის სიტყვას

აჰყვენ და დაჰყვენ გერები.

აღარა გაგვია-რა,

ისე გაგვიქრა თვით ღამე.

თუ არ ენდობით ამ არაკს,

პაპუნა იყო მოწამე!

დასტალეს ჯაზაირები,

ზარბაზნებს გააქვს გრიალი;

იმერეთს ეგონებოდა,

ჩონჩოლი მოდის ტიალი!

**შაშუნა.** აბა, მობრძანდით, ჩავუსხდეთ,  
გული მივანდოთ ლხენასა.  
ცვალებადობა თან ახლავს  
წუთის-სოფელის დენასა.

(შეუძლებათ სასადილოში. პირდაპირ კარგზე გამოჩანან  
მეფე და როსტომ ენისოვა, გვერდი-გვერდ დაშესდარნი).

**როსტომი.** წყალობა არის ჩემს თავზე  
ღიდის იმერთა მეფისა:  
გული მოეცა გუნებას  
ცაზე ვარსკვლავთა კრეფისა!

**სოლომონ.** მე ვადლეგრძელებ როსტომსა:  
ღიდის წნის მეგობარია,—  
მიგვეზლოს თანა-ნადები—  
არვინ ჩასტოვოს ცვარია!

**როსტომი.** ღირსი არა ვარ მაგდენი  
წყალობის, ყურადღებისა.  
მე რა მიზეზი მიქნია  
ამდენი ჩემის ქებისა?

**სოლომიონ.** არის! კი არის, როსტომო!  
ოჰ, მიზეზები ბევრია:  
ნაირ-ნაირი ნდომების  
ჩემს გულში მთელი მტევრია!

**როსტომი.** კამდი ამიწვდი ხელი მე,  
თქვენამდი სიყვარულია.  
აზრმა რალაცამ მიელვა  
და შემიმგვრია გულია.  
მიბოძეთ ნება, ჩემს შვილებს  
რომ ვებაასო მაზედა;  
მოვიკლა ბარემ სურკილი  
მეფის სასახლის კარზედა.

(მეფე დასტურის ნიშანს აძლევს თავის ქნევით. როსტომ და  
მისი შვილები გამოდიან დარბაზში. სისადილოს კარს მიხუ-  
რავენ).

**როსტომი.** რას ფიქრობთ, ჩემო შვილებო?

რას ხედავთ მეფის გულშია?

**მეთოდე.** დიდი სულგრძელი ყოფილა!

ჩვენთან დიდ სიხარულშია.

მას აღარ ახსოვს წარსული,

ალერსით თავზე გვევლება.

ჩვენში ჩამდგარი დუშმანი

აწი კი დაიწყევლება.

**გიორგი.** ერთობ გაბრწყინდა მეფე, რომ

ვუხარეთ ნებით თავია;

რომ აგვამაღლებს, გვადიდებს,

ეგ რაღა საკითხავია?

**როსტომ.** ვაი, შვილებო, შვილებო!

ვერ იჩენთ მიმხვედრლობასა:

ვერ ამჩენეთ აზრი რა უდევს,

ორ გზის „ამინის“ ოხრობასა.

**მეთოდე.** პაპუნამ რომ თქვა?

**როსტომ** (თავის ქნევით). პაპუნამ...

მას ჩვენი სისხლი სწყურია,

მე ამოვუგდე ჭალები,—

გავუნადგურე პურია.

მეფის სიტყვებში გველი წევს,

მუხლუხი ვითა კვირტშია:

ვარდის დამყნოსავს შხამს ასხამს,

ნდობით გაღებულ პირშია!

ჩვენ უბედური დღე გველის;

გვაწიოკებენ საწყლადა,

თუ რამე ხერხით ყინვაზე

არ გავაცურეთ წყნარადა.

ხელში გავუძვრეთ, წავიდეთ  
ჩვენს ბუდე-ბარაკონშია.  
მე სულ არ მომდის და არა  
მეფის წყალობა გონშია!

**მეთადე.** მართლაც სათუებელია  
ორმაგი მეფის სიტყვები.  
მაში შესაფრულ მახაშირს  
კილოკავებით მიხვდები.  
„ამინ და ამინ“ პაპუნას  
კარგად არ დაუძახნია.  
ეგ თვალ-ბედითი ფრინვლის ხმა  
აქამდი როდი ამხსნია!

**გიორგი.** რაღაცას ნიშნავს. მწყრალად თქვა  
შურის წვით გატაცებულმა.  
მაშინვე შიში დასახა  
ჩემს გულზე დატაკებულმა.

**ჰისტომი.** უეჭველია, რომ მაგათს  
ხელში ვართ ჩაცვენილები,  
უნდა ვიღონოთ რამ ღონე,  
არ დაერჩეთ ნასირცხვილები.  
მოდით, მოგროვდით, მისმინეთ:  
თვითან პაპუნა მოვიხმოთ  
და მოვახსენოთ მეფესა,  
გვინდა, თქვენს ახლოს რომ ვიყმოთ.  
გვინდა თქვენს არეს ვიცხოვროთ,  
მიიღეთ რაჭა მთელია,  
საცხოვრებელი გვიბოძეთ  
აქ, თქვენზე მახლობელია.  
სიშორე გვიშლის ხელსა, რომ  
ვეხლოთ ხშირად მეფესა;  
გვიშლის ხელს ერთგულ მსახურის,  
რომ ვემტროთ მეფის მტერებსა.  
მაშინ სულ სხვა ფერ სხვა ხმაზე

აგვიმლერდება ბატონი.

გვენდობა, ნდობას ვუმუხთლოთ,  
დავრჩებით რაჭის პატრონი!

(მეოდე გამოიწვევს პაპუნას)

პაპუნა, ჩემო ძვირფასო,

უნდ შეგვავედროთ მეფესა!

ახლოს გვიბოძის სამყოფი,

რაჭაზე ვიღებთ რა ხელსა.

ვერ ვარგეთ მეფეს სიშორით;

გვინდა, რომ ვუდგეთ გვერდშია,

ლხინში რომ მასთან ვიღხინოთ,

ვიტიროთ მის შავ-დღეშია.

(პაპუნა გაბრუნდება მეფესთან საქადილოში)

ამაზე დასტურს მივიღებთ.

სხვა ხერხიც უნდა შველასა.

ოჯახის წამოსაგვრელად

როდი გაგვიშვებს ყველასა.

მაშ, როცა დასწერს ლრამატას

და ჩავიკუჭნით უბეში,

მოვსთხოვოთ მეციხოვნენი

და გავიღევნოთ კუნთებში,

რომ მე, შენ ამან—სულ ყველამ

ყოველი ციხე რაჭისა

სული თითო-თითოდ გარდავსცეთ,

პირველი ბურჯნი მხარისა,

ამაზე უარს ვერ იტყვის,

ვერ გაეხვევა ეჭვებში

და მაშინ გაცრუებული

მეფე დაგვრჩება ხელებში.

(კამოდის პაპუნა)

**პაპუნა.** მეფემ ისმინა ვედრება,

დაჩბაისელოთ აქვთ თათბირი.

თათრის სამზღვრამდი გებოძი.

ქუთაის აქეთ ნაპირი;  
 გეგუთში მეფე თამარის  
 სასახლე ბინად გექნება;  
 მეფემ მიიღო თვით თავზე  
 მის შეკეთება, შენება;  
 საბალახოთ გაქვს „ტიტეველა“;  
 „სალორე“ სანალიროდა,  
 სამი ათასი ქცევა გაქვს  
 ეზოთ და სამამულოთა.  
 მამუკა მდივანს, ოტიას  
 ღრამატის წერა ებრძანა;  
 ამავე წუთში გამოვლენ  
 დარბაისელნი თქვეთანა.

**ჰოსტომი.** ვმაღლობ ღმერთს, გულ-მოდგინებით  
 მათხოვა მეფემ ყური მე!  
 რატომ ვერ მივხვდი დღესამდი?  
 სად ვაყავ უბედური მე?  
 (გამობრძანდება მეფე, დედოფალი, ულენე, დარბაისელნი)

**სოლომონ.** როსტომ! შენს ანტონს მიქებენ,  
 ელენე ჩემი კარგია.

ჩვენი მოყვრობა იქნება  
 ქვეყნისთვის დიდი მარგია.

**ელენე.** ვინ და სად არი ანტონი?  
 ნეტა-თუ კარგი ბლარია!?  
 მე მობურჭალე არა მყავს,  
 მარტვა ვერ გამიხარია.

**ჰოსტომი.** გაახლებ ჩემსა ანტონსა  
 რაჭაში გალენჩებულსა,  
 ვერც ნახავს თვალი კაცისა  
 სხვა რწყვილს მსგავსს, შეფერებულსა.

**სოლომონი.** მაშ მოგვიყვანე ამ უამად  
 ღრამატა მიბოძებია,  
 მიბოძებია სამხრეთით

ეს, რაც ბარი და მთებია.

აწ შევალულოთ ჩვენ გულნი

ძმობაში, სიყვარულშია

და შიში სამზღვარ-გარეთაც

დავბადოთ მტრების გულშია.

(მიცუმს ღრამატას. თავშდაბლათ ეთაყვანებიან მეფეს როსტოკი  
და მისი ძენი. როსტოკი მოწიწებით ჩაიკუჭის უბეში ღრამატას)

**როსტოკმ.** ოჟ, ამისრულდა წადილი,

აწ მივეცემი შვებასა!

ციხენი თქვენს კაცთ გარდავსცეთ,

ვითხოვთ ამისა ნებასა.

**სოფომონ.** აახლეთ მეციხოვნენი,

წაბრძანდით, გაძლევთ ნებასა.

მაგ თავმდაბლობით მოიხვეჭთ

თქვენს დიდებას და ქებასა.

**როსტოკმ.** ისე სისწრაფით მოვახდენ

ყოველსა აქა დათქმულსა,

რომ ვერ მოაწწრებთ, მეფეო,

სამ გზის თვალისა ფახურსა.

გემშვიდობებით აღარა,

საქმე გვაქვს, აღარ გვცალია.

ჩემი გუნება მეფისა

წყალობით მეტად მთვრალია!

(შვილებს) აბა, არწივის ბარტყებო,

ფიცხლავ რაქაში გადვიჭრეთ,

დავთუშოთ მთაში ბუდენი,

ბარში მშვიდობით დავმკვიდრდეთ.

**სოფომონ.** მოკითხვა უთხარ თამარსა.

ის ქალი საოცარია!

(როსტოკ მეფეს მაღლობას მიახსენებს, გამოემშვიდობებიან  
საჩქაროზე ის და მისი შვილები ყველას და გადიან)

**როსტოკმ.** (გამავალს) მაღლობას გწირავთ, მეფეო,

გიყვარვართ, გამიხარია!

(გავლენ, გაყვებათ არჩილ გიჟიც)

**შაბუნა.** ეს ფაცი-ფუცი არ მომწონს,  
ფარისევლობას წაგავს.  
მაგ გვარი კაცი, ვის გინდა,  
ბაგაზე ენით დააბამს.

**სოლომონ.** წყინს ჩემსა ძეირფას პაპუნას  
ეს შერიგება ჩვენია.  
მაშ ვერ ავისსნი, საეჭვოდ  
მას გული რაზედ ტკენია?!

(შემოვა შიკრიკი IV, სცემს თაყვანს მეფეს და გარდასცემს  
ნახევ ჭალალდს).

**შიგრივი.** IV გზაში შემომხვდა როსტომი,  
ბარათი გამომატანა.  
თუ არ მიართვი მეფესო,  
მრისხანედ თან მომატანა:  
ვერ ელირსები ამიერ  
თვალით რაჭისა ნახვანა  
და მეც მივუგე, — მივართმევ,  
თუ გინდა იქავე დამკლასა!

**სოლომონ** (კითხულობს). ეს რა ვისმინე? რა არი?  
იქნებ ეს კი არ წერია!

**შაბუნა.** ეპეპე! ახლა გაიგეთ,  
როსტომი რომ ცბიერია?!

**სოლომონ.** მამუკა! მართლა წერია,  
რომ მაცდურობა უქნია?  
რომ იმ საძაგელს მეფისგან  
იუდა თავი უხსნია?

**შამუქა** (კითხულობს).  
„შენსა მოველ და შევამკობ შენსა ტანადობასა,  
შენი უდასტურობა-კი არღვევს ბატონ-ყმობასა.“

**სოლომონ.** როგორ გავიგოთ?

**შაბუნა.** ისე, რომ  
გვამასხრებს, გვაცუცურაგებს,

ხრიკებში შვილებსაც კი წრთვნის,  
იმ მელა-კუდა მსუნავებს!

(შემორბიან იამანიძეები—ჰასილა და კვირიკა და მისცემენ  
პაპუნას გარათს. ის დიდ ხანს ჭოჭმანობს: მეფეს არ აძლევს  
გარათს. ბოლოს თვით მეფე მოითხოვს).

**სოლიმონ.** რა ამბავია? რა მოგცეს  
კვირიკამა და ბასილმა?  
აღბათ რაღაცა გვიმასხრა  
როსტომმა, ოჯახ დამსილმა.

(მეფე გარათს მისცემს მამუკა მდივანს)

**მამუკა** (კიოხულობს). ესე ასე არ იქნების,  
ბასილა და კვირიკაო!  
ციხეს მართმევს, მინდორს მაძლევს,  
დავჯდე, უნდა ვირიკაო?  
წადით, უთხართ თქვენსა მეფეს:  
მე გახლვარ დიდი როსტომ,  
მე ერთ გულად გიახელი,  
მიპირობდი ლალატს რატომ?  
სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გწერ,  
ხელი აიღე რაჭაზე,  
შიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ:  
სწორი გიდგები ძალაზე!  
რაჭის ბეგარას ავილებ,  
არ გერიდები ამაზედ.  
უბაშროთ ვირი დამაბით  
დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ?  
თუ მიპირებ ამოწყვეტის,  
აწ მობრძანდი, რალას ყოვნი?  
ციხე მიღვას მაღალ კლდეზე  
და ზედ მოკვერით ბარაკონი;  
ხიდის კარში მცველები მყავს  
და კოშკები სამაგრონი.  
ჩემი იყო, ქვეც წაგართვი  
კუდარო და რაჭა-ონი..

ჩემი წინაპარი იყო  
ერისთავი კახაბერი,  
თამარ მეფის მამობილსა  
ყმანი ჰყავდა ორი-ბევრი.  
მე ვარ მისი ტომისაგან,  
ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,  
გემორჩილო, არ გახლავარ  
ქაჯაია, შენი გერი.

**სოლომონ.** (ნაზევრად ხამალ ამოწვდენილ წულუკიძეს).

წალი, გარეკე ჯარები;  
შედი მახვილით რაჭაში.  
მომიკალ როსტომ ვერაგი,  
თუ სისხლი გიცემს მაჯაში.  
დასწვი, დადაგე ყოველი,  
ერთი სანსილა არ დაგრჩეს,  
არ დაგრჩეს მის ბარობაზე  
რაც სვამდეს, ანუ რაც ჭამდეს.  
უსმელ-უჭმელი ციხენიც  
დაამხვე, გაანაღგურე  
და სისხლი მის შეილთ ცეცხლ-გულზე  
დასაამებლიად მასხურე.

**შაატა აბაშიძე.** ლირისია, დიალ! მაშ როგორ  
გაბედა მეფის გაკიცხვა?  
თვით მოიწვია თვის თავზე  
ცოდვის და მაღლის განკითხვა.

**ბერი წულუკიძე.** საომრად წასვლა მებრძანა,  
მე ვეღარ ვიტყვი ვერასა.

(ბერი ლორთქიფანიძე ადგება და მღუმარე შეჩერებია მეფეს).

**სოლომონ.** რად სღუმხარ, ბერო!! როსტომზე  
ეგ რისხვა გიბაშს ენასა?

**ბერი ლორთ.** ვერ მოგახსენებ, ბატონო,  
მეშინის თქვენი რისხვისა;  
მაგრამ რა ვალი მატანს ძალს

ვითხოვ ნებართვას სიტყვისა.

**სოფომთან.** ნება გიბოძე, მომხსენდეს,

რაც რომ ნაფიცის გულშია.

**ბერი ღორით.** მეფეო! როსტომ ყმა არის,

რა ვუყოთ, რომე ურჩია?!

მეფე თვის თავადს შეებას,

ეგ საკადრისი არ არი.

იმერეთ-ოდიშ-გურიის

ახლავს სამასი მხედარი.

ქმა ძმასა უნდა შეაკვდეს,

უნდა შეაკვდეს მამა შვილს.

სხვა ყაჩალები ორასი

ახლავს ყაჩალებრ გავარდნილს.

შინა ყმა იარაღ ქვეშ ჰყავს;

ციხეები აქვს მაგრები.

ხიდის კარს ვინ რას დააკლებს? —

არიან კლიდისა ქვაბები.

ერთ კაცს ათასი არ ჰყოფნის,

არ გაეპარევის გამვლელი.

სხვა გზაც არ ვარგა ჯარისთვის...

ვწუხ, რომ გაგვიტყდეს სახელი!

**ზურაბ მიქ.** ეჭ, ნეტა გამაგებინა

ყმაა, თუ მეფის ტოლია!?

ყმა თუა, მეფე ხელს ვერ რევს,

მაშ მეფეც ალარ ჰყოლია!

**ოტაა ჩხეიძე.** მისთვის რომ ხალხი გავუუფოთ,

ეგ არასფერი ქებაა.

**თამაზა მესხი.** ვერ დავაჩოქოთ როსტომი, —

სამზღვარ გარეთლის შეებაა!

**მამუკა მდიგანი.** ხერხი სჯობია ღონესა,

ხალხის სიბრძნესა უთქვია.

შემძვრალა როსტომ სოროში

და თავი გამოუყვია.

გვიწყრება, გვემუქარება,—  
დავუწრუპუნოთ წყნარადა,—  
გამოვიტყუოთ, გავქაჩით,  
რაც ეკადრება...

შაშუნა აბულაძე. მაგალა

არა ღირს მასი მუქარა;—  
როდესმე ხელში მოვიგდებთ  
და მაშინ გაწილებასა,  
რა თქმა, რომ ამოვიგდებთ.

ქახოსრო აბულა. არ არის როსტომ არც მეფე,

არცა მთავარი გვარადა  
და მისი შედავებაც-კი  
არა ღირს არცა ჩალადა.  
ვის ვედავებით? სალ-კოშკებს?  
კლდეს შევასრისოთ ხალხია?  
თუ მოვიტყუებთ, ხომ კარგი,  
ომი-კი დასაძრახია.

თანადარუს იოსელ. ვინ იცის, არც-კი შეგვებას,

გავიდეს სამზღვარ გარეთა;  
ირგვლივ მოსამზღვრე ხალხები  
აგვიყაყანოს მწარეთა:  
იმხროს ყიზილყო ბატონი,  
შეყაროს ჯარი ოსისა,  
გადმოგვასიოს სვანები  
ვითარცა გუნდი ქორისა.  
წამოიყვანოს ქეშელ-ბეგ,  
ასტეხლს ოსმალეთიცა;  
ჯარების დახმარებაზე  
უარს არ ეტყვის ერთიცა!  
ზოგი ჰყავს შევილობილათა,  
მოყვარე კიდე ზოგია,  
ზოგიც მეგობრათ უხრწნელათ...  
მათოვის რა დაუზოგია?

არა. ეგ აგრე არ ვარგა,  
მეც ვარჩევ მოტყუებასა.  
დღეს ფრთხილად არის, მერმისში,  
როს მისუემს დავიწყებასა,  
ჩამოვითრიოთ, ჯვარს ვაგოო  
გამწმილებელი ჩვენია,  
ძირში მოვთხაროთ თვით ენა,  
ის მახაშირი კბენია.

(შემოვა არჩილ-ვიქი)

არჩილ-გიჟი. ბრელო უყარეთ ღორებსა,  
რა თავი აბრაყვებიეთ,  
თუ დაუნდობლად ყბედობდა,  
რად მყის არ დამახევიეთ?  
რადგან დაგვიძვრა ხელიდან  
ორგული ჩამოთრეული,  
აწ მოითმინეთ მის ბრძოლა,  
ვითა ის არის წყეული.  
როდისმე თვითან გაიხვევს  
თავის თავს თვისსა ბადეში  
და მაშინ მიწა ვაყაროთ  
იმ მოლალატე ბაგეში.  
(მეფი მდუმარებს. დარბაისლები თავს უკრავენ მას და წავლი-  
წამუვლიან)

### მპილოზი.

(როსტომი თვალებ დათხრილ-გატალებული. გავერანებულ ბა-  
რაკონის სახლის ეზაში დიდი მუხის ქვეშ და მიწი ვაჟი, თვალებ  
წახედარი ანტონი. როსტომს ჩანგური უკავია ხელში.)

ანტონი. (მოქვევა მანას ყელზე)

ქრისტე ალდგა, მამა-ჩემო!

როსტომ. ჭეშმარიტად, ჩემლ შვილო!

ხმაზე ვიცან ჩემი ანტონ,

თვარა თვალით ვერ გიხილო!..

(ჩავთვევა ანტონს გულში და ჰეორენს)  
ვინ მომგვარა შენი თავი?  
როგორა ხარ ჯანად-ტანად?

**ატანი.** თუ შენ არ გაქვს მზერა თვალში,  
არც მე დავრჩი მამზერალად!  
გადამიგდეს ბურთი ცეცხლში,  
მივადექი როცა თორნეს,  
ხაბაზებმა ჩამაყუდეს,  
დამწვეს მზერა, დამალონეს.  
ჩემს ელენეს, ჩემს ამხანაგს  
დამაშორეს, გამომაგდეს;  
მომიყვანეს ბარაკონში  
და ჭისკარში შემომაგდეს.  
შენს ოხვრაზე მოგაგენი,  
ვინც მომაგდო, დამაბარა:  
რაც მოგიხდა, პაპუნათი  
და დაგვწყევლით ჩვენ ნულარა.

**როსტომ.** შვილო ჩემო სპულდავო!  
მე დამსაჯეს, ახი იყო,  
მაგრამ შენ, ჩჩილს, რას გერჩოდნენ,  
შენი რალა ბრალი იყო?  
**ახტანი.** ის, რომ მამის სისხლს ეძიებს,  
რას იმცნობსო ყველაფერსა.

**როსტომ.** ალექსანდრე მეფე იყო,  
უთვალომაც ავნო მტერსა.  
მაგრამ მე სულს არ წავიწყმენდ:  
აწ არლავის მინდა ავრ—  
თუ ავ-სულად გავისარჯე—  
შეიწირა ჩემი თავი!  
შენც ხომ გახსოვს, ბარაკონში  
მეფემ თვის ძმა მოგვიგზავნა!  
მეფეს თურმე პირზე ქონდა  
ჩემი ზრუნვა, გულს სატანა.

იოსები თვის ძმას ენუო,  
 მე ვენდევი კათალიკოსს;  
 ხატზე მფიცა, ფიცი გატყდა,  
 მეტი ცოდვა რა უნდ იყოს!?  
 კათალიკოსს ბრალი არ აქვს;—  
 მოტყუილდა ის სიტყვაში,  
 თუნდა თავზე დაიმცხრომა  
 თვისად რისხვა მან გენათში:  
 გაიძარცვა სამკაული,  
 ხარისხზედაც იღო ხელი;  
 მწირი მწირად დაეყუდა  
 დღე-ღამ მცხარე ცრემლის შლვრელი.  
 რა რო მეფე შეაჩენა,  
 ამოწყვეტა უკიუინა;  
 „რას შეგპირდი, აგისრულე,“  
 მეფემ თუნდა დაიჯინა.

**ანტონ.** რას შეპირდა?

**რთაგომ.** მე მოგზავნილ  
 კათალიკოსს შევევედრე,  
 რომ არ მოგვკლან და ალვუთქვი  
 მეფის ყმობა ფიცის მერე.  
 მეფეს ეთქვა: ლმერთსა გფიცავ,  
 არც მოვკლავ და პატივს დიდს ვსცემ  
 და ქვეყანას იმ პატივით  
 გავაოცებ, გავაკვირვებ.  
 არც მომკლა და რაც თქვა, ქვეც ქნა,  
 დედა-მიწა გააკვირვა.  
 ამისთანა მეფის პატივს  
 მე მერჩია მთლად განწირვა.  
 სული შემჩხა იმისთვის, რომ  
 დღისით დღეზე ვიხარშოდე,  
 მოველოდე სიკვდილს მუდამ,  
 ვკვდებოდე და არც ვკვდებოდე.

**ანტონ.** როგორ იყო, მომიუევი,  
მამა-ჩემო, დაწვრილებით.  
ეს ალდგომა გავატაროთ  
გულ-საწვავი შოგონებით.

**როსტომ.** მოდი, შვილი, ჩამიჯედი  
კალთაში და გეტყვი ყველას,  
რაც მომიხდა, ისევ ჩემით  
და ვერც ვბედავ ვერვის წყევლას.  
დიდი ხნიდგან ზოგ-ზოგ თავადს  
მეფებთან ქიშპი გვქონდა,  
მორჩილობა არც ამ მეფის,  
არც მის მამის არ გვინდოდა.  
ალექსანდრე ჯავრმა მოკლა,  
სოლომონმა დაგვამარცხა,  
მაგრამ ჩემი დამარცხება  
ლალატობა იყო რაცლა.  
რომ მე ძალით ვერ მიხელთეს,  
ოსტატობას მიჰყვეს ხელი,  
მისთვის უფრო, რომ მეფისთვის  
ხრესილზე უნდ მეწყო ხელი:  
მე თათრებთან მქონდა განთქმა,  
დავპირდი მას დავატყუე,  
სოლომონმა გაიმარჯვა,  
მე შევძრწუნდი, რომ ვიცრუე,  
და მელოდა მეფის რისხვა;  
რიდეულად შორით ვბლვერდი,  
სანამ მის ძმის, იოსების  
ნდობით ღვლერქს არ წავიჭერდი.  
მიმიტყუეს გეგუთამდი,  
ლევან იაშვილის სახლში,  
წაგვესიენ მეფის ყმები,  
ამოგვართვეს ჩინი თვალში.  
გიორგი რომ გმირი იყო,

ორმა კაცმა ვერ დასძალა.  
 მეფეს ხანჯლით შეუტევა,  
 მაგრამ ვინცლამ არ აცალა;  
 მძიმეთ დაჭრა, წააქცია,  
 მეფე იჯდა კარში ქვაზე  
 ერთი წარბიც არ შეხარა,  
 ისე მოკვდა მეფის თვალზე.  
 ჭრილობაც და თვალის დათხრაც  
 ორივ ვეღარ აიტანა,  
 წავიდა და ჩემი სულიც  
 ჩემთა შველამ წაატანა!  
 ის მოკვდა და რვა მამაშვილს  
 მთელი ღამე თავზე გვთოვდა.  
 თვალ-დათხრილებს ჩემი ძალლი  
 ყმუოდა და დაგვზუოდა  
 მაშინ, როცა შიგნი სეხლში  
 წერეთელი ქეიფობდა.  
 ძალლს თვის მოთქმა დაუწუნეს,  
 დასჭრესა და იქვე მოკვდა.  
 ეს მეწყინა, როგორც შვილი  
 ერთგულებისთვის მაყვარდა;  
 მანამდი გაჩუმებულსა  
 ტირილი ამომივარდა...  
 მეფეს, რა თვალი დაგვთხარა,  
 ქუთაისში ეკრა თავი.  
 რა რომ პაპუნას აჩუქა  
 ხვადაბუნების მფარცხავი.  
 ბევრი დამრჩა წვრილმანობა,  
 რა მომაყოლებს ყველასა?  
 ჯერ ვარციხეში გვიახლეს,  
 კარვებად ვდგამდით თექასა.  
 მეფემ მე გადამიტყუა  
 კურდლელზე სანადიროთა,

ნავით რიონზე გადაგვსხეს,  
დალუპეს სასათუოთა.  
გაღმა ჯარები დამირჩა,  
ჩიტმა დაგვძახა თავზედა,  
წინა გრძნობამა შეგვბოჭა,  
ნისლი მოგვეცვა თვალზედა.  
ახლა მოელ ღამეს ნათოვი,  
გალუგებულნი წაგვლეკა,  
ვინდაცა კეთილმა სულმა,  
ყკლესიაში შაგვრეკა.  
აქიდგან ვირზე შესმული  
მოდინახეში შემდენეს.  
ბზობა დღეს წირვის შემდგომად  
შანის მოგებით მომძებნეს.  
მითხრა პაპუნამ: როსტომო,  
გაგიშვებ, მაგრამ მიჭირსო:  
ხვალაბუნებში თაველ-პურს  
აღარ გაუშვებ ერთ ძირსო!  
მეც მივახალე: პაპუნა,  
რაც ვქენი, ცოტა მიქნია.  
მიკვირს, ვახ, ახლაც შემეძლოს,  
ფარცხვასთან რად არ მიხვნია?!  
მაშინ გამიშვა პაპუნამ,  
მაახლა ათი მხედარი,  
მათ ბარაკონში დამაგდეს...  
ჩემი ამბავიც ეს არი.

**ანტონ.** სად გყავან ჩემი ძმანები?  
ნუ თუ სულ ყველა მკვდარია?

**როსტომი.** მეთოდე კანდელაკსა. ჰყავს.  
ვინ სად და ვინ სად არ გდია!  
სხვის კარზე დალინწილობენ.  
სჯობს, რომ არ იყონ ცოცოცხალი!  
და მეც... ოჯ, ღმერთო, ნუ მიწყენ,

რას მტანჯავ? ბარემ მომკალი!

**ახტონ.** თქვენ რომ წახვედით მეფესთან,  
აქ, ბრაკონში მოცვინდენ.

დედა მითრიეს ფეხითა;  
ირემ-ფრინვლების სისხლს ღვრიდენ;  
ცოდვისა იყო განკითხვა  
ამ ჩვენს უბედურს თავზედა...  
ალდგომა არის, მამილო,  
იმდერე რამე ჩანგზედა!

(შემოგა მესტვირე ქალიაშვალი და მისცემს ხელში წერილს  
და ბატის კვერცხს როსტომს)

**როსტომ.** რა ამბავია? ვინა ხარ?

**ქალიაშვილი.** გახლავარ ქალიაშვილი.

წითელ ალდგომას გილოცავს  
წერილით ჯაფარაშვილი.

**როსტომ** (ნაწყენი). ღმერთი შეარცხვენს, მის წერილს  
მე წავიკითხო კარგადა!

**ქალიაშვილი.** მაშ შეეუბერავ მეფევ სტვირს,  
ჩაგირაკრაკებ შაქრადა!

(გაბერავს სტვირს და ამდერებს.)

„სწორედ წესი არს ბრძისათვის:  
კაცნი ჯოხით წინ უძლოდნენ“...\*)

**როსტომი** (დაამდერებს ამოკვნესით ჩანგზე).

წაქცეულზედა სულ ყველა  
გამარჯვებული გმირია;  
ვაშკაცა დაცემულისა  
წიხლის კვრა აღარ ჭირია.

\*) „კრებულის“ მე-VII ნომერშია მოთავსებული ეს ლექსი...  
ავტორი.

ეგრეა შენი ჯაფარი:  
 მილოცავს ქრისტეს აღდგომას,  
 ბაგრამ აძითი ვერც იგი  
 ვერ ელირსება აღდგომას!

ქალიაშვილი (ჩაიწენდს ყელს და მძლავრად დასძახებს სტურზე):

ამოთქვი, ქალიაშვილო,  
 პირში არ გიდევს აფშარა:  
 სოლომონისთანა მეფე  
 იმერეთში არ დამჯდარა;  
 გახელდება, გარისხდება  
 როგორც ყირიმი შაშხანა!  
 სოლომონ ბრძანა: იქსო,  
 რამაც რომ გამაჩინეო,  
 ის ჩემი მტერი მომეკლას,  
 მაცოცხლე და მარჩინეო!  
 რაც გამოდგა თავადები,  
 ან ერთს რა ვაწყენიეო?  
 ოქროს გვირგვინოსანი ვარ,  
 არ ვარ ხელმწიფე მცირეო.  
 ამისი ავი კაცი ვარ:  
 ტყვე არვის ვაყიდვინეო!  
 სადაც ავი კაცი იყო,  
 გზა-შარას ამოვკირეო;  
 მწყემსი გავუშვი მინდორში,  
 გრილოს ქვეშ მივაძინეო,  
 სამი წლის ხელი მამალი  
 შხვეფებში ავაყიდლეო;  
 ქვრივი ვახარე, ობოლო,  
 ბრძას თვალი ავუხილეო,  
 გოგოს და ბიჭის თამაში  
 მინდორში გავაჩინეო.  
 მაგ საქმისთვის, ერისთავო,  
 რა საქმე მოვიხდინეო:

მუხურის ციხეს გიქებდენ,  
ქფილივით გამოვქფილეო;  
შემოხიზნილი ტყვეები  
სულ ყველა აგიტირეო...

**რთასტომი.** (ბოხის ხმით დაუგრიალებს)

მდიდარი იყო როსტომი,  
დიდობდა ბარაკონშია;  
წარმავალია რამ ყოვლი  
არ მოღიოდა გონშია.  
მას ჰყავდა გუნდი მტაცებელ  
ფრინველთა—ორბი სვავია...  
ყველას ვინ დათვლის და ანაც  
ის რალა საკითხავია!?

დილ-დილაობით დაჭკლავდნენ,  
გაატყავებდენ დიდ ხარსა  
და გაღუგდებენ თოულში  
გუნდსა, შიმშილით მყვირალსა.  
წაესეოდენ, ჩხუბობდენ,  
ერთმანეთს სისხლს ადენდენ.  
რამდენსაც ერთი მეორეს,  
მძორს იმდენს რასლა აკლებდენ?  
მაგრამ როდესაც არწივებს  
გამოუღებდენ კარებსა,  
სულ-ყველა შეყუჩდებოდა,  
შესწყვეტდა ჩხუბსა ცხარესა.  
მბრძანებელი ყავს კაცთ გუნდებს  
არწივის თანაბარალა:  
მეფე რომ სალმე ალჩნდება,  
ყმები იყუჩვენ წყნარადა!  
მე-კი, მე წესი ბუნების  
უარ-ვყავ, თავი წავაგე,  
და სოლომონის დიდების  
ხალხში მით ძეგლი ჯვაგე.

„დიდი“ უწოდეს დიდებით,  
 შეუწყვეს ლექსი ტკბილია;  
 მოიხსენიებს თაყვანით  
 იმერთა შვილი-შვილია,  
 რომ მეტოქენი მოშლოდენ  
 ალექსანდრესა მეფესა,  
 ვერ გაითქვამდა სოლომონ  
 ვერც გულს და ვეღარც ხელებსა.  
 მე მოღალატე-ორგულმა  
 ვაჭვდე მის გვირგვინს თვალია:  
 მე წავიხდინე თუნდ თავი—  
 ვასრულებინუ ვალია!  
 სამშობლოს ამით ვარგე მეც—  
 მეფესა უმსახურნია:  
 ჰგაუს, ამა ქვეყნად ბოროტიც  
 არასფრად დასაწუნია!

სეგასცი მ. გაჩეჩილაძე

# გლეხი პატი

(რომანი \*)

გილეჭელმ ფონ-ბოლენციასა

1x

ზაფხულმა გაზაფხულის იმედები ვერ გაამართლა. ხულუნ-გომ კარგათ იზამთრა და თბილი გაზაფხულის წყალობით გა-მაგრდა და მაღლა აიწია, საანეულ ომაც ჩინებულად წამოიწია, ისე რომ მაისში შვრიასა და კართოფილის მაცქერალს გული და სული გაუნათლდებოდა. წვიმიანი და მშრალი დღეები სწო-რედ კარგათ იცვლებოდნენ და ოცნების პომშიფებას ხელ უწ-ყობდნენ. ჭვავმა დროზედ დაიყარა თავთავი. თიბათვის პირ-ველ რიცხვებში ყანები. ისე მშვენივრად გამოიყურებოდნენ, რომ კაი მოსავლის იმედს უნერგავდნენ კრცსა.

მემამულეთა უმრავლესობა, რომელიც უკანასკნელი წლე-ბის მოუსავლობით სულით დაცემულიყო და გაჭირვებიდან გამოსვლის იმედი სრულიად დაეკარგა, ამ წელიწადს კვლავ გამოცოცხლდა და კვლაბ დაიბადა. არა წოდება არ ცხოვა რობს ასე იმედებით, როგორც გლეხობა.

დათესვიდან მოყოლებული მკის უკანასკნელ დღემდის გლეხი სულ შიშა და იმედს შუა. იმის გასაკეთებლად საკმა-რისია მხოლოდ ერთი დღე და სანაცვლოდ, თუ გადუბრუნდა ჩარხი, ერთ საათში სულ მთლად დაიღუპება.

საიმედო გაზაფხულს ცივი და წვიმიანი ზაფხული მოჰყვა. უცბათ წამოწეული ყანები უცბათვე შეჩერდნენ და ბევრ აღ-გილას წაწვნენ ჭვავი. ისეთ დღეში იყო, რომ კაცს ეგონებო-

\*) იხ. «მოაშენ» № 11. 1903 წლისა.

და რაღაც უზარჩაზარი გორგილს გაუვლია და იმას გაუქეცავს ასე უღმერთოთაო. თავთავს სინათლე და პური აკლდა და, რასაკვირველია, ვერც დაპურდა, ყანებში ლალალუნტამ და სხვა უფარგის ბალახ-ბულახმა წამოჰყო თავი. ადგილ-ადგილ ქარი თუ წამოაყენებდა გაქელილ პურსა, თორედ სხვა აღარა ეშველებოდა-რა. თავთავი სწორედ არ იდგა და, რასაკვირველია, ვერც ქარი ხვდებოდა და ვერც სინათლე, რაც ყოველ არსებისათვის და მეთ უშეტეს მცენარეობისთვის უსაჭიროეს საგანს შეადგენს. პური უფრო ნესტიან ნიადაგისკენ იწევდა, რომელიც ფესვებს თუმცა საჭირო საზრდოს აძლევდა, თავთავს კი მაინც ვერ უძლვებოდა და საჭირო ძალას ვერ უზიარებდა.

ასე სკენებოდნენ ყანები და მარცვალი ვერა პურდებოდა. თავთავი ან სულ ცალიერი იყო ან მსუბუქი და ოდი ნელ ნელა მარცვალს დღეს ულევდა.

ბალახი ჩინებული მოვიდა. ნესტიან და ჭაობიან ადგილებზედაც კი მშრალი გაზაფხულის წყალობით წელს ისეკი ჩინებული ბალახი მოვიდა, როგორიც ხნიერ კაცებსაც არც კი ასოვდათ წარსულში. მკის დრო ჯერ კიდევ არ მოახლოვებულიყო, რომ წვიმები დაიწყო, მაგრამ გლეხობამ ჩვეულებისამდებრ მაინც მიჰყო მკას ხელი. გამოულეველი ხომ არ იქნება, აღარ გადიდარებს? მოწყალე ღმერთი განა თავისევ ნაწყალობ სიკეთეს დასალუბად გაიმეტებს? — ჰფიქრობდა თითქმის ყოველი გლეხი.

მაგრამ კოკიპირული წვიმები აღარ თავდებოდნენ. ეკლესიაში გულმოლგინეთ ლოცულობდნენ გლეხები და ღმერთს კაი დარს შესთხოვდნენ, რომ პურის ალაგება მოეხერხებინათ, მაგრამ წვიმა მაინც გამუდმებით უშხაპუნებდა. შვიდი კვირის განმავლობაში ერთხელ არ გამოიდარა და ი დალოცვილმა მზემ ერთი საათი რა არის, ერთი საათითაც კი არ გამოიხედა და ეს კი სულ იმის ბრალი იყო, რომ შვიდ ყრმათა დღეს ცუდი დარი იდგა.

როცა გადიდარა, მაშინ გვიან-და იყო — თითქმის ერთი კვირით შეგვიანდნენ გლეხები. მიუხედავათ იმისა, რომ თივა-

სიფრთხილით დიდ, ვეებერთელა, ზეინებად დასდგეს, ნესტი მაინც გასულიყო ძირამდის და თივა სულ ერთიანად დაეღუპა. როცა ზეინები დაშალეს, თივას ორთქლი და მყრალი სუნი ასდიოდა, რადგან დაშპალიყო ტა დაბუდგულს წაგავჭა. გაფუჭებულ თივას საქონელი პირს აღარ აკარებდა. ისე რომ სათივეზედ კი აღარ ინახავდნენ, სანავეში ჰყრილნენ, ან არა და—საქონელს ფეხ-ქვეშ უგებდნენ.

ბოლოს მზეც გამოჩნდა, რომელიც ორი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ ათბობდა დედა-მიწას. „ღმერთი მოწყალეა! — ამბობდა მღვდელი ეკლესიაში. — უყურეთ რა ჩინებულ მზეს გვაძლევს“!

გლეხები გულ-მოდგინეთ უგდებდნენ ყურსა: ამა მღვდელს წინააღმდეგობას ხომ ვერ გაუწევდნენ? მაგრამ გულის სიღრმეში კი ღვთის განგების უწინდელ მორჩილებას ვეღარ პოულობდნენ გლეხები. „რაც უფრო ძალიან გვიჭირს, მით უფრო ახლოა ხვთის შეწევნა“-ო. ან „ვინც უზენაესს მიენდობა, სე ქვიშაზედ როდი აშენებს სახლსაო“, მართალია ჩინებულად ლაპარაკობდა მღვდელი, მაგრამ ხან-და ხან კი კაცს ეგენებოდა ზეცასაც ქვეყნიურ უფროსებთან ერთად ნაკლებათ უნდა შესტკიოდეთ გლეხობისთვის გული და გლეხების საჭიროება ნაკლებათ უნდა ესმოდეთო. მაშ სხვა რითი უნდა ასხნილიყო ასეთი უსამართლობა, რომ ეხლა, როცა საჭირო აღარ არის, ასეთი ჩინებული დარი დადგა და მაშინ კი, როდესაც ერთი ამისთანა დღე სულ ერთიანად გამოაკეთებდა გლეხობის საჭმეს, ცაც გარისხებული იყო და ქვეყანაც. ზოგიერთები თავებს აქნევდნენ „ყველაფერი უკულმართად ხდება, ყველა არეულია და კაცმა აღარ იცის რა ჰქნას და როგორ იცხოვროს“-ო, — ამბობდნენ.

ავერ ძნასაც დაუწყეს ზიღვა. ცხადი იყო, რომ წელს ბზებევრი უნდა მოსულიყო. როცა არ გაითელა ჭვავი კიდევ ბლობათ მოჰკრიბავდა ადამიანი. მაგრამ გათელილ აღვილებში კი ყანები საძაგელ სურათს წარმოადგენდნენ. მხოლოდ ეხლა, როცა მკას შეუდგნენ, ცხადათ დაინახეს, რომ პური არეულისყო

ერთმანეთში და ნაბადს დამსგავსებოდა. თითქმის სულ ვეღარ მუშაობდნენ ყანაში. იმს რასაც უწინ ერთ დღეში გაათავებდნენ, ეხლა ორ დღეს უნდებოდნენ. ყოველ ნაბიჯზედ ახალ ახალ უბედურებას და ნაკლულევნებას წაწყდებოდნენ ხოლმე საბრალო გლეხები. აღგოლ-აღგოლ ნეტისა და ნიადაგთან სიახლოვით პური ალოლვებულიყო. ობსაც და სხვა ავათმყოფობებსაც ბევრი პური გაეფუჭებინათ.

მთელი მარიამობისთვე მშრალი და თბილი ამინდები იღვა. კიდე კარგი, რომ ბოლოს მაინც გადმოხედა ლმერთმა და მკის დროს მაინც არ დაუსველა პური. ამ გარემოებამ ცატათი მაინც გააჩუმა ლვთის მემობელნი და მუდამ მოწუწუნე გლეხები და ვისაც წასრული უამინდობით თავი და ტანი დაეკარგათ, კვლავ შეურიგდნენ ლმერთსა. აფხუს, რომ მღვდელს არ უთხარით ეკლესიაში: „მაგოდენი წყალობა აჩც კი დაგვიმსახურებია ღვთისაგანაო“.

მაგრამ ჯერ უველაფერი დაკარგული არ იყო. ჯერ ნაძოვარი ბალახი მომკილი არ იყო და, ვინ იცის, იქნება იმას მარნც გაეწია გაფუჭებული თივის მაგიერობა და საქონლის საკვები შუა ზამთარში არ გამოლეოდათ. შერიასაც არა უშავდარა, თუმცა ზოგიერთა ქცევა ბოგანო-ჭიას გაეფუჭებინა. კარტოფილი ჩინებული მოვიდა და ბევრი. თუ ენკენისთვე არ უმუქთლებდა, კართოფილს არა უშავდა რა და გლეხობას მაღლობის მეტი არა დარჩებოდა-რა.

\* \* \*

მოხუცმა ბიუტნერმაც მიჰყო პურის მკას ხელი. წელს უველაფერზედ მეტი ჭვავი ჭქონდა მას დათესილი. ერთ ქცევაზედ, საღაც ძალიან მჭიდროთ დაეთესა ჭვავი, სულ ერთიანად წაწოლილიყო. მაგრამ იმ ადგილებში კი, საღაც უფრო თხლათ დაეთესა, თავთავი ქარს წამოეყენებინა და ეხლა სწორედ იდგა.

მოხუცს კაი ხანი ვერ გაებედნა მკა. უკანასკნელ დღეებში ბევრჯერ შემოუარა გლეხმა თავის ყანებს და ერთხელ არხშიც კი გაიარა, რომ დარწმუნებულიყო უველგან შომწი-

ფებული პური თუ არაო. ბიუტნერს როგორლაც ღერო არ  
მოსწონდა და ეგონა მარცვალი ჯერ საკმაოდ გამომხმარი არ  
იქნებაო. ბოლოს ერთ საღამოს კი ბრძანება გასცა:

— ხვალ ადრიანად მესა შევუდგებით!

კარლი შუალამებდის ცელების და ნამგლების ლესვაში  
იყო. გათენებისას ყველანი სამუშაოთ გავიდნენ. ჯერ იმ ქცე-  
ვას შაუდგნენ, რომელიც იქვე შენობასთან იწვებოდა, რადგან  
ეს ნაწილი უფრო ადრე მომწიფდა.

ბრძანებას აღარავინ მოუცადა და სამუშაოდ გამოსულნი  
ყველანი რიგზედ ჩამწკრივდნენ. ყველამ იცოდა წინა წლებში  
ვინ სად იდგა და ეხლა ადგილების ამორჩევაზედ ლაპარაკი სა-  
ჭირო აღარ იყო. მამა წინ მიდიოდა, იმას ტონი. მისდევდა,  
რომელიც ხელეურებს ძნებათა ჰკრავდა, მერე კარლი მიდიო-  
და, იმას თავისი ცოლი ტერეზა მისდევდა. ერნესტინას მოვა-  
ლეობა ულოების მომზადება იყო. ბიუტნერის დედაკაცი ავათ-  
მყოფობისა გამო შინ იყო დარჩომილი.

დილის მხის სხივებზედ ნამგლებმა სასიამოვნო ელვა და-  
იწყეს და სულ მოკლე ხანში ამ ვეებერთელა ქცევას ერთი  
ნაწილი წაწოლილი პურით აიმსო. მოხუცის გამოცდილ ხელ-  
ში, რომელიც მანქანასავით სწორედ მკიდა, ნამგალი საკვირ-  
ვლად თამაშობდა. ღონიერი მოქნევით შიგ ძირში, იქვე მიწას-  
თან გამოსდებდა ხოლმე ჭვავს ნამგალსა და განიერ ტოტათ  
დასცემდა ძირს. კარლი მიუხედავათ იმისა, რომ ოც და ათა-  
წლით მაინც იყო მამაზედ ყმაწვილი, მაინც ვერ გაეჯიბრებოდა  
იმას და მხარში ვერ ამოუდებოდა. მამასა და შვილის შორის  
მანძილი თითქმის სულ ერთი რჩებოდა. კარლი ფეხს არ ად-  
გავდა მამას, რაც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა წინ მოხუ-  
ცი კაცი მიდის და უკან ახალგაზდა და მარჯვე მუშა მისდევს.  
არც თუ ქალებს აკლდათ სამუშაო: იმათი მოვალეობა იყო  
ფეხ-და-ფეხ მიჰყოლოდნენ მამაკაცებს და შეკრული ძნები  
რიგზედ დაეწყოთ.

ასე ნახევარი საათი შეტი იმუშავეს, მაგრამ მოხუცი და-  
სვენების ნიშანს მაინც არ იძლეოდა. ტონის დაღალვისა და

დაჭანცვის ნიშნები გამოაჩნდა. ამ ქალზედ ვერც უწინ იტყო-  
და ადამიანი ხელმარჯვე გოგოაო და ეხლა ხომ, როდესაც იმი-  
სთანა მღვმარეობაში იყო, როცა ყოველი მძიმე სამუშაო  
საძაგლათ მოქმედობს ქალზედ, რაღა მუშაკათ ჩაითვლებოდა?

— გადი, დაანებე თავი,— წასჩურჩულა დას ძმამა, — აქ  
ერნესტინა დადგეს და შენ იმის მაგიერობა გასწიე.

ტონიმ მუშაობას თავი დაანება და ლვთის წინაშე დროც  
კი იყო: საცოდავს ოფლის ხვითქი სდიოდა და სახე დასკარ-  
ხლდებოდა. კარლმა თვალით ანიშნა ერნესტინას, აქ მოდი და  
ტონის ადგილი დაცირეო. მუშაობა ისევ გაცხარდა და მკით  
გატაცებულმა მოხუცმა ცვლილება ვერც კი შენიშნა. ერნეს-  
ტინა ძალიან ხელმარჯვე გოგო იყო. ვინც იმის წერწეტ და  
სუსტ სხეულს შეჰქიდავდა, ვერავინ მიხვდებოდა, რა ლონის და  
უნარის პატრონი იყო.

მხოლოდ მაშინ, როცა მოხუცის ნამგალი ქვას წააწყდა  
და ბრუტნერი იძულებული შეიქმნება ნამგლის გასალესად გა-  
ჩერებულიყო, მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ უფროსი ქალის  
ადგილი ერნესტინას დაეჭირა. ტონი უკან წასულიყო და  
ულოებს ამზადებდა. მოხუცი მოიღუშა, იმ საათში მიხვდა რა-  
მაც გააქცია ტონი, მაგრამ მანც ხსა არ ამოიღო. სანამ მამა  
ნამგალს ჰლესავდა, სხევბმაც ისარგებლეს ამ შემთხვევით და  
ცოტა შეისვენეს, მაგრამ მალე შეუდგნენ საქმეს.

ჯერ რვა საათიც არ იქნებოდა და მზე კი უწყალოთ  
სწვავდა დედამიწას. სახლიდამ ძლივ ძლიერობისას მოჩანჩალდა  
მოხუცის ცოლი და გაწყალებული ლუდი და კარაქ წასმული  
პურის ნაჭრები მოიტანა. ამის შემდეგ ბევრ ხანს არ გაუვლია,  
რომ ყველანი საუზმეთ დასხდნენ.

ამ ბოლოს დროს ძნელად თუ წარმოადგენდნენ ხოლმე  
ბიუტნერის ოჯახის წევრები ასეთ სასიამოვნო სურათს. ჩხუ-  
ბები და უსიამოვნება ძალიან გახშირდა ძმათ შორის. თოთონ  
მოხუცი არც უწინ ააზიზებდა არც შვილებს და არც ოჯახის  
სხვა წევრებს. მამაპურად ის მუდამ ბატონი იყო ოჯახში და  
სავსებით სარგებლობდა ოჯახის თავის და პატრონის უფლე-

ბებით. მაგრამ, მიუხედავათ თავის სისასტიკისა, უსაშაროლობას და ძალმომრეობას მაინც არასოდეს არ კადრულობდა, ყველა-ფერში სიმართლის მხარე ეჭირა, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი სულ ერთიანად გადაირია მათი განწყობილება.

უწინ არც კი მოაგონებდა თავის ცოლს იმის ავათმყოფობას, მაგრამ ეხლა კი, მოიტანდა სიტყვა თუ არ მოიტანდა, მაინც სულ ამ ავათმყოფობას და სნეულობას უკიუინებდა. ხშირად შეილებსაც უსამართლოთ და სასტიკათ ექცეოდა. ცოლმა ზოგიერთ მეზობლებს შესჩივლა კიდეც, ჩემი კაცი ან გამომიცვალეს ან მოშიჯადოვესო.

ვერ იქნა და კარლთან ჰერარ მორიგდა მოხუცი. კარლი როგორც ხელით მუშაობაში არ იყო ხეირიანი, ისე ჭკუით და მოსაზრებითაც იყო ჩამორჩენილი. კარლის ეს სისუსტე უწინაც ყველამ კარგათ იცოდა და, სხვათა შორის, არც მოხუცს გამოეპარა ეს გარემოება, მაგრამ გავეცებულმა ბიუტნერმა თითქო ეხლა შენიშნაო, სულ იგინებოდა, ილანძლებოდა და მუდამ იმას გაიძახოდა, თუ გადაირია ჩვენი ოჯახის საქმე, ამაში მხოლოდ კარლს მიუძღვის დანაშაულიო. და ემუქრებოდა, თუ რჩ გამოიცვლები, სამკვიდროთ აღარაფერს დაგიტოვებ და სულ ცალიერზედ დაგსვამო. კარლი ხმა ამოულებლივ ითმენდა ყველაფერს. მაგრამ სანაცვლოდ ტერეზა გააფარებულ კატასავით იცავდა თავის ქმარს. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბოლოს დროს ისეთი აურზაური და უსიამოვნება უხდებოდათ ოჯახში, რომლის მაგალითს უწინდელ ცხოვრებაში კაცი ვერ იპოვნიდა. ერთხელ ბიუტნერის მეუღლე მომაკვდავსავით გადაფიტრებული და ცაცხვის ფოთოლსავით აცახცახებული, ძლივ ძლივობისას მოჩანჩალდა მინდორზედ და კარლს უთხრა, — ჩქარა წადი, მიხედე, თორემ ტრაუგოტმა და ტერეზამ ლამის ერთმანეთი დასჭამონო.

ოჯახს აწეწილ-დაწეწილ რამეებზედ ეტყობოდა, რომ სახლში რაღაც დიდი ცვლილება უნდა მომხდარიყო.

რიგი და წესი აღარაფერს ეტყობოდა. დილის სისხამზედ სდგებოდნენ, იწყებდნენ მუშაობას და საშინლათ დაჭანცუ-

ლები მეორე დღეს სრულიად უგულოთ და ცივად ეკიდებოდნენ საქმეს. ყაირათს იქ ეწეოდნენ, რაშიაც ყაირათი არც საჭირო იყო და არც არას უშველიდა. ბიუტნერი ცოლს ფლანგვასი და ფუქსაფატობას სწამებდა, თუ საღილზედ ცოტაოდენ კარგ საჭმელს მოიტანდა. იმ დროს, როდესაც საღილი და საჭმელები სრულიად უყუათო მოჰქონდათ სუფრაზედ, თითონ კუჭებს მოხუცის ზურგს უკან იყორავდნენ და იძლობდნენ. ბიუტნერს უნდოდა საქონლისთვისაც დაეკლო საჭმელი. ცხენები ამ ბოლოს დროს თვალითაც კი არა ხედავდნენ შერიასა და სამუშაო კი ერთი ორათ და სამათ მოემატათ. მოხუცი, რომელსაც მთელ მაზრაში ჰქონდა გავარდნილი კაი მემამულეს სახელი და ყველანი ლაპარაკობდნენ, რომ მოხუცი ბიუტნერი საქონელს ძალიან კარგათ უვლისო, ეხლა ჩაივლიდა თუ არა თავისი გამხმარი ცხენებით სოფელში, დიდი და პატარა ულმეროოს უძახდა და ისიც იძულებული იყო მოეაზინა.

ამასთან ყველაზედ ცოტა მოსვენება თითონა ჰქონდა, რადგან გამუდმებულ მუშაობასა და ფიქრში იყო. თვალებ-ჩაცვინული და დაბეჩავებული ხან რას მიაწყდებოდა და ხან რასა. ხანდისხან, უფრო საღილობის დროს, ძილი წამოერეოდა და ვერასგზით ვეღარ დაიმაგრებდა ხოლმე თავსა. ეკლესიაში უწინ სამაგალითო მლოცველ და ლვთის მოყვარულ ბიუტნერს, დაიწყებოდა თუ არა ქადაგება, უსათუოდ წასთვლემდა. ლამ-ლამობით კი ხშირად იღვიძებდა და ლაპარაკით თუ ყვირილით თავის დედაკაცს შიშის ზარს დასცემდა ხოლმე.

რასაც უფრო მეტს სუსტდებოდა ბიუტნერი, თან და თან უფრო ჯიუტდებოდა და თავის ნება ხდებოდა. უცბათ რაღაც სულელური აზრი მოუიღოდა და სანამ არ განახორციელებდა, ვერ მოისვენებდა. მაგალითად, ვინც კი ჰყავდა სახლში, ყველას რომელიმე კლდის ამოგდება-ამოფხვრაზე დააყენებდა და თუმცა ეუბნებოდნენ, სახნავ-სათესი მიწა ისედაც ბევრი გვაქვს და სამუშაოც არ გამოგვლევიაო, მოხუცი მაინც თავის აზრზედ იგვა და ვერას გზით ვერ გადახვევინებდნენ ხოლმე. უოველ წინა-აღმდეგობას ბრაზით და ცოფით ეგებებოდა. ენკენისთვის ერთი

კვირა მიწის პატარა ნაგლეჯის გაწმენდვას მოანდომეს, რომელიც დამტვრეული ქვითა და კლდით იყო მოდებული. ენკვენისთვის ეს ერთი კვირა, რასაკვირველია, სხვა სამუშაოს უფრო სარგებლიანი მოხვარდებოდა.

ბოლოს დროს მოხუცი ბიუტნერი ყველას ებუზლუნებოდა და ეჩეუბებოდა. საკმარისი იყო სულ უბრალო მიზეზი, რომ ბიუტნერი მოთმინებიდან გამოსულიყო და ჩხუბი და დავიდარაბა აეტეხნა.

ერთხელ, როგორლაც, ბიუტნერიანთ გვერდზედ კაპიტანმა შერთვება ჩაიარა და მოჰკრა თუ არა მინდორში მომუშავე ბიუტნერს თვალი, შეაჩერა ცხენი და ტკბილად გამოეხმაურა. მოხუცმა ისე გადახედა კაპიტანს, თითქოს არამც თუ ერთხელ გულახდილი ლაპარაკი ჰქონია იმასთან, თითქოს თავის სიცოცხლეში არც კი უნახავს კაპიტანი და არც არა გაუგონიარა იმისგანაო. როცა კაპიტანმა უწინდელი ლაპარაკი მოაგონა და დაეკითხა — ეხლა როგორლაა შენი საქმეო, მოხუცმა სრულიად მოულოდნელად ლანძღვა-გინება დაიწყო. ბიუტნერი მებატონეებს სწყევლიდა, გლეხების გაღატაკების სურვილს სწამებდა და ისეთ საწყენ სიტყვებს ეცნებოდა, რომ გრაფის მოურავმა ცხენს დეზები ამოუჭირა და გააღმასებულ ბებერს საჩქაროთ თავი დაალწია. ამ ბოლოს დროს ბიუტნერი სოფლის საზოგადოებას და მთავრობასაც წაეჩეუბა. სოფელში მიმავალი გზა ბიუტნერის მამულების საზღვარზედ მიდიოდა. სწორედ ამ გზის პირად ბიუტნერმა ორმო ამოსთხარა, საიდანაც სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის ქვიშას ეზიდებოდა ხოლმე. დროთა ვითარებისა გამო ორმოს ნაპირები ჩაინგრენდა, რასაკვირველია, ორმოს პირი უფრო გაუგანიერდა, ისე რომ ფეხით თუ ცხენებით და ურმებით მოსიარულე მგზავრთათვის ეს ორმო სახითათო ადგილად გადიქცა, მით უმეტეს ნამქერში და ცუდ ამინდებში მთელ სოფელს ეშინოდა ამ ორმოსი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სოფლის საზოგადოებამ სრულიად კანონიერად მოსთხოვა ბიუტნერს ორმოს მოაჯირი შემოავლეო. მაგრამ ბიუტნერმა ამ ბრძანებას არავითარი ყურად-

ლება არ მიაქცია, რადგან დარწმუნებული იყო, თავის მამულში პატრონი და სრული უფალი თითონ უნდა ყოფილიყო და არა სხვები. სოფლის საზოგადოებამ, დაინახა თუ არა, რომ თითონ ვერაფერს გახდებოდა, მაზრის უფროსთან უჩივლა ბიუტნერს. მაზრის უფროსმა არც აცივა, არც აცხელა და გადაჭრით დაუნაშნა ვადა, რომლის განმავლობაში ბიუტნერს უსათუოდ ორმოსთვის მოაჯირი უნდა შემოვლო. გლეხმა თითიც არ გაინძრია და, რასაკვირველია, მთავრობის ბრძანებაც ვერ შეასრულა. მაგრამ არც თუ მთავრობა დარჩა ვალში, რადგან ურჩ და ჯიუტ ბიუტნერს ჯარიმა შეაწერა. გლეხი ილანძლებოდა და იქაურობას იკლებდა, მაგრამ რაც უნდა ეჯიუტნა, მაინც ვერაფერს გახდებოდა. მაზრის უფროსის ბრძანება ბოლოს მაინც უნდა შეესრულებინა და ჯარიმაც ხომ უნდა გადაეხადნა.

განა მარტო ამ საქმეში, საზოგადოთ, ყველაფერში ბიუტნერი ამ ბოლოს დროს ისე იქცეოდა, რომ ზარალი არ ასცდებოდა ხოლმე, თითქომ რაღაც ავმა სულმა დაუბნელა გონება და თვალთ აუბაო. მისი ცოლი, ლვითის წინაშე, მართალს ამბობდა, როცა შესჩივლებდა ხოლმე მეზობლებს: ქმარი გამიფუჭესო.

ბიუტნერს მართლა ზურგს უკან რაღაც შემზარავი მოჩვენება უდგა მუდამ, რომელიც ზურგზედ შეაჯდებოდა, არ ბეინებდა, არბეინებდა და თითქმის გააგივებდა ხოლმე. ბიუტნერმა არ იცოდა სად წასულიყო და ამ საოცარ და საშიშ ძალას სად დაჰმალოდა. იმ დღიდამ, რაც გარჩასოვიც თამასუქი მისცა, ბიუტნერმა მოსვენება დაჰკარგა. ვაჭარი ჯერ ბიუტნერის სახლს არც კი გასცილებოდა, რომ გლეხი მზათ იყო გასულიყო და ფული უკან დაებრუნებინა, თუმცა გარჩას სოვიცის წინააღმდეგ არაფერი ჰქონდა და ვაჭარი მიტომ მეგობრათ და კაი კაცად ეგულებოდა. ერთი ფიქრიც კი იმაზედ, რომ ქვეყნად ისეთი კაცი მოიპოვება, რომელსაც იმისი სული ხელში უჭირავს, ეს ფიქრიც კი შიშის ზარსა სცემდა და მოსვენებას უკარგავდა. იმ კაცს ბიუტნერის ხელმოწერილი

ქართალდის პატარა ნაგლეჯი უჭირავს და ამ ქაღალდში მთელი მისი ბედი და უბედობა გამოიხატება, — ეს აზრი ბიუტნერს ახრჩობდა და დღე თუ ლამე მოსვენებას აღარ აძლევდა, მოჩვენებასავით თანა სდევდა და ლამ-ლამობით გულგახეთქილს ზეზე-წამოაგდებდა და გიჟისავით რაღაც უთავბოლო სიტყვებს აყვირებდა ხოლმე.

პირველად, როდესაც ვილის გასწორების დრო ჯერ კი-დევ შორს იყო, ბიუტნერს საქმის კეთილად დაგვირგვინები-სა და დაბოლოვების იმედი ჰქონდა. ოლონდ მოსავალი მო-ვიდეს კარგი და ბაზარზედ ფასები ნუ დაიკლებენ! უწინ მარტო ჭვავს გაჰყიდდა ხოლმე ორი ათასი მარკისას, რატომ წელს კი ვერ მოხდებოდა ეს ამბავი? მით უშეტეს, რომ წელს ჭვა-ვი ძალიან ბევრი დასთესა. ბზეც ბლომად გაიყიდება, იქნება რამდენიმე ურემი თივაც გაიყიდოს. ასე რომ მარტო შემოდ-გომის ნათესი ცოტა ფულს არ მისცემდა. გაზაფხულზედ ნათე-სი ოჯახს მოხმარდება, გარდა ამისა, ნაწილს გაზაფხულზედ გაჰყიდის.

აი, რის იმედები ჰქონდა გლეხს შემოდგომაზედ. წვიმით დასველებული თივა პირველი მეხი იყო გლეხისთვის. მაშასა-დამე, თივის იმედი აღარ უნდა ჰქონებოდა; ის ერთი ბეწო თივა, რომელიც ათასი ვაი-ვაგლაბით ძლივს გადაარჩინა, თი-თონ. დასჭირდებოდა ზამთარში. მერე პურსაც მოუარეს. ბი-უტნერმა ბევრი ზვინი დასდგა მინდორზედ, ისე, რომ კაცს ეგონებოდა პური ბევრი მოსვლათ. მერე გამომშრალი პური კალოზედაც მიიტანეს.

ბიუტნერს პატარა სალეშავი მანქანა ედგა ეზოში, რო-მელიც ცხენით მოჰყავდათ ხოლმე მოძრაობაში. მაგრამ პუ-რის უშეტეს ნაწილს მაინც ძველებური ჩვეულებით ზამთრო-ბით ჯაჭვებით ჰლეშავდნენ ხოლმე, ასე ბზე უფრო უკეთესი გამოდიოდა, მაგრამ ესეც რომ არა ყოფილიყო, ბიუტნერს საშინლად ეზიზლებოდა ახალი ჩვეულებები და რაღაც მანქა-ნები. მანქანა რაც უნდა იყოს, მაინც მანქანად რჩებოდა. მაგ-რამ წრეულს კი ბიუტნერმა რამდენიმე დღე პური მანქანით

ალექსინა. მაშ რა ექნა? ჭვავს რასაც მალე გაჰყიდდა, ის ერჩივნა.

თვითონ გლეხი გვერდზედ მოსდგომოდა მანქანას, კარლი ძნებს უწყობდა, და ტერეზას ცხენი დაჰყავდა. მოხუცი პურს იღებდა და თითონვე რწყავდა, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, სახე თან-და-თან ელუშებოდა და ეჩრდილებოდა.

— არაფერი გამოდის და არც არა გამოვა-რა! — შესძახებდა ხოლმე იმედ-გადაწყვეტილი.

რაში ეკნაჭება ამოდენი ბზე, თუ პური სულ არ ექნება? მერე კართოფილის ნათესზედ ჰქონდა წელს ჭვავი დათესილი, რომელიც მშვენივრად იყო დანოყივრებული. არც შრომა, არც ჯაფა არა შურდა და მაინც არაფერი გამოვიდა! ზაფხულის პირში ცივი დღეები და ღამეები იდგნენ და ამან სულ ერთიანად გააფუქსავატა გლეხის ნამუშავარი.

ბოლოს ანიავებული და კარგათ გაცრილი ხორბალი ვეებერთელა მთათ დააგროვეს კალოზედ.

— ნეტა კაი ფასი მაინც მომცენ! — სთქვა მოხუცმა და შვილი სამიკიტნოში გაჰყზავნა. კარლს ერთი ჭიქა ლუდი უნდა დაელია და აღგილობრივ გაზეთში ენახა ჭვავი როგორა ჰეთა-სობდა ბაზარში.

კარლი დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, ენკენისთვის პირველ კვირას ჭვავი ოთხმოცულაათ პფენიგათ\*) პფასობდა. კაშელერნსტი ამბობს, ეს ფასი უეჭველად იკლებს, რადგან საზღვარ ფარეთიდანაც ბევრს შემოიტანენ ეხლაო. კარლი იმეორებდა იმას, რაც წაეკითხა ან გაეგონა და თითონ არც კი ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. კაშელერნსტი თითქოს ამას ამბობდა: „ჭკვიანურად ის მოიქცევა, ვინც გაზაფხულამდის შეინახავს ჭვავს, რადგან კაი ფასს მხოლოდ მაშინ აიღებსო“.

ბიუტნერმა წარმოიდგინა რანაირი დამშვიდებული სახით იტყოდა კაშელერნსტი ამ სიტყვებსა. დღვილი სათქმელია:

\*) გერმანიაში და ავსტრიაში პფენიგი თითქმის ჭაპიკის მეოთხედს უდრის.

გაზიფხულამდის შეინახე! თქ, ის საზიზლარი და საძაგელი! თითქოს არ იცოდეს, რომ ბიუტნერი იძულებულია უსათუოდ ეხლავე გაჰყიდოს ჭვავი; თითქოს არ იცოდეს, რომ რა ფასიც უნდა მისცენ, მაინც მისცემს. ვინ ეკითხებოდა, ვინ ეხვეწებოდა მეგობრული რჩევა მომეციო? მერე ვინ აძლევს. ამ რჩევას? — ის კაცი, ვინც მოულოდნელად, ვერაგულად მოსთხოვა ვალის გადახდა! ამ ფიქრებთან გლეხმა ყელს იტაცა ხელი და, თითქოს რაღაცა ახრჩობსო, სცდილობდა ნერწყვი ჩაეყლაპა.

ბიუტნერმა ანგარიში დაიწყო. ანგარიშის დრო სრულის საიდუმლობით ჰქონდა ხოლმე ბიუტნერს მოცული. საანგარიშო დავთრები არასოდეს არა ჰქონია ბიუტნერს და მთელი წლის ხარჯთ-აღრიცხვას ისე, ჩაუწერლად იხსომებდა. ბიუტნერს შეეძლო უკანასკნელ გროშამდის მოეგონა რამდენიმე წლის წინათ, დახარჯული ფული. თუმცა დავთრები არა ჰქონდა და ხარჯის თუ შემოსავლის ჩაწერა არ უყვარდა, მაინც დროგამოშვებით შემოსავლის და ხარჯის ჯამი გამოჰყავდა ხოლმე. ამისთანა დროს ბიუტნერი ან კედელს ან რომელიმე მაგიდას შიაღებოდა ცარცით და სულ ერთიანად. ციფრებით აავრცელებდა ხოლმე. კედელზედ ან მაგიდაზედ ციფრებს ჩამოამწკრივებდა და მთელ არითმეტიკის ცოდნას გამოიყენებდა ხოლმე. მაგრამ ამ ციფრების და ანგარიშების საიდუმლო აზრი მხოლოდ ბიუტნერს ესმოდა. ბევრიც რომ ეყურნათ ამ ანგარიშისათვის, მაინც ვერაფერს გაიგებდნენ, მაგრამ ვაიმის ბრალი, ვინც იმ დროს ოთახში დარჩომას მოინდომებდა. მოხუცის ეს ზასიათი მთელმა ოჯახმა მშვენივრად იცოდა. თუ ვინმე იტყოდა: „მამა ანგარიშობსო“, ყველა სცდილობდა მოშორებოდა, რაღვან კარგათ იცოდნენ ამისთანა დროს ვერავინ ვერაფერს გახდებოდა.

მოხუცმა ბიუტნერმა ეხლაც ანგარიშს მიჰყო ხელი. ჯამი მეტად უბირი და აშკარა იყო: რვასი მარკა. ამაზედ მეტს ვერ იშოვნიდა. ეს ფული, რასაცირველია, არ ეყოფოდა, რომ თამასუქიც გამოესყიდნა და სარგებელიც გაესტუმრებინა.

მოხუცმა, მუშტი მოკუმშა, თითქო ვიღაცას ემუქრებაო. ვისი რა ბრალი იყო, რომ იმას მოსავალი არ უვარებდა? რა უნდა ექნა—ლმერთი გაემტყუნებინა, თუ ვისმეზედ შეეჩივლა მისთვის? ვინ იყო იმისი მტერი, ან სად იყო ის იღუმალი ძალა, რომელმაც ოჯახს ნიათი გამოულია?

გლეხში ვიღაცას მუშტი მოუჯერა, მაგრამ მოკლე ხელი ჰქონდა და მოლერებული მუშტი იმ დაწესებულებებს, მთავრობას თუ ხალხს ვერ მისწვდებოდა, რომელთაც ამოდენა შრომა და დაღვრილი ოფლი გაუფუქსავატეს და გაუწყალეს. სადღაც არსებობდნენ დაუწერელი კანონები, რომელნიც გლეხს თავისი გაუნვითარებელი და გაუნათლებელი ჭკუით ვერ შეეგნო. ეს კანონები რკინის მუხრუჭებსავით შეუბრალებლად უჭერდნენ ბიუტნერსაც და ბაუტნერისთანა სხვა გლეხებსაც, რაღაც უხილავ და იღუმალ ბორკილს უყრიდნენ ხელფეხში და მოისურვებდნენ თუ არა საბრალო გლეხები ამ ბორკილისა და მუხრუჭისაგან განთავისუფლებას, ძირს ეცემოდნენ და საშინელ ტანჯვა-წამებას გამოსცდიდნენ ხოლმე.

ანგარიშის შედეგი ცხადი და აშკარა იყო მისთვის. თუ თამასუქის დახსნას მოინდომებს, სარგებელი ველარ გაუძლვება და თუ სარგებელი მისცა, თამასუქს ველარის უშველის.

ერთი იმდინარე რჩებოდა, რომ გარჩასსოვიცი ადროვებს და სხვა ვადას დაუნიშნავს. ვალის გადასახდელათ.

ჯერ ვალის გასტუმრების ვადა არ მოსულიყო, რომ ბიუტნერი ქალაქში წავიდა, უნდოდა გარჩასსოვიცი ენახა და წინდაწინვე მოჰლაპარაკებოდა ამ საგანზედ. სამუილის კანტორაში რომ შევიდა, ბიუტნერს უთხრეს, პატრონი ჯერ არ მოსულაო. გლეხი წავიდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა, ეხლა გამოუცხადეს—გარჩასსოვიცი ძალიან გართულია საქმეებში და დღეს ვერავის მიიღებსო. მაგრამ ბიუტნერის მოშორება ეგრე ადვილი არ იყო. ბიუტნერი ეუბნებოდა, ღიდი, ძალიან საჭირო საქმე მაქეს ბ. გარჩასსოვიცთან და თუ არა ვნახე, არ შემიძლიანო. კანტორაში მოსამსახურემ მეორეს დაუძახა, რომელსაც „ბ. შეეისი“ უწოდა. ეტყობოდა, ახალ-

გაზღა შმეისმა ყველაფერი იცოდა, რომ გაიგონა თუ არა  
გლეხის გვარი, დაეკითხა: თამასუქის ვადის გამოსაცვლელად  
ხომ არ გასჯილხართო. მოხუცმა მიუგო, სწორედ მაგ საქმეზედა  
ვარ ჩამოსულიოდ და თან უკვირდა, ეს ახალგაზღა შმეისი ასე  
ამაყად რაღ მექტევაო. ორი თვე კიდევ მოიცადოს იმისმა  
ბატონმა, სანამ შვრიისა და ჭვავს კი ფასად გაჰყიდდეს, რა  
ჰქნას, ისე ხომ ვერ გადაყრის ამოდენა შემოსავალს?

— გარჩასსოვიც დიდი სიფრთხელე ჰმართებს — მიუგო შეესმა. — ეხლა ვადა რომ გამოგიცვალოთ, თქვენ შეგიძლიანთ რაც გაბალიათ, ფულათ აქციოთ და გარჩასსოვიც ცალიერზედ დასვათ, მერე თქვენგან რაღა გაძოლნება? გიცნობთ, კარგათ გიცნობთ! ვადა აღარ გამოიცვლება! თუ დროზედ არ ჩაგვაბარებთ ფულს, ჩვენ ნულარაფერში გაგვამტყუნებთ და ნუ დაგვემდურებით.

ამ სიტყვებით შეგისი განცვითრებულ ბიუტნერს ჩამო-  
შორდა და გულ-გრილ ათ რაღაც საქმეებს შეუდგა..

ეს დღე ბიუტნერმა ქალაქში გაატარა. მაინც იმედი ჰქონდა, იქნება საღმე მოვკრა გარჩასსოვიცს თვალი და რამე გავარიგოვო. ბიუტნერს არა სჯეროდა, რომ ეს პასუხი თვით გარჩასსოვიცს ბრძანებით იყო მოცემული, რადგან ვაჭრის გულკეთილობისა და პატიოსნების დიდი იმედი ჰქონდა. მაგრამ ამ დღემაც ისე გაიარა, რომ გარჩასსოვიცი მაინც ვერანახა.

მერე გაიფიქრა, იმ ბანკირთან მაინც წავიდე, ამას წინათ  
ჩემი მამული რომ დაიგირავაო. მაგრამ შენბერგერთანაც უთხ-  
რეს: ბანკირი ძალიანა სწუსს, რომ ვერას გზით ვერ გინახუ-  
ლებთო.

ასე დალონებულ-დაძმარებული ბიუტნერი სალამოზედ ისევ  
გალბენაუში დაბრუნდა.

რავებულ ეტლში იჯდა და გვერდზედ ახალგაზდა ქალი ახლდა \*  
იმ დროს როდესაც თითონ შმეისი ბიუტნერის სახლში შევი-  
და, დიდ შლეიფიანი კაბით ქალი სოფელში დასეირნობდა და  
გალბენაუს ახალგაზდობა განცვითრებაში მოჰყავდა. სოფელში  
არასოდეს არ ენახათ არც ასეთი მაღალ ქუსლებიანი ფეხსაც-  
მელი, არც ასეთი ვიწრო წელი და არც გაბერილი სახელოები.

ედმუნდ შმეისი ახალგაზდა, შუა ტანის კაცი იყო; ულვა-  
შები დაგრეხილი ჰქონდა და თ:მა დახუჭუჭებული. როცა ბიუტ-  
ნერის ეზოში დაგროვილ ნაგავს ჩაუარა, ცხვირი აიბზიკა და:

— აი გლეხუჭას ცხოვრებაო — ზიზლით წარმოსთქვა.

მისი ნავთის ფერი, ჩინებულად შეკერილი ტანსაცმელი და  
ქუევა „პირველი ხარისხისა“ იყო. აქ შმეისის საყვარელ სიტ-  
ყვებსა ვხმარობთ. იქნება მცოდნე კაცს ეოქვა — გარეგნობაზედ  
ნათლად ეტყობა, რომ საქონელი შიგნიდანაც არ უნდა ვარ-  
გოდესო. ეტყობოდა, საზოგადოთ, ქუევა, მიხვრა-მოხვრა თუ  
სიარული სხვებისაგანა. ჰქონდა გადაღებული — უსათუოდ ან  
აფიცრებისაგან გადიღებდა ან ახალგაზდა მოხელეებისაგან, მაგ-  
რამ, სული სწორედ უნდა ამოვიდეს, კარგათ მაინც ვერა ჰქა-  
ნავდა იმათ.

კაცი ძნელათ მიხვდებოდა შმეისი რა ხელობისა უნდა  
ყოფილიყო. გარჩასსოვიცი „ჩემ ერთგულ ყმაწვილს“ ეძახდა.  
შმეისი შენბერგერისთვისაც „მუშაობდა“, თუმცა არავინ არ  
იცოდა და ვერც გაიგებდა, რაში მდგომარეობდა ეს „მუშაო-  
ბა“. ჩვეულებრივ შენბერგერის ნაცვლად ვაჭრობდა  
ხოლმე; თუ საჯაროთ ისყიდებოდა საღმე მამული, შმეისიც  
უსათუოდ იქ გაჩნდებოდა და, თუ საჭირო იყო, მშვენივრად  
ასწევდა ხოლმე მამულის ფასს. თუ რომელიმე პატარა ვაჭარი  
ან ხელოსანი „დროებით გაჭირებაში“ ჩავარდებოდა, შმეისი  
უსათუოდ იქ გაჩნდებოდა და გაჭირებაში მყოფს ხელს გაუ-  
მართავდა ხოლმე. ის მუდამ მზაო იყო სხვის თამასუქი თითონ  
ჩაეგდო ხელში, რასა კვირველია, თუ ხელ-საყრელი იქნებოდა,  
და გაჭირვებულისთვის სხვაგანაც კი ესესხნა ფული, რომნდ

ნაშოვნი ფულიდამ შრომის დასაჯილდოვებლად იმისთვისაც რამე გაენაწილებინათ. თავისი შრომის ფასს კი პატარას არა-სოდეს არა ნიშნავდა. ის სხვა და-სხვა „საყაჭრო სახლების“ სა-ხელით დაბრძანდებოდა სოფლიდან სოფელში თუ ქალაქიდან ქალაქში და რაღაც „ამხანაგობების“ წარმომადგენელად ასახე-ლებდა თავის თავს, თუმცა ამ „ამხანაგებს“ არავინ იცნობდა. ამგვარი საქმე მუდამ გამოულეველი ჰქონდა, ერთი სიტყვით, შეეისი ძალიან საჭირო, მოხერხებული და „ფხიზელი“ კაცი იყო, რომელმაც ყველა კანონი და სასამართლოს ასავალ-ჩა-სავალი ზედ მიწევნით იცოდა. ყველა საეჭვო საქმის ავან-ჩა-ვანი ეს იყო. თითონ თავის თავს დიდის სიამოვნებითა და პა-ტივით „კომისიონერს“ უწოდებდა და სხვას რაც უნდა ეწო-დებინა, ამის დარღი შეეისს სრულიად არა ჰქონდა.

ედმუნდ შეეისი ბიუტნერიანთა სადილობის დროს შე-ვიდა, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ მთელი ოჯახი სუფრას შემოსჯდომოდა, სთხოვა ნუ შესწუხდებითო. ლვთის წინაშე, არც თუ თითონ შეიწუხა თავი! ის პარდაპირ მიუბრუნდა ბიუტნერს და ყველას თანადასწრებით დაეკითხა: გსურთ თუ არა თქვენი თამასუქი დაისხნათ, რომელსაც დღეს ვადა გაუ-ვიდათ?

ყველანი ზეზე წამოცვივდნენ და გაკვირვებულნი უცნობ პირს შესცეკროდნენ, რომელიც ასე მოულოდნელად შეუვარ-და სახლში და ასე მოურიდებლად დაურღვია ოჯახს მყუდრო-ება. მოხუცმა პირველად ვერაფერი უპასუხა, მაგრამ მალე მო-ვიდა გონზე და გამოუცხადა, ეს საქმე მარტო მე და გარჩას-სოვიცს შეგვეხება და მესამე პირს ამ საქმეში მე არ ჩავრევო.

— რას ლაპარაკობთ, რის გარჩასსოვიცი! — შესძახა ედ-მუნდ შეეისმა: — ეხლა ის აღარაფერ შუაშია! ჩემი გმართებთ და მე უნდა გამისწორდეთ, მე! ამაში თქვენ თითონ შეგიძ-ლიანთ დარწმუნდეთ. აი თქვენ თამასუქზედ რა სწერია, წაი-კითხეთ!..

ამ სიტყვებით ახალგაზდა კაცმა თამასუქი გადასცა ბიუტ-ნერს და სთხოვდა მეორე გვერდზედ წარწერილ სიტყვებისთვის მიექცია ყურადღება.

გლეხმა მართლა რაღაც დაინახა, რაღაც სახელს შოჰერა თვალი. მაგრამ ეს რა იმის საქმეა? ამ ახალგაზდა კაცს ერთი გროშიც კი არ მიუკია მისთვის არასოდეს და მისი თამასუქი იმას რად და როგორ უნდა გასჩენოდა ხელში? გლეხმა თავი გააჭია და გაიმეორა, რომ იმას მარტო გარჩასსოვიცისა ჰმართებს და სხვებს არც კი ვიცნობო.

შმეისი მოთმინებიდან გამოვიდა.

— ღმერთო ჩემო! რა დაგემართათ, არ გესმით, თუ როგორ არის თქვენი საქმე? — დაიყვირა შმეისმა: — თქვენ მოუწერეთ თუ არა გარჩასსოვიცს თამასუქზედ ხელი? ეს თქვენი ნაწერი არ არის?

გლეხმა მიუგო: მართალია, ჩემი ხელმოწერილიაო, მაგრამ ერთხელ კიდევ ჩაკვირდა თამასუქს და ერთხელ კიდევ გადააბრუნვა გადმოაბრუნა ქალალი.

— ეს ფული ნალდათ მიიღეთ თუ არა? მე გეკითხებით, შიიღეთ თუ არა გარჩასსოვიცისაგან თავის დროზედ ობასი მარკა?

— მართალია, ფული სრულიად მივიღე, აი აქ, ამ მაგიდაზედ. არა, დედაკაცო, შენც აქ არ იყავი?

დედაკაცმა. თავი დაუჭინია.

— მართალია, ბატონო, მართალი!

— ჰო და მეც მაგას არ ვამბობ? გარჩასსოვიცმა ჩემზედ გაანალდა იქვენი თამასუქი. ამას სამი თვის აკცენტი. ჰქვიან. მაშასაღამე თამასუქის პატრონი ეხლა მე ვარ. საქმე ნათელ, კაშკაშა დღესავით ცხადია და თქვენ რა დაგემართათ, რით ვერ გაიგეთ რას გეუბნებით? თქვენ, როგორც გეტყობათ, ცუდ, უკანონო საქმეს მწამებთ. ამის თქვა გსურია?

გლეხი რეტ დასხმულსავით იდგა და შეეისის ლაპარაკი— დამ ერთი სიტყვაც ვერ გაეგო. მაგრამ რაკი შმეისი იმისკენ იწევდა და, როგორც ეტყობოდა, ძალიან გაჯავრებულიც უნდა ყოფილიყო, გაუბედვათ წაილულლულა:

— არა, რად დაგწამებთ!

— ჰო და მე გეკითხებით!.. — განაგრძო შმეისმა და ამას-თან თვალები საშინლად დაჭყიტა და შუბლი შეიკრა. — თა-

მასუქს დღეს ვადა გაუვიდა და გეკითხებით, გსურთ თუ ზრა ვალის გადახდა?

ამან ხომ უფრო გადარია გლეხი. ოჯახის სხვა წევრების სახე ათას რამეს გამოპატავდა, მაგრამ უფრო კი შიშის ზარსა და ამ უცნობი ბატონის მოკრძალებას, რომელსაც ამ პატარა ქალალდის წყალობით მოხუცედაც და ოჯახის სხვა წევრებზე-დაც რაღაც ძალა და უფლება მოეპოვა.

— მე გეკითხებით, გსურთ თუ არა, მეთქი ვალის გადახდა, ბ. ბიუტნერ? ამის გაგებას, მგონი, დიდი მტვრევა არ უნდა თავისა.

მოხუცმა კიდევ მოინდომა თამასუქის გასინჯვა. აცახცა-ხებულის ხელებით კიდევ გადაატრიალ-გადმოატრიალა თამა-სუქი და გამოყეყეჩებული თვალები ასოებს დააშტერა, მაგრამ ასოები ერთმანეთში ირეოდნენ და, თითქოს დაცვრებიანო, მო-ხუცს ვერც ერთისთვის თვალი ვეღარ მოეკრა.

დედაკაცმა შვილები კარში გარეკა: იმათ არ უნდა ენა-ხათ მამის სისუსტე და სილაჩრე. მერე თითონ მიუახლოვდა ქმარსა.

— დამშვიდდი, კაცო, რა დაგემართა? — ამშვიდებდა დე-დაკაცი,

— ღმერთო ჩემო! — ტირილის კილოთი შესძახა მოხუცმა — რა ვქნა? რა უნდათ ჩემგან, რას მემართლებიან?

— ვალის მიღება სურთ, მეტი არაფერი! გადიხადეთ ოქ-ვენი ფული და მე სამუდამოთ მოგშორდებით, — გაისმა შმეი-სის უგრძნობელ-უგულო პასუხი.

— მერე ფული? სად უნდა გიშოვნოთ ფული, სად? მე ერთი გროშიც არა მაქს.

შეეისმა მხრები შეიშმუშნა და ბერლინის ქუჩებზედ და-სწავლილი სიმღერის სტვენით ოთახი მიათვალ-მოათვალიერა.

ამ დროს ცოლ-ქმარი რაღაც თათბირში იყვნენ. მოხუცს ცოტაოდენი ფული კიდევა ჰქონდა ყუთში. ამ რამდენიმე დღის წინათ გაყიდულ ჭვავის ფულიდან მხოლოდ ესლა გადაერჩინა. იმ ფულიდან ამის სარგებელი ჟა სხვა-და-სხვა გადახადები

გაეტუმრებინა და ამიტომ თითქმის არაფერი დარჩენოდა. თამა-სუქის ვალს ეს ფული რას გაუძლვებოდა?

მოხუცს შუბლზედ ოფლის ხვითქი გასდიოდა. სკამზედ ჩამოჯდარიყო, თვალები ერთი წერტილისთვის დაეშტერებინა და აცახცახებულის ნიკაპით საცოდავ სურათს წარმოადგენდა. დედაკაცი კი ანუგეშებდა.

— კარგი, დამშვიდდი, რა დაგემართა? ბატონი კიდევ და-გვაცდის, გულს ნუ გაიტეს.

მერე ახალგაზდა კაცს მიუბრუნდა. შიშით და კრძალვით მიუჟახლოვდა, ძლივს შეეხსი იმის მკლავს და უთხრა:

— არა, კეთილო ბატონო? ხომ ცოტას კიდევ აღროებთ ჩემ კაცსა? უეჭველად გადავიხდით ვალსა, გროშსაც არ შეგი-ჭამთ, გვერდმუნეთ.

ედმუნდ შმეისმა ცივად მიუგო — მაგისთანა ლაპარაკი ერთ-ხელ და ორჯერ არ გამიგონია და ახალი ვადის დანიშვნაზედ ვერ დაგეთანხმებითო. ეს თამასუქი იმიტომ ვიყიდე, რომ საი-მედო მეგონა. გარჩასსოვიცმა დამარწმუნა, ბ. ბიუტნერს თავი-სუფლად შეგიძლიან ენდოო. მეც სრული დაიმედებული ვიყა-ვი, რომ დღეს უსათუოდ მივიღებდი ჩემ ფულსა; ამის დაგვა-რად სხვა საქმეებიც მოვაწყე — აი რად გაწუხებთ და ძალას რად გატანთ, რომ დღესვე უეჭველად იქნას გადახდილი ვალი. თუ დღესვე არ მივიღე ფული, მაშინ ნება-უნებურად სასა-მართლოს მიუმართავ და ძალით გადაახდევინებთ ვალსაო.

— ნუ თუ სასამართლოს მიმართავთ? — შესძახა შეშინე-ბულმა დედაკაცმა.

— მე სრული უფლება მაქვს, ასე მოვიქცე, — მიუგო ახალ-გაზდა კაცმა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა დედაკაცმა. მერე პირზედ ხელი მიიფარა, ჩუმათ ქვითინი მორთო და თან ამბობდა. — შე საწყალო, შენა, ეხლა რაღა გვეშველება?

ამაზედ პასუხათ მოხუცმა გმინვა მორთო.

და ორთავე რაღაც გაუგებარმა შიშის ზარმა აიტანა. უფ-ლებებზედ და სასამართლოს შესახებ ცნობები მეტად ბუნდოვა-

ნი და დახლართული ჰქონდათ ორთავეს. იმათის აზრით, სასამართლოში საქმის გარჩევას უსათუოდ სატუსალო და საპყრობილე მოსდევდა. სასამართლოსა და ვექილის წინ როგორლაც უსახსროთა ჰერინობდნენ ხოლმე-თავსა. იმათ ეგონათ, აი მოვიდა კიდევ ბოქაული და ჩვენი უკანასკნელი ძროხა წაიყვანაო. თუ მართლა მიჰმართა შეეისმა სასამართლოს, მაშინ სულ დავილუბებით და ველარა გვიშველის-რაო, ჰფიქრობდნენ მოხუცები.

და ის გულადი ბიუტნერი, რომელმაც ორ ოშში თავისი შეუდრევულობა და გმირობა ცხადათ დაამტკიცა, სასამართლოს ხსენებაზედ ცაცხვის ფოთოლსავით ცახცახებდა. კაცს ეგონებოდა, ფხიზელი ჭიუის პატრონი და მუდამ გამჭრიახი ბიუტნერი ეხლა სულ გადაირია და გონება დაჭკარგაო. შიშისგან დაჭუტილ თვალებით ეს სამოცი წლის აღამიანი კატასავით შესცემოდა ამ ახალგაზდა კაცსა და ეგონა ამაზეა დამოკიდებული მთელი ჩემი ბედი და უბედობაო.

ედმუნდ შეეისმა ჯიბილან ოქროს დიდი საათი ამოილო და გასალებს თითი დააჭირა, რისგანაც თავსახური თავისთვად აიხადა.

— მეტი ლოდინი აღარ შემიძლიან! — წარმოსთქვა შედილურად შეეისმა: — ქუჩაზედ ერთი ქალი მიცდის. მშეიცობით, ბატონებო!

ამ სიტყვებით კარებისკენ გასწია. დედაკაცი უკან მიჰყვა და ცუხცუხით და თვალ ცრემლიანი ევედრებოდა არ წასულოცო და რამე შეღავათი მიეცა.

— თუ რამე გაქვთ სათქმელი, სთქვით, რალას უცდით? დრო იგივ ფულია.

ცოლქმარმა კვლავ თათბირი დაიწყეს. ბიუტნერი, თითქოს ჭიუილან შეიშალაო, რაც უნდა ეთქვა ცოლს, ის საცოდავათ სულ იმას იმეორებდა: „არ ვიცი, არ ვიცი“.

— მე მინდა ერთი წინადადება მოგცეთ, — დაწყო ახალ გაზდა კაცმა: — რითიმე უნდა გავათავოთ ეს საქმე თუ არა, მომბეზრდა კიდევც, ღვთის წინაშე, თქვენთან ლაპარაკი. თქვენ

რაც ნაღდი ფული გაქვთ ამ უაშათ სახლში, დღესვე უნდა ჩამაბაროთ და რაც დარჩება, იმის თამასუქი ცალკე უნდა მომცეთ, გესმით? ამ ახალ თამასუქის უკანასკნელ ვადათ ქრისტეშობის-თვის უკანასკელ რიცხვებს დაგინიშნავთ. რასაკვირველია, ამაში ცალკე ფულს გამოგართმევთ. სამი თვის თამასუქებზედ ათ პროცენტს ვიღებ, სამსაც საშუალოს. ეს პირობები კიდევ მსუბუქები არიან, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ თქვენგნით ფულის მიღება ადვილი არ არის. ყაბულსა ხართ თუ არა?

მოხუცმა ვერც ამ ლაპარიკიდან გაიგო რამე, ის მხოლოდ ერთსა ჰქედავდა და ჰგრძნობდა, რომ თუ დასთანხმდებოდა, სასამართლოდან თავს დაიხსნიდა. ბიუტნერი აჩქარებული ყუთ-თან მივიდა, აცახცახებულის ხელებით ამოილო რაც ფული ჰქონდა და მაგიდაზედ გადასთვალი. სულ ას-ოცი მარკა მოგროვდა. ედმუნდ შემასმა თითონაც გადასთვალა ახოხოლავებული ვერცხლის ფული, დანარჩენი წვრილი ფული გლეხისკენ გასწია და უთხრა:

— წვრილ ფულს მე არ ვატარებ.

მერე საათის ძეწკვზედ მიმაგრებული ოქროს ყარანდაში აიღო ხელში და რაღაც ციფრების წერა დაიწყო.

— მაშასადამე ას-ოცი მარკა მექნება ნალდათ მიღებული. დაგრჩებათ გადასახდელი ორას ოთხმოცი მარკა. არა, ბ. ბიუტნერ?

გლეხმა, ცოტა დაფიქრების შემდეგ, თანხმობის ნიშანდ უავი დაუქნია.

— სარგებლითა და სხვა-და-სხვა ხარჯით — გესმით? საშუალო ფულით და გარჩასსოვიცის და ჩემთვის პროცენტებით სულ სამას სამოცი მარკა შესდგება. აი, ეს გემართებათ ამ ას-ოცი მარკის გარდა. სამას სამოცი მარკა, თუ ღმერთი გწამთ, არ დაგავიწყდეთ, სამას სამოცი! აი, ამ თანხის თამასუქი უნდა მომცეთ. ძველ თამასუქს აქვე, თქვენ წინ, დავთხრეწავ. კველა დაფერი აშკარა და ნათელია, არა? — დაეკითხა შმეისი და ჯირიდან თამასუქის, ქალალდები ამოილო.

— მაგრამ, — მალე დასძინა შმეისმა, — სამას სამოცი მარკა რა დიდი ფულია? აი რა აზრი მომივიღა: თქვენ მეურნე ხართ და, რასაკვრელია, ნიადაგის სასუქი დაგჭირდებათ, საქონლის თვის ჩენწოსაც გამოგიგზავნით დაკლებულის ფასით. წელს თივა ნაკლებათ მოვიდა და, ვიცი, შეუ ზამთარში შემოგაკლდებათ თივა. ცოტა მიწავაშლასაც დაგითმობთ. აი ექვსასი მარკის თამასუქი მომეცით. ორას ოცი მარკისას მიწის სასუქს და საქონლისთვის ჩენწოს გამოგიგზავნით. სწორედ კაი დროს მოგესწრობათ, მე და ჩემმა ღმერთმა!

გლეხი ჯერ კიდევ არ მოსულიყო გონებაზედ და ახალგაზდა კაცის ლაპარაკიდან ერთი სიტყვაც არ ესმოდა.

— ნუ თუ არ გესმით, რასაც გეუბნებით, ბ. ბიუტნერ? ამაზედ ადვილი გასაგები რაღა იქნება? — და კვლავ თავიდამ ჩამოუთვალა მოხუცს სუყველაფერი. — თანახმა ხართ თუ არა?

გლეხმა, ცოტა დაფიქრების შემდეგ, მოგო, რომ სასუქს მუდამ ბუნებრივსა ვხმარობ და კაცის ჭიუთა და ხელით გაკეთებულ სასუქზედ პირველად მესმის ლაპარაკიო, არც ჩენწო მინდა, რადგან, იმედი მაქეს, ზამთარი როგორმე ნაშოვარი ბალახით გავატაროო. ის ეხვეწებოდა, თუ ღმერთი გწამო; დამიხსენით იმისთანა რამეებისაგან, რომლებიც არც ჩემ მამა-პაპას ჰყვარებია და არც მე მიყვარსო.

— კარგი! — მიუვო ედმუნდ შეეისმა, როგორცა გსურთ, ისე იყოს, ბ. ბიუტნერ. — ამ სიტყვებით წამოდგა და სერთუკი შეიკრა. — მინდოდა, დახმარება აღმომეჩინა თქვენთვის, მაგრამ თუ დაფასებაც არ შეგძლებიათ...

და ისევ კარებისაკენ გასწია, მაგრამ დედაკაცი უკან გაჰყვა და იმდენს ემუდარა, რომ ისევ დაბრუნდა.

— კაცო! ჭიუა მოიკრიბე, რა დაგემართა? — ეჩიჩინებოდა ქმარს დედაკაცი. — ვერა პხედავ, ბატონს შენთვის სიკეთე უნდა... დასთანხმდი და გამოართვი, რასაც გაძლევს.

ბიუტნერს თავი ძირს ჩაეჭინდრა და ხმას აღარ იღებდა. დედაკაცმა დიდის ფაცი-ფუცით საწერ-კალამი მოიტანა.

— კალამი ხომ კარგია? — დაეკითხა დედაკაცი და უკბის ლო პირით დიდის აღერსით გაულიმა ახალგაზდა კაცსა. უკაც-

რავიდ, ჩვენ იშვიათად თუ დავწერთ რამეს და ამიტომ არც კალამი გვივარება.

შმეისმა თამასუქის ქალალდი სულ შეავსო და, მოუწერა თუ არა ბიუტნერმა ხელი, ძველი იქვე დახია და ნაგლეჯები მოხუცს მიაწოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძველი თამასუქი გაუქმდა და ახლა ახალი შევიდა ძალაშით.

ამის შემდეგ შმეისი დიდიხანი აღარ დარჩენილა. ადგა წასასვლელად, მაგრამ კარტეში გაჩერდა და დაუძახა.

— დანაპირებს ძალიან მალე მიიღებთ, ბ. ბიუტნერ! და რაღა ლაპარაკი უნდა, რომ პირველი ხარისხისა იქნება ყველაფერი. მშვიდობით!

ამასობაში სოფლის ქუჩაზედ შმეისს მეგობარი ქალი მოუთმენლად ელოდა. აშ ხნის განმავლობაში ყველაფერი დაეთვალიერებინა, რაც კი ლირს-შესანიშნავი იყო გალბენაუში: ეკლესია, მღვდლის სახლი, სკოლა, ლარიბთა თავშესაფარი და ცეცხლის მქრობელი რაზმის საწყობი. სხვა აღარაფერი იყო დასათვალიერებელი. სოფლის ტბაში მუდაშ მოცურავე ბატებისაგან წყალი მოსვრილი იყო. სახლები სოფელში დაბლები იყვნენ და ჩალის სახურავები ჰქონდათ. მტვრიან ქუჩებზე მოთხოვთ მოთხოვთ ბავშვები, ქალაქიდამ ჩამობრძანებულ ქალის აზრით, საზიზლები იყვნენ.

მინდვრიდან რამდენიმე ქალი დაბრუნდა სოფელში, რომელთაც მხრებზე თოხები გაეწყოთ და ზედ რაღაც კალათები ეკიდათ. ქალებს ახალგაზღა ვაჟები მისდევლნენ. სოფელში მომავალმა ახალგაზღობამ შორიდანვე მოჰკრა თუ არა ამ საოცარ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალს თვალი, გოგოებმა სიცილ-კისკისი დაიწყეს და ვაჟებმა მუჯლუგუნები წასკეს ქალებსა.

ქალაქის ქალი მეტად განრისხდა სოფლის გოგო-ბიჭების უზრდელობით და პირ-ბაზე ჩამოიფარა.

მაგრამ აგერ გოგო-ბიჭები მიუახლოვდნენ კიდეც ქალსა, ვაჟებმა თვალები ჩააშტერეს სახეში და ქალებმა შეკავებული სიცილით და ფხუკუნით ჩაუარეს.

— ერთი შეხედეთ! — დაიყვირა ვილამაც. — სახეზედ კოლოების შიშით ბადე ჩამოუფარებია!..

ამ შენიშვნას საერთო ხარხარი მოჰყვა.

ედმუნდ შმეისი რომ მოვიდა, თავისი მეგობარი მეტად გაჯავრებული და „სოფლის უზრდელობით“ მოთმინებიდან გამოსული დახვდა.

ივ. ბოლუმთდვინავი.

(შემდეგი იქნება)

# პრემიუმის ველიკე

მოთხოვთა

თქმაგ მიზბათ

(ფრანგული)

(დასასრული \*)

რაც წამოვედით, ჩემმა ტანმა მოსვენება რა არი არ იცოდა, სულ მუდამ მოუცლელი ვიყავ, ერთ ბეჭო ხანს მარტო არ დავრჩენილვარ, დრო არა მქონდა მეფიქრნა. მაინც ვიგრძენ, რომ საზარელია და უღმობელმა სურათებშა, განუწყეტლივ თვალწინ რომ მედგა, გამიღვიძეს ცნება ადამიანის ცხოვრებისა. დაჩლუნგებულ ყრმობისა და გარინდებულ ყმაწვილობის გამს ამ ოცნებას ეძინა ჩემში. როგორლაც ბუნდად გამეღვიძია ეს ცნება, თითქო დიდს ხანს და მწარედ მაჯლაჯუნა მაწვა და როგორც იყო განვთავისუფლდიო. სინამდვილემ ცხოვრებისამ უფრო თავზარი დამცა, ვიდრე სიზმარმა. თვალი გადავავლე ჩვენს მცირე ჯგუფს მაწანწალათა, იქიდან გადავედი მთელს საზოგადოებაზე, გავითვალისწინე ჩვენი ინსტიქტი, ჩვენი წადილი, სწრაფად გამიელვა თვალწინ პარიზში ნახულმა სურათებმა ცხოვრებისამ, გამხეცებულმა ბრბომ, მათმა ჯუჯგურმა და მივხვდი, რომ კანონი ქვეყნიერებისა—ბრძოლაა მეთქი; კანონი ულმობელი, კანონი კაცის მკვლელი. ეს კანონი სხვა

\*) იხ. „მოამბე“ № XI,

და სხვა ხალხთ ერთიმეორებზე ამხედრებს, მაგრამ ამას ოოდი სჯერდება: ერთმანერთს აკლავს ერთისა და იმავე მოდგმის, ერთისა და იმავე ოჯახის, ერთის დედის მუცლიდან გამოსულ შვილებს.—ყოველ ამაღლებულ თვისებას მოკლებულად მეჩვენა სიტყვები: პატიოსნება, სამართლიანობა, მოწყალება, სამშობლო. ამ სიტყვებით სავსეა კლასიკური წიგნები, ეს სიტყვები ნიადაგ გვესმის ჩვენის ყრმებილან მოკიდებული, ამ სიტყვებით გვარწევინ, გვხიბლავენ, რომ უფრო ადვილად მოვატყუოთ გულკეთილნი და სუსტნი, უფრო ადვილად დავიმონთ, უფრო ადვილად წავახრჩოთ. რაღაა ის სამშობლო, რომლის სახელით ამდენ სისულელეს და ავკაცობას სჩადიან; რომელმაც ჩვენ მშობელს ბუნებას მოგვწყვიტა და მძულვარებით აღტყინებული, მშიერი, ტიტველი დედინაცვალ მიწაზე დაგნაყარა?.. რაღაა ის სამშობლო, რომელიც ჩვენ გენერლად განხორციელდა, უტვინო და ხალხს დამაწიოკებელ გენერლად, რომელიც არბევდა მოხუცებს, უღმერთოდ სჩეხდა ტყეს; განხორციელდა ქირურგად, რომელიც ავადმყოფებს პანლურსა სცემდა და შვილებზე მგლოვიარედ მყოფ მოხუც დედებს ლანძღავდა და ათრევდა?!. რაღაა ის სამშობლო, რომლის ყოველ ნაბიჯზე საფლავი ჩნდება; საქმარისია ამ სამშობლომ შეხედოს დამშვიდებულ წყალს მდინარისას, რომ წყალი მყისვე სისხლად იქცეს; ეს სამშობლო სულ მიდის წინ, შეუწყვეტლივ, უფრო ღრმა საფლავებსა სთხრის და შიგ იხრწნებიან კაცობრიობის საუკეთესო ძენი. რაღაა ასეთი სამშობლო? გავშემდი, როცა პირველად დავუკვირდი და ვსტკვი, სახელოვანნი და ქებულნი ისინი არიან, ვინც უფრო მეტი გაძარცვეს, ვინც უფრო მეტი ხალხი მოჰკლეს, ვინც უფრო მეტი სახლები გადასწვეს. თუ ვინმე გაჭირვებულმა დამით სადმე ყრუ ქუჩის მოსახვევში კაცი მოჰკლა, სიკვდილითა სჯიან და თავშოკეთილს ტანს მისას სამარცხინო სამარეში აგდებენ, მძოოსავით. მაგრამ დამპყრობი კი, რომელმაც გადასწვა ქალაქნი, ამოსწყვიტა ხალხი სულელ და ლაჩარ საზოგადოების კერპად ხდება; მის პატივსაცემლად აღმართავენ ხოლმე დიდების თაღებს, უმაღლეს სვეტებს ბრინ-

ჯაოსას და ტაძრებში კი ხალხი ღვთის მოშიუ სახით შის მარმა-  
რილოს საფლავის წინ იჩოქებს, თვით ამ საფლავს წმინდანნი  
და ანგელოსნი იფარავენ, რომელთაც თვალი კმაყოფილისა და  
აღტაცებულის უფალისა ზევიდან დასკერის!.. სინიდისმა დამ-  
ტანჯა, დამტანჯა საშინლად, რომ ამდენი მიცხოვრია, ცხოვრე-  
ბაში ამდენი ამოცანა შემხვედრია და ყველასათვის ისე ჩამივლია,  
რომ არც-კი ვცდილვარ ახსნას, თითქო უსინათლო და ყრუ  
ვყოფილიყავ! თავის დღეში ერთი წიგნიც არ წამიკითხავს, თავის  
დღეში არ მიკითხავს ჩემის თავისათვის, რა დანიშნულება  
აქვთ სულიერ არსებათ, რისთვის არის გაჩენილი ესა თუ ის  
საგანი-მეთქი; არაფერი, სრულიად არაფერი ვიცოდი. და აპა,  
ერთბაშად, დამებადა სურვილი ყველაფერი გავიგო, რიდე ავ-  
ხადო ცხოვრების ამა თუ იმ-გამოცანას, საიდუმლოებას; მინ-  
დოდა გამომეცნო თუ რა აზრი ჰქონდათ სხვა-და-სხვა სარწმუ-  
ნოებათ—მათს აღმსარებელს ხალხს რომ აპირუტყვებენ, სხვა  
და სხვა მთავრობათა, ქვეშევრდომთ რომ სტანჯავენ, საზოგა-  
დოებათა; რომელნიც ხოცავენ და ულეტენ ადამიანთ; მეჩა-  
რებოდა აშ-ომს მალე მოვრჩენილიყავ, რომ თავი სავსებით  
შემეწირნა ამაღლებულ საქმეთათვის, მოძმეთა ხსნისათვის.  
ჩემი აზრი შორს, შორს მიმაფრენდა ოცნებათა სამეფოში,  
სადა არს სიყვარული უზადო, ძმობა და-უსრულებელი. მთელი  
კაცობრიობა თვალშინ დამიდგა: ყველანი წელში ოთხად იყვნენ  
მოხრილნი, ზურგზე აკიდებული სიმძიმე საცაა გასჭიულეტს  
ყველასაო, თვალთაგან ცრემლი სდიოდათ, ახველებდნენ და  
სისხლს იღებდნენ პირიდან; ვეკითხებოდი ჩემს თავს რაღა,  
რისთვის, ნუ თუ ეს არის უმაღლესი კანონი ბუნებისა-მეთქი,  
გულ ამომჯდარი სლუკ-სლუკს გულშივე ვიკლავდი. შევნიშნე,  
რომ სხვა მაშინ შეებრალება აღამიანს, როცა თვითონაც უბე-  
დური და შესაბრალისია. იქნება სხვები: იმიტომ შემებრალა,  
რომ მე თვითონ შესაბრალისი ვიყავ. ამ- ცივს ღამეში,  
მტრის მახლობლად, რომელიც, შესაძლებელი იყო, უთენია  
გამოჩენილიყო, საშინლად მიყვარდა კაცობრიობა, მაგრამ იქ-  
ნება იმიტომ მიყვარდა, რომ თვითონ ჩემი თავი მიყვარდა,

მინდოდა თვითონ ჩემის თავისათვის ამერიდებინა ტანჯვა, მწუხარება? დიახ, ვნანობდი ცუდად განვლილს წარსულს, მომავლისათვის ათას გვარ გეგმას ვარდგენდი, ასე ვიზამ, ისე ვიზამ-მეთქი, ასე გულმოდგინედ ვიმუშავებ, ათას გვარ კვლევა-ძიებას შევსწირავ ჩემს თავსა მეთქი,— მაგრამ ყოველივე ეს აზრი, მე მგონია, იმიტომ დამებადა, რომ თავიდან ამეცილებინა ამ წუთში მოსალოდნელი ნიფათი, უბედურება, რომ გონებიდან წამეშალა. საზარელი სურათები სიკვდილისა, შემუსრევისა, შეუწყვეტლივ სიბნელეში რომ მელანდებოდა საზარლად, გულის გასახეთქად?

ღამე პირქუშად, ბნელად გრძელდებოდა ზევიტან ცა გულმოსულად დასცემეროდა დედამიწას, ერთი ღიმილიც კი არ ემეტებოდა. ხოლო ძირს გაშლილს მინდვრებს ისეთი სახე გადაჰკვროდა, თითქო დაუსრულებელი ზღვაა ჩრდილისაო. საკა დავჯექ, არ გავნძრეულვარ, სიცივემ სხეული გამიშეშა, კრიჭა შემიკრა. რის წვალებით ავდექი და ტყეს შემოვუარე. ჩემის საკუთარის ნაბიჯების ხმაშ შემაშინა; მეგონა, უკან ვინმე მომდევს მეთქი. ფრთხილად მივდიოდი, ფეხ-აკრეფით, თითქო დაძინებულ მიწის გამოლვიძებისა მეშინოდაო, თანაც ყურს ვუგდებდი, ხომ არავინ მოდის-მეთქი; იმედს არა ვკარგავდი, უეჭველად მოვლენ და გამომცვლიან მეთქი. არავითარი ფაჩუნი, არავითარი სულთქმა, არავითარი სინათლე, არავითარი სახე ადამიანისა არ გამოჩენილა ამ უთვალო და უხმო ღამეში. მხოლოდ ორჯერ მკაფიოდ გავიგონე ფეხის ხმა და გულმა ძალუ-მად დამიწყო ცემა... მაგრამ ხმა მოშორდა, ცოტ-ცოტათი იკლო, მისწყდა და სიჩუმე უფრო მძიმე, უფრო საშიშო, უფრო სასოწარმკვეთი შეიქმნა... ხის ტოტი ლოყაზე გამეხახუნა; უკან დავიხიე თავზარდაცემულმა. ცოტა მოშორებით ამობურცული მიწა კაცი მეგონა, მოკუზულა და ჩემსკენ მოხოხავს-მეთქი; თოფი გავტენე... დავინახე გუთანი, ორი ხელი ზევით ჰქონდა აშვერილი, თითქო მდევის რქებიაო, სულთქმა დამაკლდა და ცოტას გაწყდა არ წავიქეცი... მეშინოდა ჩრდილისა, სიჩუ-მისა, სულ უბრალო საგნისა, რომელსაც ჩემი დაავადებული

წარმოდგენა. საზარელის სახით მაჩვენებდა ხოლმე... ძალზე  
ცივოდა და მე კი მსხვილი ოფლი ჩამომრეცხდა ტანზე. ვსთქვი,  
მოდი ჩემს სადარაჯოს თავს დავანებებ, ბანაკში წავალ-მეთქი.  
ჩემს თავს ვაჯერებდი ლაპრულის საბუთებით, ალბად ამხანა-  
გებს დავავიწყდით და რომ მიპოვნიან, ძალიან გაეხარდებათ-  
მეთქი... რა თქმა უნდა, —ვაჯერებდი ჩემს თავს, —რაკი არა-  
ვინ გამომცვალა, რაკი ოფიცერს არ ჩაუვლია ჩემს სანახავად,  
ეტყობა, წავიდნენ და მე კი აქ დავავიწყდით!.. მაგრამ, ვაი  
თუ ვსცდები, მაშინ რილათი ვიმართლო თავი, როგორ დამ-  
ხვდებიან?.. მოდი, იმ ფერმაში წავალ, სადაც ამ დილას ჩემი  
რაზმი გაჩერდა, და ამბავს ვკითხავ-მეთქი... კარგა ხანს ვფიქ-  
რობდი... მაგრამ შიშისაგან აღელვებულს მხარი მეცვალა, დავ-  
კარგე უნარი ადგილ-მდებარეობის გამოცნობისა და ამ თვალ-  
უწვდენელს და შავ-ბნელს ველზე უეჭველად დავიკარგები-  
მეთქი... მაშინ ერთმა საზიზლარმა, ლაპრულმა აზრმა გამიელ-  
ვა თავში... მოდი, თოფს მკლავზე მოვიხვედრებ, თავს დავიჭრი,  
გავიქცევი ბანაკში და ამხანაგებს ვუამბობ, პრუსიელნი თავს  
დამესხნენ და დამჭრეს-მეთქი... ჩემს თავს საშინელი ძალა და-  
ვატანე გონი მომეკრიფა, ჭკუაზე არ შევცდე-მეთქი, მოვიკ-  
რიფე აგრეთვე უკანასკნელი ლონე ზნეობრივი, რომ თავიდან  
მომეწყვიტნა ეს სამარცხვინო და ლაპრული აზრი, ეს საზა-  
რელი სიმთვრალე შიშისა; თავს ძალას ვატანდი მომგონებო-  
და წარსული სასიხარულო ამბები, თვალ წინ წარმომედგინა-  
ტკბილნი, მოლიმარე სახენი ძვირფას არსებათა, მათი სანე-  
ტარო სუნთქვა, სამოთხისებური ალერსი... ეს სახენი წა-  
რმომიდგა სიზმრის მსგავსად, მაგრამ სრულებით გამოცვლი-  
ლნი, საშიშარნი და შიშმა გზა-კვალი ამირია... დავინახე  
ტურულვრის ტყის კუთხენი, სადაც მე ასე მიყვარდა მთელის  
დღეების გატარება, შიგ ტკბილად ოცნება, ბურნოზე გაშე-  
ლართულს; მაგრამ მაშინდელ ალერსიან ტყეს კი არა ჰგავდა  
ახლა: ერთმანერთში აირია, დომხსლივით, გადიხლართა და მისი  
მალალი ხეები თავზე მეცვლად; შემდეგ ჰაერში ზარბაზნების  
ყუმბარები გაჩნდა, ერთი მეორის პირდაპირ შოზუზუნებდა,

ერთი-მეორეს ეხლებოდა; ერთმა მათგანმა ფრთხები შეისხა, ალის ფერი, ჩემს თავს ზემოდ კამარა შეცკრა, მერე გარს შემოშეხვია... გულიდან ყვირილი იმომხდა... ღმერთო ჩემი! ხომ არა ვგიჟდები-მეთქი? გავიშანჯე ყელი, გული, თეძოები, ფეხები... ალბად, მკვდრის ფერი გადამკრავდა ამ დროს, ვგრძნობდა, რომ გულიდან ტვინისაკენ რაღაც სიცივე წავიდა ფოლადის ბურღლივით... „ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან!“ ვეუბნებოდი ჩემს თავს ხმა მაღლა, რომ თავი დამეჯერებინა, არა მშინავს და ვარსებობ-მეთქი...

„ყოჩალად იყავ, ყოჩალად!“ ორი ყლუპი ვქენი და მათა-რაში რაც არიყი ჩამრჩენოდა, სულ გადავყლაპე. სიარული ვიწყე საშინელის სიჩქარით, მიწის გორონხებს ფეხით ვფშვნილ გამძინვარებული, თანაც სიმღერა შემოვსძახე, ჯარის კაცია სიმღერა, გრძელის გზის შესამოკლებლად რომ ამბობენ ხოლ-მე. ცოტათი დამშვიდებული ჩემს მუხასთან მივედი და წაღები ზეღი-ზედ მისს ტანს შემოვკარი. ეს ხმაურობა და ეს მო-ძრაობა მჭიროდა... მომაგონდა მამა-ჩემი, ჩემს სახლში მყოფი მარტოდ-მარტო... სამი კვირა მეტი იყო მისგან წერილი არ მიმეღო... ღმერთო, რა დაღონებული და საბრალო რამ იყო მისი უკანასკნელი წერილი!.. მართალია, არ წუწუნებდა, არ ჩივოდა, მაგრამ, ეტყობოდა, ყოველი იმედი დაჲკარგვოდა, სა-შინლად ეშმიმებოდა მარტოდ ყოფნა ამ დიდსა და დაცარიელებულს სახლში; ეტყობოდა, რომ ეშინოდა ჩემი, ზურგზე ჩანთა მოკიდებული, ვინ იცის, სად დაეხეტებაო, ვინ იცის, სად ამოხდება სულიო!.. საწყალი მამა!.. დედა-ჩემთან ბეღნიერი სულაც არა ყოფილა... დედა-ჩემი ერთი ავადმყოფი, ნია-დაგ აღლელვებული აღამიანი იყო, მამა-ჩემი არ უყვარდა, ამ-ლოს არ იკარებდა... ცოლი ასე ექცეოდა, მაგრამ რაც უნდა ცუდი სიტყვები ეთქვა, რაც უნდა მკვანედ მოქცეოდა; მამა-ჩემს ერთი ბეჭო საყვედურიც არ წამოსცდებოდა პირიდან!.. ერთგულ ძალლსავით ამოიხრებოდა და გარედ გავიდოდა.—ამ— რა რიგ ვნანობდი, რატომ უფრო მეტად არ მიყვარდა-მეთქი!, იქნება ისე არა მზრდიდა, როგორც უნდა გავეზარდე?.. მა-

გრამ საყვედურის ლირისი მაინც არ არის: იმას შვრებოდა, რაც შეეძლო!.. თვითონაც გამოუცდელი იყო, ცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, არ იცოდა, სიავეს როგორც გამკლავებოდა, გულკეთილი იყო, მოკრძალებული. და რაც უფრო თვალწინ მიდგებოდა მამა-ჩემი, რაც უფრო დაწერილებით ჩნდებოდა მისი სახე, დედა-ჩემი ჰქონებოდა, ჰქონებოდა ისე, რომ მისის ძეირფასის სახის ნაქვთების ვერაფერი დავინახე. იმ წუთას რაც დედისადმი სიყვარულსა ვვრძნობდი, მთლად მამაზე გადავიტანე. გული ამომიჯდა, როცა მომაგონდა მამი-ჩემის სიტყვები, დედაჩემის სიკვდილის დღეს ნათქვამი. მუხლებზე დამისვა და ნელა მითხრა: იქნება, ასე სჯობდეს კიდეცაო". და დღეს მივხვდი, თუ რამდენი მწუხარება და განვლილი ტანჯვა იხატებოდა ამ სიტყვებში. ეს სიტყვები დედი-ჩემისთვისა სთქვა საწყალმა მამა ჩემმა, იმიტომა სთქვა, რომ დედა-ჩემი ებრალებოდა; სთქვა ჩემთვისაც, რომელიც დედას ძალიანა ვგავდი; თავის თავი საწყალს კაცს არც კი ახსოვდა, მე ტანჯვისა და მოთქმნისათვის ვარ გაჩენილიო... სამის წლის განმავლობაში ძალზე მოტყდა, დაბერდა; მისი მაღალი ტანი მოიხარა, გაღვივებული სახე გაყვითლდა, დაჭკნა, თმა თითქმის სულ გაუთეთრდა. რაც დედა მოკვდა, ჩემს პარკში შემოსულ ფრინველებზე აღარ ნადირობდა, აღარც კატებს ერჩოდა და ისინიც თავისუფლად და უშიშრად სკლებდნენ აუზში წყალს. თავისს საქმეს ყველაფერს თავი დაანება... ყველაფერზე გული აიყარა...

მამა-ჩემი წერილებს რატომ არა მწერდა? იქნება ჩემი წერილები არც-კი მისდიოდა? ჩემს თავს ვაყვედრიდი, მეტად ცივს წერილებსა ვწერდი-მეთქი. ჩემს თავს აღვუთქვი, ხვალ, როგორც-კი თავისუფალ ღროს ვიხელთებ, გრძელ წერილს მივწერ და შიგ გადავუშლი მთლად ჩემს გულს, ჩემს ტკბილს გრძნობებს-მეთქი...

ცას ოდნავ ნათელი ეფინებოდა შორს, ცისკიდურთან. ლამის სიბნელე ჯერ არ იფანტებოდა, მინდვრებს პირქუში სა-

ხე ედოთ, მაგრამ კაცი გრძნობდა, საცაა უისკარი გამოჩნდებაო. სიცივე უარესად იქმინებოდა, სიარულის დროს მიწას ჭახუნი გაჟეონდა, ხის ტოტებზე წვიმის წვეთები იყინებოდა: და ცოტ-ცოტათი ცა ოქროს ფერად განათდა, სინათლეს თან-და-თან ემატებოდა. ნელ-ნელა საგნები სიბნელიდან გამოდიოდა; გადაწოლილი სიბნელე მინდორ-ველთა მუქ იის ფერად იცვლებოდა... უცბად ხმა მესმა, პირველში სუსტი იყო, თი-თქო შორს, სულ შორს დაფდაფს უკრაენო... გცულის ფან-ცქალით ვუგდებდი ყურს... ერთს წამს ხმა მისწყდა და მამ-ლებმა იყივლეს... ათს წუთს უკან ხმა ისევ მოისმა, უფრო ძლიერად, უფრო მკაფიოდ და თან-და-თან მიახლოვდებოდა... ცხენის ფეხების თქარა-თქურის ხმა იყო, რომ მოისმოდა... ინსტიქტიურად ზურგზე ჩანთა მოვიკარ და თოფი გავშინჯე, ხომ გატენილია-მეთქი... ძალზე ავლელდი; საფეთქელთან ძარ-ლები შებერებოდა... ისევ მოისმა თქარა-თქური... ძლიერს მოვასწარ მუხის უკან მოვკუზულვიყავ, რომ ჩემგან აციოდ ნაბიჯის სიახლოვეს გზაზე უშველებელი ჩრდილი გამოჩნდა, ქანდაკების მსგავსი. საშინელი იყო ეს ჩრდილი, აღმოსავლე-თის სინათლეზე რომ ინძრეოდა, უზარმაზარი! მხედარი მეტის-მეტად განდიდებულად მეჩვენა!.. თავზე პრუსიული ბრტყელი ქუდი ეხურა, შავი გრძელი წამოსასხამი განიერ გულმკერდს უფარავდა. ვერ ვარჩევდი ოფიცერი იყო, თუ უბრალო სალდა-თი, რადგან შავი ფორმის ტანისამოსი ნიშნებს უფარავდა... მკაფიოდ გამოჩნდა მისის სახის ნაქვებიც. ლია თვალები ჰქონდა, ქერა წვერი, ახალგაზდურ სიმრთელით სავსე იყო; სახე ღონესა და გულკეთილობას უმტკიცებდა, იმავ სახეზედ ეხატებოდა კეთილშობილება, მხნეობა და თან ნაღველი. ცალი ხელზ ბარძაყზე დაედო ბრტყლად და მის წინ მდებარე მინდორს აკვირ-დებოდა. უამითი-უამად ცხენი ფოლოებით მიწას ფხეკდა და ათრ-თოლებულ ნესტოებიდან ბოლქვა-ბოლქვად ორთქლს უშვებდა... უეჭვილი იყო, ეს პრუსიელი მხერავად იყო გამოგზავნილი, უნდა გაეგო, სად როგორ ვიყავით დაბანაკებული! იმის უკან, ალბად, ჯარი იდგა. და ეს ანიშნებდა. თუ არა, თავს დაესხმოდა

ჩვენ ებს.... კარგად ჩასაფრებული, გატრუნული, სასროლად გამზადებულ ვშინჯველი. ამ კაცს. მართლა რომ ლამაზი იყო; ჩასხმულ ტანში სიცოცხლე სდულდა და გადმოდიოდა. გული ამიჩვილა მისმა ყურებამ! მინდორ-ველს გასკეროდა ერთავად, და ის მომეჩვენა, რომ აქაურობას უფრო პოეტის თვალით ათვალიერებს, ვიღრე სალდათისათი-მეთქი. თვალებში ალელვებას ვამჩნევდი. ოქნება სრულებით დაავიწყდა აქ რისთვის მოვიდა და ალიტაცა ქალწულის მსგავს და დიდებით მორჭმულ დილის ყურებამ-მეთქი. ცა სულ ალისფრად შეიღება; დიდებულად ენთებოდა; გალვიძებულნი ველნი თვალებს იფშვნეტლნენ, პირიდან იძრობდნენ რიდეს ვარდისფერ და ლურჯ ორთქლისას, რომელიც ჭრილობის შესახვევ ჩითსავით გრძლად დაცოცავდა, თითქო უხილავი ხელი ანძრევსო. პატარა ხეებმა, ღარიბულმა ქოხმა თავი ამოჰყვეს ამ ვარდისა და ისიფერ ზღვიდან... დიახ, ეს პრუსიელი დასაზვერავად საომრად, მტრის ამბის შესატყუბად წამოსული, შესდგა, მოხიბლული, ტყვედ მქნილი ახლად დაბადებულის დღის წინაშე და მისი სული რამდენისამე წუთით სიყვარულმა დაიმონავა.

— ოქნება პოეტია—ვამბობდი ჩემს გულში,—იქნება არტისტია; გულკეთილია, ამიტომ რომ ბუნების სიმშვენიერება ააჩვილა.

და მის სახეზე წავიკითხე ყოველნი გრძნობანი კეთილის კაცისა, ყოველი თრთოლვა, ყოველი ნაზი და კეთილშობილური მოძრაობა მისის აჩვილებულის და ალტაცებულის გულისა... არ მაშინებდა მისი ყურება. პირიქით, რაღაცა ძალა მისკენ მეწეოდა და იძულებული ვიყავ ჩემს ხეს მოვბლაუჭებოდი, რომ ამ კაცის მისაგებებლად არ წავსულიყავ. მინდოდა დავლაპარაკებოდი, მეთქვა—კარგი თაყვანისცემა ცის მშვენებისა და მეც მიყვარს ეს მშვენება-მეთქი... მაგრამ ამ დროს მისი სახე მოილუშა, თვალებზე დარდის რიდე გადაეფარა... ცისკიდური, რომელსაც ეს თვალები უყურებდა, შორს იყო, შორს, იმის იქით კიდევ სხვა ცისკიდური იყო, მეორეს იქით—მესამე

იყო!... ამ თვალების პატრონი გულში ამბობდა: როდის იქნება, რომ აღარ ვატარო ჩემი ცხენი სახლების ნანგრევთა შორის, მიცვალებულთა შორის; როდის იქნება, რომ არ შოვკლა სხვები, რომ ყოველთვის საწყევარი არ ვიქნე?... მერე, უეჭველია, მისის ოცნების საგანი იყო დატოვებული სახლი, რომელსაც ავსებდა მისი ბავშვების მხიარული სიცილ-ხარხარი, ცოლი, რომელიც ღმერთს მისს მშვიდობით დაბრუნებასა სოხოვდა... კიდევ მეღირსება-ლა მათი ნახვაო?... დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ წუთას იგონებდა ყოველს წვლილს, ყოველს უბრალო, გარნა მომხიბლველ ამბებს თავის ცხოვრებისას იქ, სახლში... ალბად, მოიგონა ერთს საღამოს რომ ვარდი მოსწყვიტა და თავისს ცოლს თმაში გაუკეთა, მოიგონა კაბა, რომელიც ცოლს ეცვა მისს წამოსვლის ღროს, მოაგონდა ლურჯის ლენტის კვანძი, პატარა ქალის ქუდზე გაკეთებული, მისი ზის ცხენი, მოიგონა ხე, ღელის ერთი კუთხე, ქალალდის გასაჭრელი... მოაგონდა ეს საამოდ მოსაგონარნი არსებანი, ნივთნი, ამბავნი, და გადახვეწილის კაცის მსგავსად დალონებულ თვალის ერთის შეხედვით წინ გადაიშალა ყოველივე, რითაც აქამდე ის ბედნიერი იყო... მზე ამოვიდა გააგანიერა ველნი, შორეული ცისკიდური უფრო შორს და სწია... შემეცოდა ეს კაცი და შემიყვარდა; გეფიცებით, შემიყვარდა!.. როგორ მოხდა, მე თვითონ არ ვიცი... თოფი გავარდა, და იმავე წუთას კვამლის შორის დავინახე ზევით აშვერილი წალა, დაჭმუჭვნილი კალთა მოსასხამისა, ფაფარ აშვერილი ცხენი, გზაზე სირბილით მიმავალი... მეტი არაფერი... მერე ხმალმა ჩხარუნი მოილო, ძირს მძიმედ დაეცა ტანი კაცისა, ცხენი გაჭენდა... მერე არაფერი... თოფი ცხელი იყო და კვაშლი ისევ ასდიოდა... ხელიდან გამიგარდა... სიზმარში ხომ არა ვარ შეთქი? ჩემს თავსა ვკითხე. არა?.. გზაზე ამართულ დიდ ჩრდილი საგან ცოტა რამ დარჩა: ტანი კაცისა, შავად გაშხლართული, პირქვე, გულხელ-დაკრეფილი... მომაგონდა მამა-ჩემმა კატა რომოჰკლა სწორედ იმ, ღროს, როცა საცოდავი პირუტყვი აღტა-ცებულის თვალებით. პეპელას ფრენას უყურებდა... მე კი, სუ-

ლელურად, შეუგნებლად, კაცი მოვკალი, კაცი, რომელიც მი-  
ყვარდა, კაცი რომელსაც გული ჩემი თანაუგრძნობდა, კაცი,  
რომელიც ამომავალ მზის მშვენებას შეპხაროდა და იგონდე-  
ბოდა უნაზესი ამბავი თვისის ცხოვრებისა!.. ვინ იცის, იქნე-  
ბა სწორედ იმ წუთსაც მოვკალი ეს კაცი, როცა თავისს გულ-  
ში ამბობდა: „როდის-ლა მელირსება ჩემს სახლში დაბრუნე-  
ბა?“.. როგორ? რისთვის?.. მით უფრო, რომ მიყვარდა, მით  
უფრო, რომ სხვა სალდათებს რომ რამე ეთქვათ მისთვის, მე  
მოვექმაგებოდი, სიკვდილისაგან ვიხსნიდი, და სწორედ ეს კაცი,  
სწორედ ეს კაცი მოვკალი! ორ გადახტომით მიცვალებულის  
გვერდით გავჩნდი... დავუძახე; არ ინძრეოდა... ტყვია კისერში  
მოხვედროდა, ყურს ქვემოთ, და სისხლი ლუკ-ლუკით მოდიოდა  
გაწყვეტილ ძარღვიდან, გუბდებოდა და უკვე წვერსა სერიდა.  
აკან კალებულის ხელებით ნება-ნება ავსწიე, თავი დაკანტურ-  
და და უძრავად და მძიმედ დაეკიდა... მკერდი გაფუშინჯე: გუ-  
ლი არა სუემდა... უფრო მეტად ავსწიე და მისი თავი მუხ-  
ლებზე დავიდე; უცბად დავინახე მისი თვალები. მისი ლია თვა-  
ლები, ნალვლიანად მიყურებდნენ, შიგ არც ზიზღი იხატებოდა  
ჩემდამი, არც საყვედური. ცოცხალის კაცის თვალები გეგო-  
ნებოდათ ეს ორი თვალი!.. მეგონა, გული წამივა-მეთქი, მა-  
გრამ თავს საშინლად ძალა დავატანე, მოვიკიფე უკანასკნე-  
ლი ღონე, ხელები მოვკიდე ცხედარს, ჩემს წინ დავიყენე, ჩემი  
სახე მისს გასისხლიანებულს სახეს დავაწებე თავდავიწყებით,  
და ვაკოცე!..

ამ წამის შემდეგ თვალწინ მიღება კუამლი, თოვლით და-  
ფარულნი ველნი და სახლთა ნანგრევნი, ცეცხლმოკიდებულ-  
ნი; ლაშით სიარული, უგზო-უკვლოდ, უგონოდ; ჯაჯგური  
ოლორ-ჩოლროიან გზებზე, სადაც სურსათის ფურგონები იყო  
გახიდული და სადაც დრაგუნები, ხმალამოლებულნი, ცხენებით  
გვთელავდნენ, ოღონდ გასავლელი გზა ეპოვათ როგორმე;  
თვალწინ მიღება ურმები ახალგაზდა ყმაწვილების ცხედრებით  
სავსე, თვალწინ მიღება უთენია გაყინულ მიწას რომ ვაბა-  
რებდით და ჩვენს თავს რომ ვეუბნებოდით, ხვალ ჩვენი რიგი

იქნებათ; თვალწინ მიდგება ზარბაზნების ახლო გაგორებული ცხენები, სალამოს დავესევოდით, ასო-ასო ავსჭრიდით, ბანაკ-ში მიგვქონდა და მგლებივით ვიღრინებოდით, როცა ვსჭამ-დით!... ვხედავ აგრეთვე ჩვენს სამხედრო ხირურებს, რომელიც სახელოებ გადაწეული, პირში ჩიბუხ-გაჩრილი, პატარა სალ-დათს დაჭრილს ფეხს უხვევდა და ამ დროს კი ზარბაზნის ყუმბა-რები ელავდნენ შეუწყვეტლივ!...

თ. ს.

# ე ტ ი უ დ ე გ ი

## ქართულის ლიტერატურიდან

IV.

(დასასრული \*)

კაცთა შორის დამოკიდებულება იმდენზედ ეინტერესება  
ჩვენს პოეტს, რამდენადაც იგი გამომხატველია „სულთან გუ-  
ლის გადამბმელის ძალის“, რომელიც ყოველთვის თვალ წინ  
უდგამს ქართველს ფერ-მიხდილ საქართველოს, ბუნებასა და  
კაცს შორის დამოკიდებულებაც ამავე საზომით იზომება. რამ-  
დენადაც ბუნების სურათი აღმძვრელია ეროვნულის გრძნობი-  
სა და რამდენადაც იგი სამშობლოს ბედის სიმბოლოა, მხო-  
ლოდ იმდენზედ არის საინტერესო. აი თუ გნებავთ საქართვე-  
ლოს ისტორია ამგვარად აღწერილი

„მზე ჩაესვენა ბრწყინვალე ქართლის  
„და მან დაჩრდილა მით არე-მარე,  
„დაბნელდა... მაგრამ მაინც მის ბედზედ  
„ბოლოს გამოჩნდა შუქ-მფენი მთვარე,  
„ლაუგარდ ცაზედა წყნარად მცურავი  
„პირ-ბადრი, ნაზი, პირ-მომცინარე,  
„და მას თან ახლდა მისი თან-მსრბოლი  
„ერთი ვარსკვლავი მოსხივ-ცისკარე.

\*) იხ. „მოამბე“ № 11.

„მაგრამ ამ ღროსაც მოულოდნელად  
 „აღმოტყიდა სუსხით რისხვის გრიგალი,  
 „აღმოსავალით გადმოიტანა  
 „შავი ღრუბელი ღიღი, ღიღ-ძალი.  
 „ცა-მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი  
 „დაიფრა და დაბნელდა არე!  
 „ვით გველეშაპმა მზეთ უნახავი,  
 „ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე“.

და ამ სურათს თვითვე აგვიხსნის მგოსანი: „აი სურათი ქართლის ბედისა, როდესაც განკრა მისი თამარიო“.

მთელი ბუნებაც საქართველოსი მისი წამების უტყუარი მოწამეა და ან კი როგორ აუაროს გვერდით პოეტმა ყოველ ბიჯზედ თვალში წამოჩეირებულ ფაქტს:

„მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,  
 „ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,  
 „რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ  
 „მსხვერპლად შეწირულთ ჩვენ წინაპარია.“

ბუნების სანახაობა თითქო ჩვენის ბედის სურათია.

„აი მდინარე აქაფებული, ქვე მიაქანებს ას წლოვან ხეთა, მალ-მალ ტალლით სცემს განრისხებული და სურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა, რომ სწრაფლ მორეცხოს მან-სისხლი ძველი, მის კიდეებზედ გადათხეული, მაგრამ კიდეთა შეუქრეს ხელი და მისგამდა აღელგებული.“ განა თუ ეს სურათი არ არის იმავე ლეჩაქ მოხდილის და ფეხ-შიშველის ნესტან დარეჯანი-სა, ქაჯთაგან ტყვედ ქმნილისა, ხოლო სხვა გვარად დახატული კი. მაგრამ, აქ ცოტა შევსცდი, ეს არის სასულველი სურათი და არა სურათი ნამდვილი. სინამდვილე კი სხვას გვეუბნება: ტურფა, ცხრა კლიტულში ჩაკეტილი, სრულიადაც არა ჰგავს მდინარეს, რომელიც მისგანაა აღელვებული, რომ კიდეთა შეუკრეს ხელი, წინააღმდეგ, რამდენად უფრო ძლიერად უჭერს ხელს, იმდენზედ უფრო მოსვენებითა გრძნობს თავის თავს,

იმდენზედ უფრო განცხრომილია და დაშვიდებული. ამიტომაც ესაა სურათი პოეტის ოცნებაში ჩასახულის საგნისა და არა უტყურის რამ ნამდვილისა.

პოეტს ბუნება თავისს თანამოაზრედ მიაჩნია, მისის ფიქტისა და აზრის სრულ მეგობრად, ისე როგორც ჩანგი და ზურნა მიაჩნია მისის სევდისა და კვნესის გამომსახველად: ბუნებას თითქო ესმოდეს მგონის კვნესა და გოდება, თითქო ისრც ლექაჭ-მოხდილის სატრფოოს სიყვარულით იყოს გაგიერბული, თითქო მასაც შეეძლოს ჰყავდეს ასეთი სატრფო და ამ სატრფოს ნესტან დარეჯანი ერქვას, ბუნებას აი რა დიდი საქმე უკისრია; „თუ გნებავთ გაარჩიოთ წმინდა ბრე წინაპრების და მტრების ბილწი მტვერი,“ თვალ-ყური ადევნეთ, თვით ბუნებას განუსაზღვრავს ესა: „იქ ეკალი ამოდის, საღაც მტერი მარხია, და საღაც ჩვენმა ძველმა წმინდა სისხლი დაპლვარა, აქ მოდის ყვავილები და ზოგანც ვარდის ხეა“.

ბუნება კიდევ უფრო სიცხოლეება და გრძნობიერებას იჩინს, კიდევ მეტად განსულიერებულია და განხორციელებული პოეტის ხელში, როცა „გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამა დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს, მთა-წმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა, მნათობი სხივებს მალლით ჰფენს თავდადებულის საფლავსა. დადუმებულა მთა წმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა, მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩისა მტრისასა“. თქვენ კარგად იცით ვისი საფლავია ეს დიდებული განძი დღეინდელის საქართველოისა და აწ თქვენთვის ადვილი მისახვედრია, რომ დაუღლავი მგოსანი თავის სამშობლოისა ერთს სურვილს, ერთს თხრვნას უცხადებს ქვეყანასა და ბუნებას, იმ ბუნებას, რომელიც ასეთს მეგობრობას უწევს მას, ასე უჭერს მხარს. ეს თხოვნა დიდი არ არის, პოეტის თქმის არ იყოს: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუჩ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“ და ვინ იცის საიდუმლოება ბუნების მოვლენათა, ვინ იცის დაფარული კავშირი მოვლენათა, ვინ იცის იქნება. ეს სამშობლო მიწაც კმა-

ყოფილი იქმნეს და ბეღნიერის ისეთის მგოსნის დასაკუთრებით, რომელმაც შეიძლება უსულო ბუნების ფიქრებიც კი სავსებით შეიგნო.

როგორც სიყვარულს, ისე ბუნებასაც პოეტისთვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი ღიადის საგნის მოტრ-ფიალეა, ნიადაგ მაზედ ფიქრებით აღსავსე, თორემ სხვა სულერთია მგოსნისათვის და „ბუნება გაზაფხულზედ საპატარძლოდ მორთულია და ჰუეთქს მისი ძალი, ზამთრით გამოლვიძებული, რაც კი ქვეყნად გაჩენილა უენოა, თუ აქვს ენა, სლლიერს, თუ უსულოსა საზოგადო ჰქონდესთ ლხენა“.

პოეტის გაზაფხული თუ არ მოსულა ჯერაც კიდევ, არას დასდევს, „თუნდ წმელეთიც აბიბინდეს და აჭყვავდეს კიდის კიდე“. შესაძლოა ბუნების სიმშვენიერეში მგრძნობიერმა მგოსანმა დაინახოს, რომ „ქვეყნიერად გადმოსულა სასუფევლით სიყვარული, იწევს ყოველ სულიერსა, რომ მიჰმადლოს სიხარული, ცა და დედამიწას შეამყარებს ეს ქორწილი“ — ეს მისთვის რა ხელ საყრელია? — მხოლოდ მას ერთს ამ ფერხულში არა აქვს წილი, „სანამ მრსი სიყვარული ქაჯებსა ჰყავთ ცხრა-კლიტულში, ვინ აღირსებს სასუფევლს, ჯოჯოხეთი უძევს გულში“.

სიყვარულის გრძნობის არ იყოს, თ. აკაკი წერეთელმა შშვენავრად იცის კავშირი ბუნებისა და აღამიანს შორის, გა-მოუკლია მისი გავლენა ადამიანზედ. „ბუნება მისთვის შემოქმედების სარკეა, და ნეტავ თუ იყოს ქმნილება, ცეკვრეტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება“. მასაც უგრძენია სიმწარე სულით მარტოობისა და ხშირად მიუმართავს ბუნებისათვის, როცა მის საბრალო გულს უგრძენია საჭიროება გრძნობის გამოთქმისა, მქირდავი კაცის თვალისათვის ზურგი შეუქცევია, მარტოობა ამოურჩევია „და მთა, კლდე, ტბები, მდინარე, ველი, მიწა და ქვანი გაუხდია მისის კვნესის მოწმედ“, უგრძენია რატვირთი დაფარულის ტანჯვისა, მისი ვისთვისმე გაზიარება მოუწალინებია და უსულო საგანზე შეჩივლება გარდაუწყვეტია, ეგებ მათ მაინც იგრძნონ მისი სიმწარე. ბედს მისთვის ერთი

მხოლოდ ბუნება „დაუნიშნავს მუდამ-ნუგეშად“, და ჩვეულებრივად სტკბება ბუნებით და გაიხარებს ჸქვეყნად ყურს უგდებს ტკბილი ბუნება და ზეცით ეშხით დანათის მუვარე და სევდისაგან გარე მოდებულს ბნელს გაუნათლებს მას საღმრთო ელვა!“ ამგვარი გამეგობრება ბუნებისა ჩვენთვის ნაცნობია, ბარათაშვილიც ხომ დამაფიქვრელ, ვერანან, უდაბურ მთაწმინდას მიპართავდა ხოლმე კაცთა უგულებით დევნილი და მტკვრის დუდუნს დაეკითხებოდა თავისის ქვეყნის ისტორიას. ჩვენი პოეტიც ნუგეშსა და იმედს ჰედავს ბუნებაში, ხანდისხან ის წვინდა პანტეისტურ ექსტაზში მოდის, როცა ტკბილ ნეტარებით შეზავებული სანახაობა ბუნებისა „საღამოს ხანზედ სამოთხისაკენ იტაცებს გულსა, რომ საიდუმლო სასიჭადულო კაცსაც ბუნების შეატყობინოს და საღაც ჭკუა სუდება და სტყუა, იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს“, მაშინ პოეტი გრძნობს, „რომ არის ზეცა აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით და ეს ქვეყანა, ყოველგნით ყველგანა თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობით“. მაშინ ბუნება ხორც შეახმულ არსებად წარმოუდგება, „დახეთ ამ თვარეს, სხივ მომფინარეს თითქოს ტკბილ სევდით ივებსო გულსა, მოკაშაშენი, მოჭიკვიკენი, ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა, ძალთა დღიდება, შექმნათა ქება არს საიდუმლო მათი სიმღერა! ქვეჭნით ბუნება, ბანს ეუბნება და ეს ბანია მის გულის ძერა. ჭვავილთა ენა, არს სუნნელთ ფშვენა, საგალობელიად აღმა ჭმეული, წყალთა ჩქრიალი, ფოთოლთ შრიალი ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული, ბუნების მაყრულს, საქორწინოდ სრულს ფკავშირება, ზე ემატება და ეხლა ის გრძნობს საიდუმლოდ სცნობს, რომ არის კაცში ღვთისა ხატება!“ ასეთის პოეტურის ფილოსოფიით და ფილოსოფიურის პოეზიით არის აღსავსე აკაკი წერეთლის შეხედულება ბუნებაზედ, მაგრამ არა მარტო ლირიული მხარე დაგვიხატა მან ბუნებისა, უ. ი. არა მარტო ბუნების მოვლენათა შინაგანის კავშირის გამოუენა იდვა თავს, არამედ გარეგანი ბუნების მშვენიერი სურათებიც მოგვცა. ასე-

თი არის შესანიშნავი დღიული „თორნიკე ერისთვიდან“ ბრძოლის წინ დილის აღწერა:

„ვითა ეთერი მზეთ-უნახავი,  
 „საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს  
 „სახეს ვარდის ფრად ღლებავს გრძნობით  
 „და იელვარებს სურვილით თვალებს;  
 „ისე განთიადს ცისკრის ვარსკულავი  
 „ლაუვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა  
 „და ფერ მიხდილად ნათელ-ძლიერი  
 „მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.  
 „თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული  
 „გამსჭვალულიყო მისის თანგრძნობით  
 „და უგალობდა „ციურ-ნანინას“  
 „საიდუმლო და უცნაურ-გზნობით,  
 „სუნნელთა მფენი დილის ნიავი,  
 „ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი  
 „ბანსა აძლევდნენ ლვთიურს ნანინას  
 „და ათანხმებდა მათ ძალთა-ძალი.  
 „ციურის ნიჭის მისაღებელიად  
 „უარდმა ჰუკობმა თავი ახარა;  
 „ცრემლად დაეცა გულზედ მანანა  
 „ააელფერა და გაახარა!..  
 „თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:  
 „თავისებურად იწყო მან სტვენა,  
 „თითქოს უნდოდა მით მოეტანა  
 „ცოდვილ-ქვეყნისთვის კურთხევა ზენა..  
 „მაგრამ ამა დროს საზარელის წმით  
 „უცბად რაღაცამ დარგრიალა  
 „და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ  
 „გამოიჩინა ბოროტი ძალა:  
 „შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,  
 „ასტყუდა ჭიჭინა ზურნის საზარი...“

„აპა თენდება და ემზადება  
„სისხლის სათხევლად ორივე ჯარი.“

პოეტმა ბუნებასთან კავშირი აღამიანისა საუცხოვოდ და სავ-  
სებით დაგვიხატა. ხოლო ისეთის მშვენიერის ლექსით დაგვისუ-  
რათა ბუნების ძლევა-მოსილი გავლენა სიყვარულის გრძნობაზედ,  
უკეთესის წარმოდგენა ძნელიც არის. გულ-დათუთქულ საყვარ-  
ლის საფლავის მაძებარს გარდი ნიშნად თანგრძნობისა თავ-და-  
ხრით შეეგება და ცვარ მარგალიტი ციური დაბლა ცრემლებად  
დაყარა; სულ განაბულმა ბულბულმა შეითრთქიალა, ყვავილს  
ნისკარტი შეახო, ჩაიკვნეს ჩაიჭიკვიკა, თითქოს თქვა „დიახ,  
დიახო“—მოციმციმე ვარსკვლავმა სხივები გადმოაყარა და ის  
დროს ყურში ჩურჩულით ნიავმა გაახარა. ამგვარად მისი ზი-  
ყვარულის თანამგრძნობი, მისის გრძნობის ეხო თვით ბუნება:  
შეიქმნა; ცა დედა-მიწა და პირუტყვნი: „სამათ დაშლილა ის  
ერთი ვარსკვლავათ, ბულბულ ვარდათო“ და იმ დღიდან ტრ-  
ფობის ქურუმი მგოსანი

„ბულბულს ყურს უგდებს, ვარდს ყნოსავს,  
„ვარსკვლავს შეყურებს ლხენითა  
„და რასაცა გრძნობს ის იმ დროს,  
„ვერ გამოუთქვამს ენითა“.

ამფვარედ დაარსდა საუკუნო კავშირი მფოსანსა და ბუნებას შორის, მათ შორის შეგობრობის ხიდი გაიღვა და, ვინ იცის, იქნებ ეს სამად დაშლილი სიყვარული იგივე მისი სამარადი-  
სო სატრაფოსადმი გრძნობაა, რომელსაც ყოველი ნაბიჯის ვა-  
დადგმაზე აგონებს ცაზედ ვარსკვლავი, ირგვლივ ტყე ბუჩქნი და  
ვარდი მისის მიჯნურის ბულბულით; თვალს მოციმციმე ვარ-  
სკვლავი აგონებს სატრაფოს, ქაჯებისაგან მოტაცებულს, მის ყნო-  
სვას ვარდი და ია აღვიძებს და იმავე სატრაფოსაკენ მიახედვი-  
ნებს, ხოლო მის სმენას ბულბული ატებობს და ჩასძახის ზე-  
ციურ ჰანგებს, მოძმეულ გასალვიძებლად.

სიყვარული, ბუნებასთან კავშირი და სიკვდილ-სიცო-  
ცხლე—ი დიდი საგნები, რომელსაც ეხება მსოფლიო ლირიკა  
და ქართული ლირიკული ლიტერატურაც აღსავსეა შალალ ნი-  
ჭიერ და დიდებული ლექსებით, რომელთაც აქვთ შინაარსად  
ბუნებისა და სიყვარულის გამოხატვა. საგრამ სიკვდილ-სიცო-  
ცხლე კი ნაკლებ იპყრობდა ქართველ მგოსანთა ყურადღებას.  
არც ჰავეჭავაძები, არც ორბელიანები, არც ერისთავები არ  
შეხებიან ღრმად ამ საგანს. ეს კიდევ არაფერი ქართველის ერის  
სულის კაეშნის გენიოსი ბარათაშვილის ყურადღებასაც კი არ  
იქცევდა ეს მძიმე საგანი, მხოლოდ ერთხელ, ისიც წერილში  
და კიდევ მეტი რუსულ ენაზე—აღგვიწერა საიდუმლო სევდა  
სიკვდილის სიმბოლოს სასაფლაოისა, თორემ ლექსში ერთი სი-  
ტყვაც უთქვამს. გასაოცარია, რატომ იზიდავდა ასე სუსტად  
ეს საგანი ჭმუნვით აღსავსე ჩვენ მგოსნებს, რომელთაც ყოვე-  
ლივე ხელს უწყობდათ სიკვდილზედ ეფიქრათ, სიცოცხლე და-  
ეგმოთ და სიკვდილს მიგებებოდნენ როგორც დამხსნელ ძა-  
ლას. მეშინია თქმა, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ  
ეს არის ბრალი მისი, რომ ქართველები მეტად ნაკლები ფილო-  
სოფლები ვართ, ძალიან გვაკლია სიღრმე ბუნებისა და ამი-  
ტომაც გვერდს უვლის ჩვენი ლიტერატურა თვით უდიდესსა  
და უმძიმეს საგანს პოეზიისას, რომელიც უცხოელ ლირიკოსთ  
ყოველ მხრივ აქვთ დახატული.

არც თ. აკაკი წერეთლის ჩანგს მოუცლია სიკვდილ-სი-  
ცოცხლის საიდუმლოების აღსანიშნავად, ამ მოვლენისაგან ალ-  
მძვრელის გრძნობების გამოსახატავად. მისთვის როგორც ყო-  
ველივეს ამ ქვეყნად სიკვდილსა და სიცოცხლეს. მნიშვნელობა  
აქვს პოეტის მთავარის აზრის მიხედულებით. სიცოცხლე იმ-  
დენად მიაჩნია საჭიროდ, რამდენადაც იგი ემსახურება სამა-  
შობლოს. სამშობლოსთვის თავგანწირულის მგოსნის სიცოც-  
ხლეს იგი ხატის წინ ანთებულ სანთელს ადარებს.

„ის საიდუმლო პარპალით  
„ბნელს ფანტაზი თვისი ნათელით“

## პტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

„მყუდროდ, უხშოდ და უძრავად  
 „ღნება, ვით მსხვერპლი დიადი,  
 „რომ მადლით გაასპერაკოს  
 „თვალ-უწილომელი წყვდიადი!  
 „მისჩერებია ამ დიდ ძალს  
 „მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული  
 „მეცა უსიტყვოდ, უძრავად,  
 „ცის სვეტად გაქვავებული  
 „რაღაც უცნაურ ერთობას  
 „ხედავს სანთელს და მის შუა  
 „მხოლოდ გრძნობს... თვარა ვერ სწვლება  
 „მისი ჭკუა და გონება;  
 „სანთელი მგოსნის ხორცია  
 „სიცოცხლე—მოკლე ჰატრუქი,  
 „ნათელი—ჭკუა გონება  
 „იმათგან გამონაშუქი.  
 „ მისი ხატია სამშობლო,  
 „სახატე—მთელი ქვეყანა  
 „და რომ იწოდეს, ღნებოდეს  
 არ. შეუძლია მასც განა?  
 „კი მაგრამ,—განაგრძობს სევდა მორეული  
 პოეტი, მნათე არსად ჩანს,  
 ჩემთან მომტანი „ცეცხლისა,  
 ის მოციქული მომავლის  
 მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა.“

ყოველივე განმარტება ამ ლვთივ მშვენიერის ლექსისა მეტია,  
 თქვენ ნათლათ ჰხედავთ აქ სიწრფელესა და სიღიადეს შაღალის  
 გრძნობისათვის თავ-განწირულებისას.

სიკვდილით. აკაკი წერეთელს მიაჩნია რაღაც არა სანა-  
 ტრელად და ორ ჭირში ერთის არჩევას ამჯობინებს, მხოლოდ  
 დღე ნიადაგ იმას იმუორებს „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა,  
 სიკვდილი სახელოვანოა“ და იმაზეც კი თავის დღეში არ

დაფიქრებულა პოეტი, თუ სიკვდილის წინაშე ან სახელოვანო სიცოცხლე რა არის და რა ფასი აქვს. გაბიაბრუებულსა და მოტყუებულ სატრფოს ლექსქ-მოხდილს, გაშიშვლებულს და ფეხით გათელილს ეუბნება: იცი მე რას გირჩევ,

„ვით სნეულსა და ავადმყოფს?  
 „თუ ორ ჭირში ერთს აირჩევ,  
 „გარეუნას ისევ სიკვდილი სჯობს“.

საფლავისკენ თუ მიისწრაფვის, იმიტომ, რომ „შავ საფლავამდის მტრობა ვეღარ ჩაჰყება ძალ-მიხდილს მკვდარსა და მცილებელთა შავნი საქმენი ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სულარსა“. სიკვდილი განსვენებაა „გრძნობათაგან“, რადგან საუკუნო ძილით განსვენებული ვეღარასა გრძნობს. ამიტომაც თუ პოეტი „საფლავისაკენ მიეშურება“, იმიტომ, რომ იქ „იხილავს ის განსვენებას, უგრძნობდობითა იმ უმწარ-ტკბილით, ბოლოს მოუღებს რა მოთმინებას სუკუნობა უფსკრულის ძილით“. ნაღვლიან გულიან მგოსანს, რომელსაც შავბედი ეწვია და ფრთებდაკვეკილმა ოცნებამ მთლიად წაუწყმიდა იმედი და სიცოცხლე გაუმწარა, ასე ურჩევს გონება:

„დააცხრე გულის ვნებაო,  
 „სიცოცხლე არის მონება  
 „სიკვდილი განსვენებაო“.

თ. აკაკი წერეთელმა პოეტი ფუტკარს შეადარა ბზუილა მოუსვენარსა, რომელიც „დაბზუა, დაფრინავს, ქვეყანას თაფლუქს უზიადებს და სანთელს უწითებს წენასა, და ვინც ხელს უშლის შრომასა, იმის დროზედ კბენასაც არ იშლის“. არც აკაკი წერეთლის მუზას მოუშლია დროზედ კბენა ზელის შემშლელებისა. თ. აკაკი წერეთლის სატირაც, როგორც რეალური ბევრად განირჩევა რომანტიულისა და კლასიკურის სატირო საგან. თუ კლასიკური სატირა სასაკინოდ ზღიდა საზოგადო წაკლულევანებას კაცისა სიძუნდეს, სიმზდალეს, სიბოროტეს

და სხვა) და ოომანტიკოსებს თავიანთის კბენის ღირსაღ მარტო ბოროტ სულები და ღმერთები მიაჩნდათ, თ. აკაკი წერეთელი უფრო მდაბიურ საგნებს ეხება. უმეტესი ნაწილი მისის სატირისა პირადობას ეხება და ხშირად მეტად რიგიან პირადობასაც. მეგვარი სატირი, უნდა ვსოდეთ, თ. აკაკის სუსტი მხარეა. მისის „კბენის“ მსხვერპლი გამხდარან ისეთნი, ოომელთაც თავისდღეში მისის შრომისათვის ხელი არ შეუშლიათ. საკმაოა გააჯავროს პოეტი ვინშემ, ბრალია თუ უბრალო იგი, ოომ პოეტმა თავისი შხამიანი ისარი მომართოს გარდა ამ შემთხვევაში იგი ისეთს დამნაშავობასაც კი ჩადის, ოომ თავისს დიდებულ თანამეკალმესაც არ დაინდობს ხოლმე. და ამისა მისს სატირის უფრო ხშირად კერძო პირადობა აქვს ხოლმე, ოომელთა მცირე სიბოროტეს არავითარი დიდი მნიშვნელობა არ აქვს ცხოვრებისათვის და ამიტომაც თ. აკაკის სატირის მარტო დროებითი ხასიათი ჰქონდა და აქვს და მართლაც უკამენტორიოდ ძნელი გასაგებიც არის. სწორედ ეს დარგი მწერლობისა უნდა ჰქონდეს თ. აკაკის სახეში, ოოცა ერთ ადგილს სწერს: „უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენათ დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც დრო და უამი იცვალა და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვისუნიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემი მხრით რომელიმე გვარი მწერლობა“-ო. თუ აქ თავისი პუბლიცისტიური და სატირიული ლიტერატურა ჰქონდა მხედველობაში. თ. აკაკის, სრული ჰეშმარიტებაა სწორედ. მაგრამ ამ დარგშიაც მოიპოვება ერთგვარი ლექსები, რომელშიაც თ. აკაკიმ მისი ნიჭის საუკეთესო მხარე გამოიჩინა. - ეს გახლავსთ მისი არაკები. მართალია, როგორც საზოგადოდ, ისე მისი არაკებიც გადმოკეთებულია, მაგრამ აქ სწორედ გადმოკეთება ნიშნავს გადმოქართულებას. ეზობის, ლაფონტენის და კრისტიანის არაკების შინაარსი ნამდვილის ქართულის მოტივებით აქვს გადმოცემული და სწორედ დიდის ხელოვნებითაც. (მაგ. დემითოვა უნა-ჭირვეული თამადა აკაკისა), არაკებშიაც სწორედ იმჯთ უნდა დავუთოთ უპირველესი ადგილი, რომელიც მოეტის მთავარ აზრს

ეხება. ამათში კი შედევრად „ალექსი“ უნდა ჩაითვალოს და რომლის ეგრეთ წოდებული, უნდა იყოს: „მელა კუდურა და მასთან მურა, რომლებიც წელან შეგობრათ სწამდა, მრისხანე ძალით, თვალის ბრიალით, უღრენდენ და თანც ილეს-დენ კბილებს! და მაშინ ცხვარმა, შიშით შემკრთალმა, ცრემ-ლით ურჩია საბრალო შვილებს: „აწ კი გვიმართებს, ამ მანდ-ვრებს და მთებს გამოვეთხოვოთ — მონა ვართ მელის.... გვა-წევს ღვთის რისხვა, სანამ აწ ჩვენ სხვა არ გამოგვიხსნის და არ გვაშველის... ვმონოთ ჯერ შავ ბედს, ნუ ვკარგავთ იმედს: სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა. რომელმაც ჩვენა არ მო-გვასვენა — ეგებ დაგლიჯოს მელაც იმ ძალლმა და ჩვენც მა-შინა... ჩუ! შემაშინა რალაც ჩვენებამ, ამბობს „ფრთხილადო! ჯერ მსხვერპლი უნდა, უმანკო წმინდა, განსაწმენდელი შვი-ლის-შვილადო. ეს რა წარმოთქვა, ყელს შეიბა ქვა ნიშნათ მონების... დადუმდა ცხვარი ძირს თავ დახრილი იწყო ტირი-ლი... დღესაც არ თქრება იმას ცრემლო-ლვარი, იმ არე მარეს, ჩაგრულ მწუხარეს გულ მოსაკლავათ რწყავს ის ცრემლო ლვა-რი.... და რომ შეაშროს ის ცრემლი ერთ დროს, მისთანა გმირი ჯერ არსად არი“.

ამით ვათავებთ ჩვენ თ. აკაკი წერეთლის პოზიის შესახებ ბაასს. ჩვენ არ ვეხებით არც მის პროზას, არც მის პოემებს, არც მის დრამატიულ ნაწარმოებებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენის წერილის უმთავრესი საგანი სალირიკო ლექსებია და მეორეც იმიტომ, რომ პოეტის ნიჭი, რომელმაც შეჰქმნა ღიღებული ნაშთი და ღრმა კვალი გაატარა ჩვენს ცხოვრებაში, სწორედ ამ ლექსებში გამოიხატა სავსებით. მისი ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატი“, დრამა „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“, მისი „ბაში-აჩუკი“ არიან ერთისა და იმა-ვე აზრით აღსავსენი, სულ სავშობლო ისტორიის იდეალიზა-ციაა და ამ მხრით იგინი ნაშდვილი რომანტიული ნაწარმო-ებნი არიან და მარტო პოეტის პირადის შეხედულების გამომსახველი. ეს პოემები და ღრამები გვარწმუნებენ, რომ ველ საქართველოს მზეზედ არც ერთი შავი წინწკალიც არ

ყოფილა. ყველანი მხენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოვლის სიკეთითა და მშვენებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კატრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავ-განწირული მოწამე, მეფე ისე აღვილად სწირავს თავისს გვირგვინს თან ერთად თავისს თავს და სკრიპტრასთან ერთად სულს სამშობლოსათვის, თითქმ ფლავის ჭამა გადაეწყვიტოს. ზნე-დაცე-მული დედოფალი, ვნებათა ღელვის უძირო ზღვა, თვალის დახამხამებაში იცვლება ანგელოზად და სწირავს. არა თუ თავის ვნებას, თავისის სიცოცხლესაც შეურაცხმყოფელ სატრ-ფო მგოლანს და მისის აზრის განხორციელებას შველის. ომ-ში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზე იმარჯვებს, სიბრძნე-ში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობნიან. ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდ-გენაა სინამდვილისა. თქმა არ უნდა, დიდი გმირული სული უნდა სდგმოდა იმ ერს, რომელმაც ამდენ აოხრებას კიდევ გაუძლო, მაგრამ ისიც მართალია, რომ თუ დიდ გმირებს გვერ-დით დიდი სულით დაცემულები არა ჰყოლოდათ, ჩვენის ბე-დის ჩარხი სხვა რიგად დატრიალდებოდა.

მე მგონია, აკაკიზედ რისამე მთქმელს და ამ ნათქეამის გამგონესაც თავში უტრიიალებს ერთი აზრი, ეს აკაკისა და ილიას შედარება. ეს სურვილი სრულიად სამართლიანია და კანონიერი. ორი დიდი მწერალი, წარმომადგენელი ჩვენის ტურფა მხრის ორი საუკეთესო კუთხისა (იმერეთისა და კახე-თისა) ძალა-უნებურად აღვიძრავსთ სურვილს შედარებისას და რაკი შედარება იქმნება, აღამანს აზრად მოუვა, რომელი მათ-განი სჯობია ან უმაღლესად სდგასო \*). მაგრამ ამ საკითხზედ პასუხის გადაჭრით მიცემა ყოვლად შეუძლებელია.

ხშირად შემიღარებია ხოლმე ქართლისა და იმერეთის ბუ-ნება. კორტოხს იქით მწირი ბუნებაა, გაშლილი ველი, ერთ-

\*) ჩვენ სახეში გვაქვს, ამ ორ მწერალთა მხოლოდ სალიჩიკო ლექ-სების შედარება და არა მათის საზოგადო ლიტერატურულის მოღვაწეობისა და მნიშვნელობისა. (ამის გამო იხილეთ ჩვენი ერ. ქართ. ლიტ. წერ. IV თ. ილ. ჭავჭავაძე).

ფერი და ერთგვარი, ირგვლივ მთები და გორაკები გაცრცვნილი და ქვა-კლდით აღსავსე, შუაში მდორე და მღვრიე „მრავალ დროის უტყვი მოწამე“ მტკვარი „მიბუტბუტებს“, იქა-აქ ციხე-ქალაქთა ნანგრევი მოსჩანს, ცა როგორლაც გა ხუნებულის ფერის არის, იმერეთის დაგვარად ცასთან შედარებით. შწვანეს როგორლაც კადამწვარის, გამხმარის ფერი ადევს. მაგრამ ყოველივე ეს თქვენში ღრმასა და აღმოუფხვრელი წარუხოცველ შთაბეჭდილებას იწვევს, თქვენი გული სევდითა და ვარამით ივსება, თქვენის თვალის წინ იშლება სურათი ჩვენის ტანჯულის სამშობლოისა, თქვენი თვალი თითქო აგერ ხედავს ათასგვარის ხალხის ჯარს, რომელსაც თავისი ძლევა-მოსილი მსვლელობა აღუსრულებდა საქართველოზე და თავისი მტრობისა და გამარჯვების სამარადისო კვალი ცეცხლითა და მახვილით აღუნიშნავს ჩვენის სამშობლოის ავანგარდის გულ-მკერდზედ. ეს გაცრცვნილი მთები, ეს ციხის ნანგრევები, დროთა ვითარებისაგან ძაბით შემოსილნი, თითქო ბედ-კრულს სამშობლოს გლოვენო, ასე გგონიათ გუშინ იყო დამწვარი და გადაბუგული მონგოლთა და სპარსთაგან, ეს სანახაობა საუკუნო მკმუნვარების ბეჭედს სვამს თქვენს გულში. თქვენს გულსა და გრძნობას იტაცებს ეს აოხრებული მიდამო და ღრმათ ჩაგაჩნდებათ ხსოვნაში სასიცოცხლოდა და სასიკვდილოთ.

ამ „ჯართა ველზედ“ თქვენ ხედავთ, რომ ერთის ციხის ჩანგრევის გვერდით თავმოყრილია მცხოვრებნი, თითქო წიწილები კრუს შეჭირებიანო (შედარებაც აკავის არაკიდანაა) რაკი ყვავ-ყორანის უცნაური ჩხავილი გაიგონესო, ერთმანერთს მიჰკერიან, რომ მტერს თვალი აუხვიონ და თუ აღარა გაეწყობას რა, მერე ერთის ძალით შეებრძოლონო. აქვე მუშის ღულუნს გაიგონებთ, იმ უცნაურის კვნესძთა და სევდით აღსავსე ღულუნს, „მწუხარეს ვით გლოვის ზარსა“, რომელიც „თუ სევდას მობერს დაჩაგრულს გულსა, უკუჭყრის კიდეც ვითა ღრუბელი“. ეს ღულუნი გამომხატველია მთელის საუკუნოების ქართველის ტანჯვით შემოსილის გლეხებისა და კვნესისა, ეს ღუ-

ლუნი აღმოსავლეთის პესიმიზმის ნათესავია, იმ პესიმიზმის, რომელსაც ბუდა და ქრისტე ჰყავდა მოციქულებად — იგი ერთ-შემივია, მონოტონური, მაგრამ მასთანაც ღრმა გულის ძირიდან აღმონაკვნესი „ნაღველ-ძმრით“ შეზავებული და ერთხელ გა-გონილი საუკუნო საზახსოვროდ რჩება სმენასა და გონებას. მთელი ეს ბუნება, ბუნების ნაწილი ტყე და ველი, კაცი და მისი სიმღერა და ლაპარაკი მელანთოლით აღსავსეა. თავდა—პირველად კაცს თითქო კიდევაც გულგრილადა და ნაწყენად სტოვებს, მაგრამ თან-და-თან თავისის ერთგვარის ღრმა სევდია-ნის სახით ჰიპნოტიურის ძალით ხიბლავს და იზიდავს ადამიანს და დაბოლს სამარადისოდ იმონებს. ასეთი არის, ბატონებო, „განდეგილის“ ავტორის პოეზია:

სულ სხვა გვარია კორტოხის აქეთა ბუნება. ყოველი ნა-ბიჯი სულ სხვა და-სხვა სანახაობას წარმოადგენს: აგერ ველი, აგერ მინდორი, აგერ გორაკი, აგერ მღინარეებით დასერილი ხელბა, ხე-ტყე და მწვანე ბალახი ათასფერია, მართალია მწვა-ნეა, მაგრამ ეს მწვანე ათასგვარის ტონისაა, ნიადაგ მოცინარი და მხიარული ბუნებაა. აქ ნანგრევებიც კი სულ მწვანე ხავერ-დით შემოსილია, თითქო დარღი თავის დღეში არ ეგემოს და სალლესასწაულოდ მორთოლიყოს, აქ მღინარე ან კარაა და ჩეარი, გატაცებული ეკვრის გულში ტურფა მიღამოებს, მის სარკე წყალში იხატება „ცა-ფირუზ“ — „ხმელეთ-ზურმუხტი“. აქ ადა-მიანთა მოსახლეობა ერთი მეორეზედ მოშორებით არის, თითქოს ბუნების სიმშვენიერით გამაძლარ კაცს არც კი სჭირდებოდეს თავისის მსგავსის სიახლე, აქ ზამთარშიაც კი ია-ვარდი ჰყავის.

ამ მხარეს რომ შეჰქედავ, ასე იფიქრებ, კაცს აქ თავის-დღეში სევდა სიზმარშიაც არ უნახავს და კვნესის ხმა შორი-დანაც არ მოსმენია.

აქაური სიმღერა ცელქი და ცქრიალაა, კლიმანჭურებით აღსავსე, ატვილად მისახვედრი და გასაგები, მაგრამ ადვილა-დვე დასავიწყებელი სულ მთლად ერთიანად. ამ სანახაობას არც სიღრმე აკლია და არც აზრი და მშვენიერების რამ ღმერთაა. ასეთი სურათი თუმცა ისეთს ღრმასა და მჭმუნვარე ბეჭედს ვერ

ასვამს კაცის სულსა და გულს, მაგრამ სამაგიეროთ უეცრათ გხიბლავსთ, თავს გაყვარებსთ. იგი თავისის სიცხოვლით და სიცო-ცხლით სასოებისა და იმედის აღმძერელია და ჭირსაც კი სი-ცილით უხვდება. აქ უსულონი და უასაკონიც კი იცინიან და მხიარულებენ, ჩიტნი გალობას აშობენ, ფოთოლნი ტაშს უკ-რავენ და მღინარეც კი, თითქო ლექურს თამაშობსო, მარდათ მისრიალობს სიცილ-კისკისით, ეშმაკურად უვლის ზურმუხ-ტით შემოსილ მიდამოს და თითქო ყურში უჩურჩულებს ტყე-სა და ველს, ქვასა და კლდეს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, მოვა დრო და გაიღვიძებსო“.

ასეთი არის, ბატონო, პოეზია იმ ტრილოგიისა, რომლის მადლით ცხებული ავტორი სიყმაწვილიდან „აღმართ აღმართ მიდიოდა, მოხიბლულის და შემცდარის სატრფოს სანახავად“ და მისის გულგრილობით დანამულმა „ნახევარის სიცოცხლის გზა გაქია, სიტკბოზედა მწარე მეტი დალია, მაგრამ მაინც არ შორდება მწუხარება და ჭირი“, და ბოლოს თუმცა თავი „უბე-დურად“ დასახა, რაკი სატრფო მისი მტრად გარდაექცა, მაგ-რამ გული მაინც არ გასტეხია, გაზაფხულზედ მაინც „მერცხა-ლი“ შეუფრინდება ხოლმე, „გაზაფხული, გაზაფხულიო“ შეს-ძახებს, „გულს იმედი დაესახება და სასოებაც ფრთას გაშლის“ ხოლმე და გამამხნევებელის ფიქრებით შოკულია; „ახლოს არის შომავალი, მოესწრება რაც უნდოდა. ზამთრისაგან დაჩიგ-რულსა, ნახავს ქორწილს ბუნებისას, გაიგონებს მის მაყრულსა და ჰუნისს ვარდსა გადაშლილსა, უჭვრეტს ნაზად დახრილ იძა და ბულბულიც გააგონებს ძველებურად „ტია, ტიას“.

თ. აკაკი წერეთელი ერთი იმ სამ დიდ პოეტთაგანია, რომელნეც აცისკროვნებენ ამ საუკუნის ჩვენ ლიტერატურას. პირველი ამ პოეტთაგანი „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ დაუსრულებელის თავგანწირულებითა და ლმობიერებით აღსავსე სასოწარკვეთილებისა და კაეშნის მგო-

სანი იყო. მეორე კი მხნე და მამაცი მგოსანია „დღეინდელობით“ აღშფოთებული, მისი მედგარი და სასტიკი მსჯავრის მდებელი; წყევითა და კრულვით მომხსენებელია იმ ცხოვრებისა, რომელსაც უწოდებს „ცოდვის სადგურს, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა, სად ცოდვა კაცა სდევნის დღე და ღამ, გთა მპარავი და მტაცებელი, სად რყვნა, წაწყმელა და ღალატია, სადაც მშა ჭხარბობს სისხლსა ძმისასა, სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურტე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა.“ მიუხედავათ ასეთის მკაცრის შეხედულობისა ცხოვრებაზედ, „განდეგილობის“ მანქცუარმყოფელია და წინასწარმეტყველია ნუგეშისა და იმედის სიმბოლო „შეიდევრიანის სარტყელის ცისა“. ეს დიდი პოეტი ჩვენის ერის შეგნებულის უმცირესობის მედროშეა. ხოლო მესამე კი თვით ო. აკაკი წერეთელი მთელის ჩვენის ერის მცირედაც არის გონებაში ჩახედულის ნაწილის სასოებისა და უიშედობის, ტირილისა და სიცილის „სარკეა“, მთელის უშეტესობის სევდა-ოხვრისა და სიმლერა-გალობის მეჩანგურეა და შესალამურე; ბულბულია დღე-და-ღამ განუწყვეტლად მყეფარი სატრფო ვარდის „დაზრობის“ გამო; უნუგეშო ტარიელია, როგორსა ცრემლი სდის შეუშრობელი, ნესტანის ქაჯთაგან ცხრა-კლიტულში დამწყვდევის გამო. იგი „ფუტკარია, ბზუილა შოუსვენარი, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, რომელიც სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს და ვინც ხელს უშლის შრომის დროს, მხოლოდ იმისი მკბენარი“; იგი ამ ნახევრის საუკუნის განმავლობაში „სანთელი“ იყო, რომელიც „საიდუმლო პარპალით ბნელს ჰუანტავს თავის ნათელით და მყუდროდ, უხმოდ და უძრავად ღნება, ვით შეხერპლი დიადი, რომ მაღლით გაასპერაკოს თვალ უწიდოშელი წყვდიადი“.

მაშ რაკი ასეა, დაე, მთელი მისი ქვეყანა, ე. ი., მთელის მისის ერის გული მაღლობით აღსავსე გული, მგოსნის სახატედ II

იყოს, რომელშიც ექმნება მას სამარადისო და ხელ უხლები ბინა ფრის თანაგრძნობისა და სიყვარულისაგან იღვებული და ერის თაყვანის ცემისა და დიდებისაგან შეხურული.

ଶ୍ରୀ କମଳାଚାର୍ଯ୍ୟ

# მოკლე მინირალური ქიმია

თეორიათიშვილი ცაფილი.

(დასარული \*)

შირობასი ქიმიურ რეაქციებისათვის ანუ ქიმიურ  
დაშლა-შეერთებისათვის.

ქიმიური რეაქციები სითბოს, სინათლის, ელექტრონის, დაწოლის ან დაკვრის ზედგავლენით. ქიმიური რეაქცია ნივთიერებათა ურთიერთშორის ზედგავლენით. ნივთიერებათა ერთმანეთთან სავსებითი შეხება და ამ პირობის მნიშვნელობა ქიმიურ რეაქციებისათვის. ეგზოტრენმიული რეაქციები და ნივთიერებანი. ენდო ტერმიული რეაქციები და ნივთიერებანი. უმეტეს სითბოს წარმოშობის კანონი.

ჩვენ ვნახეთ, რომ ქიმიური ენერგია თავს იჩენს და მოქმედობს ფიზიკურ ძალის ზედ-გავლენით: სითბოს შემწეობით შესაძლო ყოფილია ხის, ხორცის, თოფის წამლის და სხვა რთულ ნივთიერებათა დაშლა უფრო ნაკლებ რთულ ნივთიერებებიდად, შესაძლო ყოფილია მარტივ ნივთიერებების, მაგალითად, რკინის და გოგირდის, ურთი მეორესთან ქიმიურად შეერთვ-

\*) იბ. „მოამბე“ № 10.

ბა და ამ რიგად უფრო რთულ ნიეთიერებათა მიღება; მაგრამ, გარდა სითბოსა, ასეთსავე ქიმიურ დაშლა-შეზავებას ადვილად წარმოშობენ ხოლმე ბუნებრივ ძალის სხვა ფორმებიც, მაგალითად, სინათლე, ელექტრონი და მექანიკური ზედმოქმედებაც დაწოლა ან დაკვრა. ყველამ კარგად იცის, რომ სინათლის ზედგავლენით ფოტოგრაფიული თეთრი ქალალდი სწრაფად შავდება, რაღაც ქალალდზედ წაცხებული თეთრი რთული ნიეთიერება, ქლორიანი ვერცხლი, სინათლისაგან იშლება. თავის შემაღენელ ნაწილებად, რომელთაგან ერთი წარმოადგენს წაშავო მტკერს ლითონ ვერცხლისას და ქალალდზედვე რჩება, მეორე გაზოვანი ნიეთიერება კი არის ქლორი და ჰაერისაკენ მიისწრაფვის. ადვილად წარმოსადგენია აგრეთვე, რომ ელექტრონის შემწეობით თოფის-წამლის აფეთქებაც შესაძლოა და ხის, ხორცის დაწვაც; თუნდაც, მაგალითად, მეხის ჩამოვარდნის დროს. ბოლოს რაც შეეხება მექანიკურ ზედგავლენით ქიმიურ რეაქციის გამოწვევას, ამის მაგალითები ხოშბავშვაც კი იცის თუნდ ზოგიერთ წუმწუმის თავების ან ფისტონების ქვით ან ჩახმახით გახეთქვა. რაღა თქმა უნდა, ფისტონში ჩაკრული თეთრი წამალი და სპიჩის თავებიც რთული ნიეთიერებანი არიან და ქვის დაკვრით დიდის ენერგიის სითბოს წარმოშობით სწრაფად ირლვევიან ქიმიურად და ჰბადებენ სხვა ახალ რთულ ნიეთიერებათა. გარდა აქ ჩამოთვლილ პირობებისა აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მარტივი და რთული ნიეთიერებანიც მხოლოდ ერთმანეთის ზედ გავლენით აამოქმედებენ თავიანთ პოტენციალურ ენერგიას და ეს უკანასკნელი-კი ხელს უწყობს მათ დაშლა-შეერთებას; მაგალითად, როდესაც ახალ გამომწვარს და სრულებით გაციცებულ კირს ცივსავე წყალს დასხამენ ხოლმე, ჩვენ ვამჩნევთ, რომ წყლით დასველებული კირი საოცრად იწყებს გახურებას, წყალსაც თან-და-თან ახურებს და საბოლოოდ მდუღარე ფაფად გარდაიქცევა. შემდეგ დუღილი შესწყდება, ფაფა სრულებით გაციცება და

თუნდაც სულ რომ გავაშროთ ჰაერზედ, ამგვარად მიღებული თეთრი ნივთიერება ვეღარ შესძლებს ისეთივე სითბოს, ენერგიის წარმოშობას, როგორიც გაჩნდა გამომწვარ კირის წყალთან შეერთების დროს. თუ გვინდა, რომ ჰაერზედ გამშრალი ფაფა ამ მხრით ისევ გამომწვარ კირს დაემზგავსოს, საჭირო არის იმის ხელმეორედ ქურაში გამოწვა. ესე იგი იმისაგნ წყლის სრულებით განდევნა. რაც აქ ითქვა კირის შესახებ, ყოველივე ამას უეჭველია მკითხველიც კარგად დააკვირდებოდა, მაგრამ ამავე კირის შესახებ ერთი ფრიად საყურადღებო დაკვირების მოყვანაც არის საჭირო, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ძნელად თუ მიაქცევდა მკითხველი ყურადღებას. ეს დაკვირება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჩვენ ზამთარში, ყინვიან დარში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა  $0^{\circ}$  ბევრად უფრო ნაკლებია, ახლად გამომწვარ კირის ნაფლეთებს, ყინულის ნატეხებთან ერთად აურევთ, ვერაფერ სითბოს წარმოშობას ასეთ ორგვარ მაგარ ნივთიერებათა ნარევში ვერ შევამჩნევთ; მაშინ როდესაც საქმარისია ასეთი კირ-ყინულის ნარევი ოთახში შევიტანოთ და ყინული წყლად ვაქციოთ, რომ წყლით დასცელებული კირი სწრაფად გახურდეს.

კირის და წყლის ქიმიურ შეზავებით, როგორც ვიცით, სჩნდება ახალი ნივთიერება წყლიანი ან ესრულ წოდებული დანელებული, დაშლილი კირი, რომელიც აღარ უერთდება წყალს ქიმიურად, არამედ იშლება მასში მხოლოდ მექანიკურად, როგორც საჭმელი მარილი. \*) ჩვენ დავინახეთ, რომ დანელებული კირი უფრო ადვილად სჩნდება დამწვარ კირის წყალთან შეზავებით, ვიდრე ყინულთან შერევის დროს, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მაგარი ნივთიერება უფრო ადვილად უერთდება სხვა სითხეთ ქცეულ ნივთიერებას, ვიდრე იგივე მაგარ მდგომარეობის

\*) საკმარისია მარილის სსნილი ცეცხლზე დავაშროთ, რომ ისევ მაგარი მარილი მიგიღოთ.

ნივთიერებას. ესევე ითქმის თოფის-წამლის შემადგენელ ნივთიერებებზედაც. მართლაც ჩვენ რომ ნახშირის, გოგირდის და გვარჯილის მოზრდილი ნატეხები ერთმანეთში აკურიოთ, ასეთს ნარევს გაზვაზა. ცეცხლითაც ვერ ავაფეთქებთ, მაშინ როდესაც საკმარისია იგივე ნივთიერებანი კარგად დავსრისოთ, ფხვნილად ვაქციოთ და ერთმანეთში აურიოთ, რომ ასეთი ფხვნილი პაწაწა ნაპერწერალმაც დასწვის, ააფეთქოს.

აქ მოყვანილ ფაქტებიდან თავის თავად გამომდინარეობს ერთი მეტად საყურადღებო პირობა ქიმიურ რეაქციებისათვის; ქიმიურად მომქმედი, ნივთიერებანი, რაც შეიძლება სავსებით უნდა ეხებოდნენ ერთმანეთს და ასეთი შეხება კი შესაძლოა თუ ქიმიურად შეზავებულ ნივთიერებათა სითხედ, მტვრად, ან ფშვნილად ვაქცევთ.

გამომწვარ კირის წყალთან შეერთება ისეთი ჯგუფის ქიმიურ რეაქციებს ეკუთვნის, რომლების დროსაც ან გარეშე ფიზიკურ ჭალების დაუხმარებლად, ან მხოლოდ ოდნავი მათთვავლენით რთული თუ მარტივი ნივთიერებანი ქიმიურად ერთდებიან დიდის სითბოდ ქცეულ ენერგიის წარმოშობით. ჩვენ დავინახეთ, რომ გამომწვარ კირის და წყლის შეერთების დროს დიდი სითბო განხდა, რომლის უმეტესი ნაწილი დაიზარჯა წყლის გასათბობად და ორთქლად ქცევისათვის. ცხადია, ამდენი სითბოს დაკარგვის გამო გამომწვარ კირისაგან და წყლისაგან ახლად მიღებული ნივთიერება, დანელებული კირი ძალიან ღარიბი უნდა იყო ენერგიით მის წარმოშობ ნივთიერებებთან შედარებით. მართლადაც, დამქრალი კირი ველარ შეუერთდება ქიმიურად წყალს, ის წყალთან შერევის დროს ვერავითარ ენერგიას ველარ წარმოშობს და ამიტომაც უნდა ჩაითვალოს მჭიდრო, ძნელად დასაშლელ ნივთიერებად. დანელებულ კირის ქიმიურად დაშლა მის შემადგენელ ნივთიერებებად, გამომწვარ კირად და წყლად, შესაძლოა, თუ ჩვენ მას კარგად გამოვწვავთ ქურაში, ე. ი. თუ ეს ნივთიერება შეითვი-

სებს იმდენსავე სითბოს, რამდენიც გაჩნდა მის წარმოშობის დროს. ამგვარსავე ხასიათის რეაქციას. წარმოადგენს რკინის გოგირდთან შეერთება. როგორც ვიცით, საკმარისია ამ ორ ნაზოერებათა მექანიკური ნარევი მხოლოდ ერთ აღილას გავახუროთ, რომ რეაქცია დიდის სითბოს წარმოშობით თავისთავად დასრულდეს მთელს ნარევში. ამ რეაქციის დროს წარმომდგარი კაჟისავით მაგარი ნივთიერება—გოგირდოვანი რკინა—შეტად მჭიდრო ნივთიერება არის. მის დასაშლელად საჭირო არის ბევრისავე სითბოს დახარჯვა. აი, ასეთს რეაქციებს, რომლების დროსაც ერთდებიან მარტივი ან რთული ნივთიერებანი დიდის ენერგიის, სითბოს წარმოშობით და ამ რიგად ჰბალვენ შეტად მჭიდრო, ძნელად დასაშლელ რთულ ნივთიერებათა ეძახიან ეკზოტერმიულ (სითბოს წარმომშობ) რეაქციებს; ამ საშუალებით შიღებულ მჭიდრო ნივთიერებათა კი ეგზოტერმიულ (სითბოთი დალარიბებულ) ნივთიერებათა. როგორც ვხედავთ, ენერგიის სიღარიბე, ნაკლებობა ხელს უწყობს ნივთიერების სიმჭიდროვეს, არ დარღვევას, და ეს ადვილი გასაგებიც არის, რაღან ბევრ სითბო, ენერგიისაგან რთული ნივთიერება აღვილად იჩრდვეთ თავის შემაღვენელ ნივთიერებათა, მაგალითად, ხის დაწვა ცეცხლის შემწეობით, დანელებულ კირის წყლად და გამომწვარ კირად დაშლა ცეცხლისავე შემწეობით და სხვა.

არის მეორე ჯგუფის რეაქციებიც, რომლების დროსაც მარტივ ან რთულ ნივთიერებათა შესაერთებლად საჭირო არის გარეგანი ენერგია, სითბო. ქიმიურად შესაერთებელი ნივთიერებანი მხოლოდ ხანგრძლივის სითბოს შეთკისებით წარმოშობენ ახალ ენერგიით მდიდარ ნივთიერებათა. საზოგადოდ კი ასეთ ნივთიერებათა მისაღებად შეიძლება მარტივ ნივთიერებათან მიღებული და ენერგიით მდიდარი რთული ნივთიერებანი ერთი მეორესთან ქიმიურად შევაზარდოთ და ამნაირად დავაშჩადოთ უფრო რთული, ენერგიით მდიდარი.

ნივთიერებანი. ამ გვარ რეაქციებით წარმოშობილ ნივთიერებანი, როგორც ბევრი ენერგიის მექანიზმი, არ წარმოადგენ ნენ მჭიდროდ შეკავშირებულ ნივთიერებათა, რადგან მომეტებული ენერგია მეტად ასუსტებს მათ შემადგენელ ნივთიერებათა შორის მიმზიდველობას. ასეთ არამჭიდრო ნივთიერებათა ეძახიან ენდოტერმიულ, ესე იგი, სითბო-შეთვისებულ ნივთიერებათა და მათ წარმოშობ რეაქციებს კი ენდოტერმიულ, ესე იგი სითბოს შემთვისებელ რეაქციებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში მკითხველი ვერ შეჰვდება ასეთ რეაქციებს და ქიმიიდან ამოლებული მაგალითები კი ჯერ-ჯერობით ძნელად გასაგები იქმნება და ამიტომაც უმჯობესია ამ ჯგუფის რეაქციები მარტივ და რთულ ნივთიერებათა შესწავლის დროს გავიცნოთ. რაც შეეხება ამ გვარ რეაქციების შემწეობით მიღებულ ენდოტერმიულ ნივთიერებათა, ამათ, უეჭველია, ყველანი იცნობს.

მაგალითად, ზოგიერთ წუმწუმის ქიმიურ დასაშლელად საკმარისია ის რამე მაგარ საგანზედ გაუსვ-გამოუსვათ, ფისტონი შეგვიძლიან ქვის ან ჩახმახის შემწეობით გავხეთქოთ; ასეთივე უბრალო საშუალებით შეიძლება დინამიტის და ყუმბარის აფეთქებაც.

ქიმიურ რეაქციების გასაცნობლად საჭირო არის მოვიყვანოთ ერთი საყურადღებო მათი თვისებაც, რომელიც აღმოაჩინა გამოჩენილმა ქიმიკოსმა ბერტლომ და გამოიხატება ესრედ წოდებულ უმეტეს სითბოს წარმოშობის კანონში. ამ კანონს ჩვენ აღვილად წარმოვიდგენთ თუნდაც შემდეგ მაგალითზედ. ვსთქვათ, ჩვენ გვინდა გავიგოთ, როგორი სინტეზი ანუ შეერთება უნდა მოხდეს გოგირდსა, რკინასა და სპილენძს შორის. ამისათვის ამ სამ ნივთიერებათა მექანიკური ნარევი შესაფერ საშუალებით ერთ აღგილას უნდა გავახუროთ და, როდესაც ამნაირად დაწყებული ქიმიური რეაქცია დიდის.

სითბოს წარმოშობით მთელს ნარევში დასრულდება, ანალიზით უნდა გავიგოთ, რომელი ნივთიერება, რკინა თუ სპილენძი, უფრო შეუერთდა გოგირდს.

ანალიზი ყოველთვის ოღმოაჩენს, რომ ასეთ ნარევში რკინა უფრო და თითქმის განსაკუთრებით უერთდება გოგირდს. თუ კი გამოცდილებას ისე მოვახდენთ, რომ რკინის და სპილენძის რაოდენობა ერთი და იგივე იქნება და გოგირდის ვი იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება აღებულ რკინის გოგირდოვან რკინად გარდაქცევისთვის, ჩვენ ცხადად დავინახავთ, რომ მხოლოდ რკინა უერთდება გოგირდს, ასე რომ, როდესაც რამდენიმე მარტივი ან რთული ნივთიერებანი თავისავე ენერგიის ზედგავლენით ქიმიურ რეაქციას ჰბადვენ, ასეთ რეაქციის დროს ქიმურად ერთდებან ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც შეერთების დროს ყველაზედ მეტს სითბოს ჰბადვენ. ცხადია, რომ დიდის სითბოს წარმოშობით მიღებული ნივთიერებანი ასეთ შემთხვევაში მეტად მჭიდროდ, ენერგიით ღარიბ ნივთიერებათა უნდა წარმოადგენდნენ.

ბერტლოსაგან აღმოჩენილ კანონის შემწეობით დღეს ყოველ ქიმიკოსს შეუძლიან წინადვე სოქვას სხვა-და-სხვა მარტივ ან რთულ ნივთიერებათა შეერთების დროს რომელი და რა ხასიათის ნივთიერებანი უნდა მივიღოთ.

## ქიმიური ნიშნები და ფორმულები.

ქიმიური ფორმულები. ატომიური და მოლეკულიარული ჰიპო-  
ტეზები. ატომთა მიმზიდველობა და მისი რაოდენობა სხვა და სხვა  
ელემენტების ატომებში. მარტივ და რთულ ნივთიერებათა მოლე-  
კულების ტანითი რაოდენობა. გარევან ნივთიერებათა გავრცნა,  
შეკუმშენა და ავოგარდო-უერარის კანონი. ატომიური წონა ელე-  
მენტებისა და მისი რაოდენობის გამოანგარიშება წოგიერთ გაზო-  
გან ელემენტებისთვის. ქიმიურ რეაქციების აღნიშვნა ქიმიურ ფორ-  
მულების შემწეობით. მოლეკულიარული არსებობა მარტივ და  
რთულ ნივთიერებათა.

რადგან ბუნებაში მინერალური და ნახშიროვანი ნივთიე-  
რების ურიცხვია და ამის გამო მეტად საძნელოა ცალ-ცალ-  
კე მათი ქიმიურ შედგენილების და თვისების სიტყვიერად  
აღნიშვნა-დანახსლვრება, ამისათვის საერთოდ ყველა განათლე-  
ბულ ერთა ქიმიკოსებმა გადასწყვიტეს საზოგადო ქიმიურ ნი-  
შნების შემოღება. ჩვენ, რასაკვირველია, ფაქტიურ მასალის  
გაცნობის დროს ამავე ნიშნებით უნდა ვისარგებლოთ, რად-  
გან ახალ ქართულ ნიშნების შენობას შეუძლიან მეტის მე-  
ტად გაუძნესოს მსურველთ ევროპის ქიმიურ ლიტერატუ-  
რის გარნობა-შესწავლა. ქიმიაში ყოველ მარტივ ნივთიერე-  
ბას აღნიშნავენ ხოლმე მის ლათინურ ან ბერძნულ სახელის  
დაწყებით ასოები, მაგალითად გოგირდი—S(Sulphur), იოდი—  
J(Jodium), ნახშირის შემაღებელი მარტივი ნივთიერება ნა-  
ხშირმბადი—C (Carbo) და სხვანი.

თუ დაწყებითი ასო რამოდენიმე ელემენტებს ერთი და  
იგივე აქვს, მაშინ ასეთ მარტივ ნივთიერებათა აღსანიშნავად  
ხმარობენ პირველ ორ დაწყებით ასოს, მაგალითად რკინა—

Fe(Ferrum), სპილენძი—Cu(Cuprum), ცინკი—Zn(Zincum), მარგანეცი—Mn(Manganum) და სხვანი.

რთულ ნივთიერების აღსანიშნავად ერთად სწერენ ხოლმე მას შემადგენელ ელემენტთა სახელების დაწყებით ასოებს. მაგალითად, გოგირდოვანი რკინა—FeS, გოგირდოვანი სპილენძი—CuS, გოგირდოვანი ცინკი—ZnS და სხვანი, რთულ ნივთიერებათა გამომხატველ ქიმიკურ ნიშნებს, რომლებიც მარტივ ნივთიერებათა გამომხატველ ნიშნებისაგან შესდგებიან, უწოდებენ სახელით ქიმიურ ფორმულებს. ქამიური ფორმულა, გარდა იმისა, რომ აღნიშნავს, რა და რა მარტივ ნივთიერებებისაგან შესდგება ესათუ ის რთული ნივთიერება, ამავე დროსვე შეერთებულ ელემენტების რაოდენობის მაჩვენებელიც არის; ამას აღვილად დავინახავთ შემდეგში. ჩვენ შეგვიძლიან გამოცდილებით დავრწმუნდეთ, რომ გოგირდოვან რკინის წარმოშობის დროს ყოველთვის შეერთებულ გოგირდის და რკინის რაოდენობათა შორის ერთი და იგივე დამოკიდებულება სუვევს. განსაზღვრულ რაოდენობის რკინის ყოველთვის ერთი და იგივე რაოდენობის გოგირდი შეუერთდება, 1, 74 ნაწილ რკინის გოგირდოვან რკინაში ყოველთვის 1 ნაწილი გოგირდი შოუდის, რასაკვირველია, წონით. ამ გვარივე განსაზღვრული დამოკიდებულება, ხოლო სხვა და სხვა ელემენტებისათვის სხვა და სხვა შესამჩნევია ყველა დღეს ცნობილ რთულ ნივთიერებათა წარმოშობის დროს. ასე რომ ყოველ რთულ ნივთიერების სავსებით აღსანიშნავად უნდა შეგვედგინა ამგვარი ფორმულები. მაგალითად, გოგირდოვან რკინისათვის  $1,74\text{Fe} + \text{S}$ , გოგირდოვან ცინკისათვის  $2,03\text{Zn} + \text{Fe}$  და სხვანი.

მაგრამ ამ მიზნისათვის ქიმიკოსებმა უფრო ადვილ საშუალებას მიჰმართეს. მათ დასდევს, რომ ყოველი ქიმიური ელემენტი შესდგება სულ პაწაწა ნაწილებისაგან, რომლებიც წონით და ტანით სრულებრივ ერთნაირნი არიან. ელემენტის ამგვარ პაწაწა ნაწილებს დაარქვეს სახელით ატომები, რაც

ბერძნულიდ ნიშნავს „ველარ დასანაწილებელს“. რაღა თქმა  
უნდა, სხვა-და-სხვა ელემენტების ატომები სხვა-და-სხვა წო-  
ნისაც უნდა იყვნენ. ატომების შეერთებით ჩნდებიან მარტივი  
ან რთული ნივთიერებანი. ასე რომ მარტივი ნივთიერება შეს-  
დგება წონით ერთნაირ ატომთა ჯგუფისაგან, რთული კი სხვა-  
და სხვა ელემენტების ატომთა ჯგუფთაგან. ატომთა ჯგუფებს  
მეცნიერებაში უწოდებენ მოლეკულებს. ნივთიერების ქიმი-  
ური დაშლა-შეზავება ან ესრედ წოდებული არსებითად შეც-  
ვლა აღვილად აიხსნება ამ მოლეკულების შემადგენელ ატო-  
მებად დაშლით და ამ ატომებისაგან სხვა ახალ მოლეკუ-  
ლების გაჩენით. ამ გვარი მეცნიერული მოსაზრებანი, რო-  
მელნიც ოდნავადაც არ ეწინააღმდეგებიან ქიმიაში არსებულ  
ფაქტებს, ცნობილია ესრედ წოდებულ უნივთიერებათა შედ-  
გენილების ატომიურ და მოლეკულიარულ „ჰიპოტეზებად“.  
მარტივ ნივთიერების ატომები, როგორც სრულებით ერთ  
ნაირის თვისებათა ქიმიური პარამეტრები, ერთნაი-  
რისავე ქიმიურ მიმზიდველობის ზედგავლენით უნდა ერთდე-  
ბოდნენ miniesium ორ-ორი, რადგან თითოეულ ატომს შე-  
უძლიან მხოლოდ ერთი თავის ბადალი ატომი შეიერთოს. ასე  
რომ ყოველივე მარტივი ნივთიერება შესდგება ერთნაირ  
ორ-ატომიან მოლეკულებისაგან. სხვა და-სხვა ელემენტების  
ატომებს კი შეუძლიათ მრავალ ატომიანი მოლეკულები წარ-  
მოშობონ. სჩანს, ატომთა ურთიერთშორის მიმზიდველობის გა-  
ზომვა - ანგარიშსაც ადგილი უნდა ჰქონდეს ქიმიურ რეაქციე-  
ბის და, საზოგადოდ, ქიმიურ მოვლენების გაცნობა-შესწავლაში  
ისე, როგორც ატომთა წონის რაოდენობის ანგარიშსაც საზო-  
მად მიღებულ უმსუბუქეს ელემენტის და მიხედვით. ქიმიურ  
მიმზიდველობის რაოდენობის საანგარიშებლად ქიმიკოსებმა  
უმსუბუქეს ელემენტის ესრედ წოდებულ წყალშბადის მიმზი-  
დველობას მიჰმართეს და მის საზომად ერთ ატომ წყალშბადის  
მიმზიდველობა აღიარეს. ერთ ატომ წყალშბადს ანუ უმსუბუ-  
ქეს ელემენტს, როგორც ვიცით, მხოლოდ ერთი თავის ბალ-  
ლი ატომივე წყალშბადი შეუძლიან შეიერთოს.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ერთსავე ატომს წყალმბადისას შეუძლიან ერთ ატომ ვერცხლის, ლითონ კალიუმის ან ნატრიუმის ადგილი დაიჭიროს რაიმე შესაფერ რთულ შოლეკულაში; ასე რომ ერთ ატომ ვერცხლს, ერთ ატომ კალიუმს და ნატრიუმს იგივე მიმზიდველობა ჰქონიათ, როგორიც აქვს ერთ ატომ წყალმბადს. ერთ ატომ წყალმბადს კი შეუძლიან ერთივე საზომად მიღებული წყალმბადის ატომი მიიჩიდოს, მაშასადამე, ვერცხლი, კალიუმი და ნატრიუმი ერთ-მიმზიდველოვანი ელემენტები ყოფილან. გოგირდის ზედ-მოქმედების დროს კი, როგორც გამოკვლეული გვიჩვენებს, ორი ატომი წყალმბადისა უერთდება ერთ ატომ გოგირდს და გოგირდისავე ერთ ატომს უერთდება ორი ატომი ვერცხლისა, ორი ატომი კალიუმისა, ორი ატომი ნატრიუმისა; ასე რომ გოგირდის ატომი შედარებით წყალმბადის, ვერცხლის, კალიუმის და ნატრიუმის ატომებთან ორ მიმზიდველოვანი ყოფილა. არის ისეთი ელემენტები, რომლების ატომებიც შედარებით წყალმბადის ატომთან სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ მიმზიდველოვანნი არიან, ესე იგი, მათ შეუძლიათ ქიმიურ რეაქციებში წყალმბადის სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ ატომების ადგილი დაიჭირონ. პირობათა შიხედვით ზოგიერთ ელემენტების მიმზიდველობა ხშირად იცვლება და ასეთ შემთხვევაში ამგვარ ელემენტის ატომს შეუძლიან ქიმიურ რეაქციებში. წყალმბადის ატომების სხვა-დასხვა რაოდენობის ადგილი დაიჭიროს. ასეთ ელემენტებს ეკუთვნის, მაგალითად, გოგირდი, რომლის ატომი სხვა-და-სხვა ქიმიურ რეაქციებში ხან ორ, ხან ოთხ და ხანაც ექვს ატომ წყალმბადის ადგილს იჭერს.

ყოველივეს ატომთა მიმზიდველობის შესახებ ჩვენ აღვილად გავითვალისწინებთ ფაქტურ მასალის გაცნობის-და მიხედვით. უხლა კი გამოვარკვიოთ მარტივ და რთულ ნივთიერებათა მოლეკულების რაოდენობა ტანით და მათი ურთიერთ-შორის დამოკიდებულება ატომთა მიმზიდველობისდა მიხედვით. ჩვენ დავინახეთ, რომ მარტივ ნივთიერებათა მოლეკულები უნდა შესდგებოდნენ თინით ორ-ორ ატომებისაგან,

რთული მოლეკულები კი საშ, ოთხ და, როგორც შემდეგ დავინახავთ ნახშიროვან ნივთიერებათა გაცნობიდან, 60-ზედ მეტ ატომებიდანაც. ასე რომ, ცხადია, როგორც სხვა-და-სხვა მარტივი, აგრეთვე რთული ნივთიერებათა მოლეკულებიც სხვა-და-სხვა რაოდენობისანი ჯნდა იყვნენ ტანით. ამნაირი დასკვნა თითქოც ეწინააღმდეგება ფიზიკაში ცნობილ კოილ-მარიოტის და გე-ლიუსაკის კანონებს, რომლებიც აღიარებენ, რომ ერთისა და იმავე ტანის სხვა-და-სხვა რთული ან მარტივი ნივთიერებანი ერთნაირ გაზოვან ან ორთქლოვან მღვომარეობაში ერთისა და იმავე ტემპერატურის და ჰაერის ზედ დაწოლის გავლენით ერთნაირადვე იცვლებიან ტანით. თუ მივიღებთ, რომ სხვა-და-სხვა ნივთიერებათა მოლეკულები ტანით სხვა და სხვა რაოდენობისანი არიან, მაშინ თითქოც ზევით მოყვანილი ფიზიკური კანონი უსაფუძლოდ და შემცდარად უნდა აღვიაროთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ გამოცდილების ღროს ეს კანონი სავსებით მართლდება. მაშ, აშკარაა, ეს ფაქტი სხვანაირად უნდა ავხსნათ; უნდა მივიღოთ, რომ მოლეკულთა შორის დიდი მანძილები უნდა იყოს და ამ მანძილებში უნდა მოქმედებდნენ მოლეკულების ძალნი. ეს მანძილები შედარებით მოლეკულების დიამეტრებთან მეტად დიდები და ამასთანავე ყოველ მოლეკულისათვის ტანით ერთნაირნიც უნდა ივნენ. რადგან ყოველ მოლეკულს ირგვლივ და ყოველი მხრივ სხვა მოლეკულები ახვევია, ამისათვის უმჯობესია ამ ტანს და მოლეკულებსაც ჩვენს გონებაში ბურთისებური ფორმა მივსცეთ.

ამას შემდეგ ძალიან ადვილად გასაგებია გაზების კანონის ჭეშმარიტებაც.

მართლადაც, წარმოვიდგინოთ ორი ერთნაირის ტანის ჭურჭელი, ერთი მარტივ გაზოვან ელემენტით და მეორე კი მეტად რთულ მოლეკულისან გაზოვანივე ნივთიერებით სავსე:

ტემპერატურის რაოდენობა და ჰაერის ზედ-დაწოლის ძალა, ფსთვა-თ, ორივე გაზოვან ნივთიერებათვის ერთი და იგივე არის. რადგან ყოველ მოლეკულს თვისი ბურთისებური სფერია აქვს და მისი ტანი შედარებით სფერის ტანთან თვი-

თქმის არა რად უნდა ჩაითვალოს, ცხადია, ასეთ უზარმაზარ სფერაში ორ-ატომიანიც და ოც ან სამოც ატომიანი მოლეკულაც მოთავსდება და ამიტომაც პაწაწა მოლეკულების ტანითი რაოდენობა ოდნავადაც ვერ იქნიებს გავლენას გაზების შეფუძვნა-გავრცნაზედ. ამნაირად იქმშვნება და ივრცნება, უკეთ რომ ვსთქვათ, პატარავდება და იზრდება მხოლოდ ერთნაირი სივრცენი ანუ სფერები, რომლებმიაც მოთავსებულნი არიან მოლეკულები. კოილ-მარიოტის და გე-ლიუსაკის გაზების კანონიდან გამომდინარეობს ერთი მეტად საყურადღებო დასკვნაც, რომელიც აღიარებს, რომ ერთსა და იმავე ტანის სხვა და სხვა გაზოვან ნივთიერებებში ერთნაირს პირობებში მოლეკულების ერთი და იგივე რიცხვიც უნდა იმყოფებოდეს, რა-მაკვირველია, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ატომიან მოლეკულებისაგან შესლგებიან ესა თუ ის გაზოვანი ნივთიერებანი.

ეს აზრი ცნობილი არის ქიმიაში ავოგადრო - ეერაბის კანონად,

ეხლა ვნახოთ, როგორ გამოიყენეს ქიმიკოსებმა ატომიურ და მოლეკულიარული ჰიპოტეზები რთულ ნივთიერებათა სავსებით აღსნიშნავად.

დღეს ზოგიერთ მარტივად ცნობილ ნივთიერებების სიმჭიდრების ანუ შედარებით წინის გასაგებად ქიმიკოსებმა აიღეს ერთნაირს პირობებში განსაზღვრულ ტემპერატურის და ჰარის ზედ დაწოლის მიხედვით ერთი და იგივე ტანის სხვა-დასხვა გაზოვანი ელემენტები, ასწონეს ეს გაზები შესაფერ საშუალებით ქიმიურ ნაზ სასწორზედ და ამრიგად აღმოაჩინეს, რომ ერთი ელემენტთაგანი ყველაზედ უფრო მსუბუქი გამოდგა, რასაკვირველია, სხვა არა გაზოვან ელემენტებთან შედარებითაც, რომლების სიმჭიდრე სხვა არა პირდაპირ საშუალებებით გამოიანგარიშეს. \*) ამას შემდეგ ეს უმსუბუქესი ელემენ-

\*) ამ საშუალებებს ჩვენ არა - გაზოვან ელემენტების შესწავლის დროს გავეცნობით.

ტი აღიარეს ელემენტებთა სიმჭიდრების ანუ შედარებითი ატო-  
მიურ წონის საზომად.

ვსთქვათ ერთნაირს პირობებში ავწონეთ განსაზღვრული  
რაოდენობა, რასაკვირველია, ტანით ამ ყველაზედ უფრო მჩატე  
ელემენტისა და შემდეგ ამოდენივე რაოდენობა რომელიმე  
მეორე ელემენტისა. ცხადია, რომ წონა მეორე ელემენტისა  
გვაჩვენებს, თუ რამდენად უფრო მძიმე არის ის შედარებით  
საზომად მიღებულ ელემენტთან. ზევით აღნიშნულ ჰიპოტეზის  
და მიხედვით ერთნაირს პირობებში, ერთი და იგივე რაოდე-  
ნობის (სივრცით) მსუბუქ და მეორე მასთან შედარებულ ელე-  
მენტებში ერთი და იგივე მოლეკულთა და მაშასადამე ატომთა  
რიცხვიც უნდა იყოს; მაშ თუ, მაგალითად, მილლიარდი ატომი  
მსუბუქ ელემენტისა ცწონის რამდენჯერმე ნაკლებს, ვიდრე  
ეს მილლიარდიც ატომი მეორე ელემენტისა, ცხადია, მსუბუქ  
დასაზომად შილებულ ელემენტის ერთი ატომიც ამდენჯერვე  
ნაკლებს უნდა იწონიდეს, ვიდრე ერთი ატომი მეორე ელემენ-  
ტისა. ჩვენ შეგვიძლიან რეაქციაში მომქმედ ელემენტების წო-  
ნითი რაოდენობის ინგარიში ამ ელემენტების ატომებზედ გად-  
ვიტანოთ. ზევით მოყვანილ და სხვა ქიმიურ და ფიზიკურ სა-  
შუალებების შემწეობით, რომლებსაც თავის დროზედ გავეც-  
ნობით, მეცნიერებმა გამოიანგარიშეს ყველა ელემენტთა ატო-  
მების წონა ერთ უმჩატეს ელემენტის ატომთან შედარებით.  
ამ ელემენტის ატომის წონა, როგორც ვიცით, მიღებულია  
უმცირეს საზომად და უდრის=1.

რაკი ქიმიურად შესაერთებელ ელემენტთა შორის მა-  
თი წონითი რაოდენობის დამოკიდებულება სავსებით შეგვიძლი-  
ან გადავიტანოთ მათ ატომებზედაც, ამის შემდეგ ჩვენ ადვილად  
წარმოვიდგენთ ქიმიურ ფორმულების სავსებით მნიშვნელობასაც.  
მართლადაც დაუბრუნდეთ ისევ გოგირდოვან რკინას: ჩვენ ვთქვით,  
რომ გოგირდოვან რკინის წარმოშობის დროს ყოველთვის შეერ-  
თებულ რკინის და გოგირდის რაოდენობათა შორის ერთი და  
იგივე დამოკიდებულება სუფეს: 1, 74. რკინას ყოველთვის  
უერთდება წონით 1 ნაწილი გოგირდი. როგორც ვიცით, ყოვე-

ლივე ეს ითქმის ამ ორ ელემენტთა ატომებზედაც ე. ი. გოგირდოვან რკინის მოლეკულის გასაჩენად უნდა შეერთდნენ გოგირდის და რკინის ატომები ისეთ რაოდენობით, რომ მათი ურთიერთ შორის წონითი დამოკიდებულება უნდა უდრიდეს რკინისათვის 1,74. და გოგირდისთვის 1. რადგან რკინის და გოგირდის ატომების წონა შედარებით უმსუბუქეს ელემენტის წონასთან, ქიმიკოსთა გამოანგარიშებით, უდრის რკინისთვის 56 და გოგირდისთვის 32 და ამ ორ ატომთა წონითი დამოკიდებულება კი იგივე არის, როგორც გოგირდის რკინისათვის შეერთების დროს, ე. ი.  $56:32 = 1,74:1$ . ამისათვის აშკარა არის, უნდა დავსკვნათ, რომ გოგირდის და რკინის შეერთების დროს თითეული რკინის ატომი უერთდება გოგირდის ერთ ატომს და ამნაირად ჩნდება მოლეკული ახალ რთულ ნივთიერებისა, გოგირდოვან რკინისა. ცხადია, ეს მოლეკული შესდგება ერთ ატომ რკინისაგან და ერთ ატომ გოგირდისაგან. ამნაირად ზევით მოყვანილი ქიმიური ფორმულა  $\text{FeS}$  ნიშნავს, რომ ერთ ატომ ანუ 56 ნაწილ (წონით) რკინის და ერთ ატომ ანუ 32 ნაწილ გოგირდის შეერთების დროს ჩნდება ერთი მოლეკული ანუ 88 ნაწილი გოგირდოვან რკინისა.

რეაქცია კი ამ რთულ ნივთიერების მიღებისა შევვიძლიან გამოვხატოთ შემდეგის ქიმიურის თანასწორობით  $\text{Fe} + \text{S} = \text{FeS}$ .

არის ისეთი რეაქციებიც, რომლების დროსაც ერთი, ორი, სამი და მეტი ატომებიც ერთ ელემენტისა უერთდება ან ერთს ან მეტს ატომებს მეორე ელემენტისას და ამნაირად ჩნდება რთულ ნივთიერების მოლეკული, რომელიც შესდგება სამ, ოთხ, ხუთ და მეტ სხვა-და-სხვა ატომებისაგან. მაგალითად გოგირდოვან ვერცხლის მისაღებად, როგორც გამოცდილება ვერჩვენებს, უნდა ავიღოთ ერთ ნაწილ გოგირდზედ (წონით) 6,72 ნაწილი ლითონ ვერცხლისა. ვერცხლის ატომი კი უმსუბუქეს ელემენტის ატომთან შედარებით უნდა იწონიდეს 107,66 ისე რომ, თუ ერთ ნაწილ გოგირდზედ 6,72 ნაწილი ვერცხლი

მოუღის გოგირდის ერთ ატომის წონაზედ, რომელიც უდრის  
1—6,72

32, მოუვა 215,22 ვერცხლის წონა  $\frac{32 - X}{X = 215,22}$  ანუ

215,22: 107,66 = 2 ატომი ვერცხლისა. ამნაირად გოგირდოვან ვერცხლის ფორმულა იქნება  $Ag_2S$  ე. ი. ორი ატომი ვერცხლი და ერთი ატომი გოგირდი.

ასეთ რეაქციებზედ და რთულ ნივთიერებებზედ ვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით ქიმიურ ნივთიერებათა აღწერის დროს.

### კრისტალლოგრაფია


ამორტიული და კრისტალლიური ნივთიერებანი. კრისტალლოგრაფია ანუ კრისტალთ აღწერა. პარამეტრები, სიმეტრიის ღრუბები და სიტყვები. ექვსი სისტემა ანუ კლასისი კრისტალლიურ ფორმებისა: 1) სწორი, 2) კვადრატიული, 3) ჰექსაგონალური ანუ ექვს კუთხოვანი, 4) რომბიული, 5) მონოკლინოდიზული ანუ ერთ სოლისებურ კუთხოვანი და 6) ტრიკლინოდიზული ანუ სამსოდისებური კუთხოვანი სისტემები დიმორფიული და იზომორფიული კრისტალლები.

სანამ ელემენტთა და რთულ ნივთიერებათა დაწვრილებით აღწერას შეუდგებოდეთ, საჭირო არის მოკლედ გავეცნოთ ერთს ფრიად საყურადღებო ნივთიერებათა დამახასიათებელ საშუალებასაც, ესრედ წოდებულ კრისტალდად ქცევას. ნივთიერებათა გამოსაცნობად, დასახასიათებლად სხვა ფიზიკური საშუალებაც არის, მაგალითად, ნივთიერებათა გალობბის და დუღილის ტემპერატურის შეტყობა, მათი სიმჭირხნის გამოანგარიშება წმინდა წყალთან შედარებით და სხვანი, მაგრამ ყოველივე ეს, უეჭველია, მკითხველმაც კარგად იცის თუ ფიზიკიდან არა, ყოველ დღიურ ცხოვრებიდან მაინც. ამიტომ ჩვენ გავჩერდებით მხოლოდ კრისტალიდ-ქცევის საშუალებაზედ.

ჩვენ გაცით, რომ ნივთიერებას შესაფერ პირობებში შეუძლიან სამგვარი მდგომარეობა მიიღოს მაგარი, ხსნილი და გაზოვანი; ყველა ამ სამ მდგომარეობის ნივთიერებაც გვინახავს; მაგალითად, მიწა, წყალი და ჰაერი, მაგრამ ძვირად თუ ვისმეს მიუქცევია ყურადღება მაგარ ნივთიერებათა ორ სხვა და სხვა გვარის შეხედულობისათვის, უკეთ რომ ვსთქვათ, ფორმისათვის. ყველასაგან კარგად ცნობილი გამომწვარი კირი ან ცარცი წარმოადგენენ ერთ გვარ ფორმის ნივთიერებათა, მეორეგვარ ფორმისას კი, ვსთქვათ; საჭმელი მარილი, ან შაქარი. გამომწვარი კირი და ცარცი შესდგებიან კანუსაზღვრელ ფორმის პაწაწა ნაწილებისაგან და ხელით შეხების დროს სიმბილის შთაბეჭდილებას ახდენენ. ნივთიერებათა ასეთი ფორმა-შეხედულება აიხსნება მათ მოლეკულების უთადარივო არეულ მდგომარეობით; მოლეკულების არა წყობიერ, ურთიერთ შორის მიმზიდველობა-შეერთება კი მათ შემაჯგენელ ატომთა თვისებათა შედეგი უნდა იყოს. ასეა თუ ისე, ჩვენთვის საჭირო არის მხოლოდ ვიცოდეთ, რომ ატომთა შეერთებით წარმოშობილი მოლეკულები ზოგიერთ შემთხვევაში თავისებურ ურთიერთ შორის მიმზიდველობით გააჩენენ ხოლმე განუსაზღვრელ ფორმებს ან აგებულების პაწაწა ნაწილებს, აი ასეთ გამოურკვეველ აგებულების პაწაწა ნაწილებისაგან შემდგარ ნივთიერებათ უწოდებენ სახელად ამორფულ ნივთიერებას. ამ მხრით სრულებით სხვა ხასიათის ნივთიერებათ წარმოადგენენ საჭმელი მარილი და შაქარი, კვნიტ მარილში ან შაქრის ნატეხებში ჩვენ ადვილად ვამჩნევთ განსაზღრულ აგებულობის ნაწილებს; მარილში, მაგალითად, ერთნაირის სიგრძე-სიფართის და სიმაღლის კოლოფის მზგავს პატარა ნაწილებს, კუბებს. შაქარში კი ამგვარისავე, ხოლო უფრო მოგრძო კოლოფის მგზავს ნაწილებს, პრიზმებს; ამ გვარისავე ფორმის ნაწილებს, ხოლო გადიდებულს წარმოადგენს ესრედ წოდებული შაქარ - ყინული. უკანასკნელი იგივე შაქარია და ადვილად ჩნდება შაქრით გაუენთილ წყალში. ასეთ წყალში ჯერ სულ პაწაწა შაქრის პრიზმები ჩნდება, შემდეგ კი ისინი თან და-თან იზრდებიან და ვეებერთელა პრიზმებად გარდაიქცე-

ვიან. ამ გვარადვე შეგვიძლიან მარილის დიდი კუბებიც მივიღოთ: ამისათვის საკმარისია ცოტაოდენ წყალში იმდენი მარილი გავჭიხსნათ, რომ ამაზედ მეტის გახსნა მასში შეუძლებელი შეიქმნას და ამას შემდეგ მარილით გაუენთილი წყალი რამოდენიმე დროის განმავლობაში გაუნძრევლად დავტოვოთ. აქაც, რა-საკვირველია, ჯერ პატარა კუბები გაჩნდება და შემდეგ კი ისინიც დიდებად გარდაიქცევიან. მარილის კუბები და შაქრის პრიზმები, რასაკვირველია, ამ ნივთიერებათა მოლეკულებისაგან შენდებიან, ხოლო აქ ამგვარი აშენება მათ წყობიერ მიმზიდველობას უნდა მივაწეროთ. ამ გვარად აშენებული განსაზღვრულ ფორმის ნივთიერებას სხვა და-სხვა მიმართულებით, სიგრძით, სიფართით და სიმაღლით სხვა-და-სხვა ფაზიკურ თვისებასაც იძენს: მაგალითად, სინათლის სხივები ვერ გადიან ერთნაირის ძალით გამჭრიას პრიზმა-კუბების სიგრძე, სიფართე, სიმაღლით. ნივთიერებათა ამ გვარ თვისებით, როგორც ვიცით, სარგებლობენ ფიზიკოსები სინათლის შესასწავლად. ამნაირად მოლეკულების წყობიერ შეერთებით აშენებული განსაზღვრულ აგებულობის ნაწილები, პრიზმები და კუბები წარმოადგენენ ესრედ წოდებულ კრისტალლებს. სხვა და სხვა შედგენილების ნივთიერება სხვა-და-სხვა ფორმის კრისტალლებს ჰპადაფს ხოლმე; ასე რომ ხშირად კრისტალის ფორმა ნივთიერების ქიმიურ შედგენილების მაჩვენებელიც არის. როგორც ზევით დავინახეთ, კრისტალლების მისაღებად, ნივთიერება წყალში ან სხვა რამ შესაფერ სითხეში უნდა გავჭიხსნათ და ამრიგად დამზადებული სითხე გაუნძრევლად უნდა დავსტოვოთ ცოცა თუ ბევრ დროის განმავლობაში. ასეთ საშუალებას კრისტალლად ქცევას უწოდებენ, თვით მეცნიერებას კი, რომელიც სხვა-და-სხვა ფორმის კრისტალებს განიხილავს კრისტალოგრაფიას ანუ კრისტალთ აღწერას უწოდებენ. ნივთიერებათა კრისტალურ ფორმისდა მიხედვით გამოსაცნობად საჭირო არის ვიცოდეთ, რამდენად ფორმის კრისტალლები არის ცნობილი მეცნიერებაში, ასეთი ფორმები ურიცხვია, მაგრამ მათ ადვილად გასაცნობად და დასანას სოფრებლად მეცნიერებაში მიღებული არის ექვსი სისტემა ანუ

კლასი. ეს ექვსი სისტემა დაფუძნებულია სრულებით უბრალო მოსაზრებაზე. წარმოიდგინეთ კუბიკური ფორმა ანუ კოლოფი, რომლის სიმაღლე, სიფართე და სიგრძე ერთი და იგივე არის და კოლოფის შუაში კი წერტილი. ჩადგან კოლოფის სიგრძე, სიფართე და სიმაღლეც ერთნაირი არის, ცხადია, შუა წერტილი კოლოფის ორ სიფართით მდებარე გვერდებიდან, ორ სიგრძით და ბოლოსაც ორ სიმაღლით (ქვევით და ზევით). მდებარე გვერდებიდანვე ერთნაირს მანძილზედ უნდა იყოს დაშორებული. წერტილიდან დაწყებულ მანძილებს სიგრძე, სიფართე და სიმაღლისკენ მიყოლებით უძახიან პარამეტრებს. აქ მოყვანილ მაგალითში, ე. ი. კუბში სამივე პარამეტრები ერთნაირი არიან და ერთ საზოგადო წერტილში შეერთებით ასეთი მანძილები ხაზებით აღნიშნულნი შეადგენენ 90 გრადუსიან კუთხეებს.



ეხლა, თუ წარმოვიდგენთ, რომ სამივე პარამეტრი სხვა და სხვა, ან ორი ერთნაირია და მეორე სხვა ან ერთი ერთმანეთთან. შეხვედრით არ შეადგენენ 90 გრადუსიან კუთხეს, ან 90 გრადუსიან და არა 90 გრადუსიანსაც, ჩვენ ადვილად


გავიცნობთ ყველა კრისტალლურ ფორმების მხოლოდ რამო-  
დენიმე კლასად ანუ სისტემად დაყოფის საბუთსაც.

I: პირველ სისტემას ეკუთვნიან კუბისებური, ე. ი. ერთნაი-  
რი პარამეტრების კრისტალლები. კრისტალლების ამგვარ  
კლასს უძახიან სწორ სისტემას. თუ ასეთ კრისტალლებში, მაგა-  
ლითად, კუბში წარმოვიდგენთ შუაგულ წერტილიდან ორ ერთი  
მეორის პირდაპირ მდებარე გვერდებამდე მისულ პარამეტრებს,  
ჩვენ მივიღებთ სამ ერთ - ნაირ სიგრძის ხაზებს, რომელთაც  
კრისტალლის ღერძებს უძახიან. ცხადია, რომ კუბში ყოველ  
ღერძს ზეფით მდებარე წერტილებისათვის, შესაფერი სიმეტ-  
რიული წერტილები მოიპოვება იმავე ღერძის ქვეით. ამ გვარ  
სიმეტრიას უფრო ადვილად წარმოვიდგენთ, თუ ჩვენ რომე-  
ლიმე ღერძის გაყოლებით კუბს ორად გავაპობთ და ამნაირად  
მიღებული კუბის ორი ნახევარი ვსთქვათ რაიმე სიპტყით არიან  
ერთი მეორისაგან დაშორებულნი. რაღა თქმა უნდა, ასეთ სი-  
პტყით ორივე მხრით მდებარე კუბის ნახევრები სრულებით  
ერთნაირნი, სიმეტრიულნი იქნებიან: ყოველივე წერტილისა-  
თვის სიპტყის ერთ მხარეზედ, მეორე მისთვის სიმეტრიული წერ-  
ტილი მოიპოვება სიპტყის მეორე მხარეზედ.


კრისტალლოგრაფიაში ასეთ სიპტყეს, რომელიც ჰყოფს  
კრისტალს ორ სიმეტრიულ ნაწილებად, უძახიან სიმეტრიის  
სიტყეს, იმ ღერძის კი, რომელიც განვლო ასეთმა სიპტყემ, სი-  
მეტრიის ღერძს უწოდებენ.

სხვა და სხვა სისტემის კრისტალლები განსხვავდებიან სიმე-  
ტრიის სიპტყეთა და ღერძთა რიცხვით, რაც, რასაკვირველია,  
დამოკიდებული არის პარამეტრების და მათ შეერთებით წარ-  
მომდგარ კუთხეების. სხვა : და - სხვაობაზედ. ჩვენ ზედმეტად.

მიგვაჩნია სხვა და-სხვა სისტემის სიპტყებსა და ღერძებზედ ლაპარაკი, რადგან ეს სპეციალური კითხვა არის, რომელიც მსურველს შეუძლიან კრისტალლოგრაფიაში გაიცნოს. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ დანარჩენ სისტემებსაც პარამეტრების და კუთხეების მიხედვით. პირველ სწორ სისტემის გასაცნობლად მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:




ღეკსაედრი ანუ კუბი.




ოკტაედრი.

კუბის და ოკტაედრის ან სხვა პირველისავე სისტემის ფორმების შეერთებით წარმოსდგება უფრო რთული კომბინაციური ფორმები. II.-მეორე ესრედ წოდებულ კვადრატიულ სისტემას ეკუთვნიან ისეთი კრისტალლები, რომლებშიაც სამიმიართულებით სამი ღერძის გაყვანა შეიძლება, ხოლო ამ სამ ღერძიდან რარი სიფართის და სიგრძის ერთნაირნი არიან, მესამე კი სიმიაღლით შეიძლება ან მათზედ უფრო მოკლე, ან უფრო გრძელი: იქნეს.. რაც შეეხება ღერძების შეერთებით წარმომდგარ კუთხეებს, ისინი ყველანი ერთნაირნი არიან და უდრიან = 90 გრადუსს.




სხვა და სხვა ღრეულებითი (სიმაღლით) კვადრატიული პირამიდები.

III. მესამე გექსაგონალური ანუ ექვს კუთხოვანი სისტემა. ამ სისტემის კრისტალლები ექვს სიმეტრიულ ნაწილებად შეიძლება დაყყოს, რადგან გვერდითი ღერძების შეერთებით წარმოსდგება ექვსი გრადუსიანი კუთხეები. ამის გამო ყველა გვერდითი ღერძები ერთნაირის სიგრძისანი არიან, სიმაღლის უმთავრესი ღერძი კი სხვა სიგრძისა არის და გვერდითი ღერძებთან შეერთებით შეადგენს 90 გრადუსიან კუთხეს.



ღექსაგონალური ანუ ექვს კუთხოვანი პირამიდი.

IV.—მეოთხე რომბულ სისტემის კრისტალლებში ვამჩნევთ სამივე მიმართულებით სხვა-და-სხვა სიგრძის ღერძებსა. თუ ერთ რომელსამე ღერძს უმთავრეს ღერძად ჩავთვლით, ორ დანარჩენთაგან ერთი უფრო მოგრძო იქნება მეორესთან შედარებით და ამიტომაც პირველს უფრო გრძელს ეძახიან მაკროდიოგონალს (ბერძნულად მაკრო ნიშნავს გრძელს), მეორეს მოკლეს კი პირაზიდიოგონალს (პრაზი — მოკლე). ამ სამ სხვა-და-სხვა სიგრძის ღერძების შეხვედრით მხოლოდ 90 გრადუსიანი კუთხეები სწორება.





რომბული  
პრაზი და

V.—შესუთე მონკლინოედრიული სისტემა. ამ სისტემის კრისტალლებშიაც სამივე მიმართულების ღერძები სხვა და-სხვა სიგრძისანი არიან. ერთი მათგანი დანარჩენ ორ ღერძთან შეხვედრით შეადგენს 90 გრადუსიან კუთხეებს; უკანასკნელ ორ ღერძის შეხვედრით კი წარმოსდგება არა 90 გრადუსიანი, ე. ი. არა სწორი კუთხე.



აქედან წარმოსდგა ამ სისტემის სახელიც მოხოკლინოედრიული. ანუ ერთ სოლისებურ კუთხოვანი სისტემა: ამ

სისტემის ტიპიური ფორმა მონოკლინოდროული პირამიდია არის.



მონოკლინოდროული  
პირამიდი

VII.—ბოლოს მეექვსე სისტემას ტრიკლინოდროულსან საშ სხვა და-სხვა სოლისებურ კუთხოვან სისტემას უძახიან. აქაც საშ სხვა სიგრძის ღერძებს აქვს აღგილი იმ განსხვავებით კი, რომ სამივესავე შეხვედრით სხვა-და-სხვა არა სწორი არა 90- სიანი კუთხეებისა ჩნდება. ყოველ ამ სისტემის ნივთიერების კრისტალს თავისი განსაზღვრული საშ ღერძთა შორის დამო- კიდებულება და სამი განსაზღვრულივე არა სწორი, არა 90- სიანი კუთხეები აქვს.



ტრიკლინოდროული პრიზმი.

არის ისეთი ნივთიერებანიც, რომელნიც კრისტალლად ქცე- ვის დროს ორ გვარ სისტემის კრისტალლებს ჰბადვენ ხოლმე,

და მათ უძახიან სახელად დიმორფიულ ნივთიერებათა. სხვა-და სხვა ნივთიერებათ კი, რომელიც ერთისა და იმავე სისტემის კრისტალლებს ჰგადვენ ხოლმე, უწოდებენ სახელად იზომორ-ფიულ ნივთიერებათა.

### ელემენტების კლასიფიკაცია

როგორც ზევით დავინახეთ, ყველა ელემენტებს ჰყოფენ ორ ჯგუფად ანუ კლასსად: ლითონებად და არა-ლითონებად ანუ მეტალლოიდებად. ლითონები ბრწყინავენ, პრიალობენ, მათ კარგად გაჰყავთ სითბო და ელექტრონი; არა-ლითონები კი, როგორც, მაგალითად, გოვირდი, ფოსფორი და სხვანი, ამ შერით უფრო განსხვავდებიან ლითონებისაგან. ელექტრონის ზედმოქმედების მიხედვით ლითონები უფრო მიმატებით ელექ-ტრონის მექონი არიან, ვიდრე არა-ლითონები. უფრო გასა-გებად რომ ვთქვათ, უბრალო ორ ელემონტოვან ნივთიერე-ბაში ელექტრონის ზედ მოქმედებით ლითონი გამოკლებით პოლიუსზედ, ე. ი. ცინკზედ მოიყრის თავს, რადგან ლითონის ატომები, როგორც მიმატებით ელექტრონის მექონი, გამო-კლებით ელექტრონისკენ მიიღოთ, არა-ლითონები კი მიმა-ტებით პოლიუსზედ ანუ ნახშირზედ ან კოქსზედ. ამ გვარი განსხვავება ლითონების არა-ლითონებისაგან არ არის სავსებითი, რადგან ზოგიერთი არა ლითონები თუმცა გარეგან თვისებებით დიდად განსხვავდებიან ლითონებისაგან, სამაგიეროდ თავის ქიმიურ თვისებებით სრულებით წააგავან ლითონებს. ამიტომ ეს უბრალო და სინამდვილეს მოკლებული კლასიფიკაცია უარ ყოფილ იქმნა და საუკეთესოდ აღიარეს ახალი კლასიფიკაცია ან სისტემა, რომე-ლიც შეიცავს ყველა დღეს ცნობილ და მომავალში მოსალო-დნელ ელექტრებს და რომელიც დაფუძნებული არის ელემენ-ტების ატომთა წონის რაოდენობებზედ. ამ სისტემით, რომე-ლიც სავსებით შეიმუშავა ბ. მენდელეევმა, ელემენტთა თვისე-ბანი თავიათ, ატომების წონათა პერიოდიულ ფუნკციებს წარმოადგენ. ე. ი. ატომების წონათა ცვალებადობისდა

შიხედვით პერიოდიულად ანუ ჯგუფ-ჯგუფობით და შესაფერად ცკვლება ელემენტთა თვისებებიც. ეს სისტემა დღეს ცნობილი არის პერიოდიულ სისტემის სახელით. დაწვრილებით პერიოდიულ სისტემას ჩვენ აღვილად გავიკრიბობთ ცოტაოდენ ფაქტიურ ცნობების განმარტების შემდეგ. მხოლოდ ერთი ელემენტი არ შედის პერიოდულ სისტემის ჯგუფებში, მას ამ სისტემაში განცალკევებული ადგილი უჭირავს და ამიტომაც უმჯობესი იქნება თავდაპირველად გავეცნოთ ამ თავისებურ ელემენტს.

ა. გ. გლდაჩშვილი.

მეათე №-ში „მჟყლე მინერალური ქამთა“-ში შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა:

	დასტამბულია:		
გვერდი 3 სტრიქ. 5	ქვეიდ. { ჯოტაოდენი	—	უნდა იყოს: ცოტაოდენი
გვერდი 8 სტრიქ. 7	ქვეიდ. { 706	—	70-6
გვერდი 16 სტრიქ. 7	ზევიდ. { მოქმედების	—	მოქმედობს
გვერდი 17 სტრიქ. 17	ქვეიდ. { ქალი	—	ქილა
გვერდი 18 სტრიქ. 4	ქვეიდ. { ენერგიის	—	ენერგიას.

# გიგლიობგ ჩავიდა

ს ა უ ნ ჯ ე ა ვ ა თ მ უ ღ ფ ღ ბ ი ს ა

ა ნ უ

აღწერა და წამლობა ყოველგვარ ავათმყოფობათა, დოქტორ  
ა. ი. ფედოროვისა, თარგმანი ი. როსტომაშვილისა, 1903 წ.  
ქ. თბილისი. იაფ-ფასიანი გამოცემა სტეფანე ქონსტანტინეს-  
ძის ზუბალაშვილის საფასით. № 18. ფასი 15 ქ. 101 გვ.

1

ცრუ-მორწმუნოება ისე ბუნების მოვლენათა სფერაში არ  
არის ჩვენში ძლიერი, როგორც ავადმყოფობა-მკურნალობის  
სფერაშია. არამ თუ სოფლის ხალხს ჯერ ქალაქში მცხოვრებ-  
თაც კი სწამთ მკითხავი, ჯადო, თილისმა და სხვა... ქუნთრუ  
შა, ყვავილი, წითელა, მუცელ-კეთილი და. სხვა ამ გვარი გა-  
დამდები საძაგელი ჭირი გაუნათლებელს ხალხში ჯერ დღესაც  
ბატონობენ, ანგელოზებად ითვლებიან.

აი ამ გვარ სიბნელეშია ჯერაც ჩვენი ხალხი და რაღა თქმა  
უნდა, ყოველ გვარ მეცნიერების პოპულიარიზაცია, ხალხი-  
სთვის გასაგებად დაწერა და გამოცემა ჩვენთვის დიდად საჭი-  
როა. მხოლოდ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სამეცნიერო საფა-  
რთდან რომელი დარგიც, საგანიც კინდა აიღოთ და რა საგანის გამ-  
დაბირაც შთისურველი, შრომა იმან უნდა იყისროთ, ვისაც რა საგანი  
სპეციალურად, მეცნიერეულად შეგისწავლიათ. მამასადამე სამკურნა-  
ლო მეცნიერების სახალხოდ დაწერა ანუ თარგმნა მხოლოდ  
მკურნალს შეუძლია, მისი ვალია. მაგალითისთვის შორს, სა-

ზღვარ-გარეთ ნუ წავალთ; ამ რამდენიმე თვის წინად რუსებმა სახალხო კარაბადინი გამოსცეს და იცით რანაირად? ჯერ სამი ოთხი დოქტორი მუშაობდა, მერე, თავის თავსაც რო ვერ ენდნენ, პროფესორს თარხნიშვილს მიმართეს და მისი რედაქტორი რობით გამოსცეს,\* დიალ აი ასეთ მძიმე და სერიოზულ საქმედ მიაჩნიათ სხვაგან სახალხოდ დაწერა სამკურნალო მეცნიერებისა. ჩვენში კი ყველაფერს საკურვლად ადვილათ ვუცერით, რაღა გჰიჭირს! სამკურნალო მეცნიერებაში ქართველებმა აგრძინდნა წინ გავუსწარით განათლებულს ევროპას, რომ „ყოველ გვარ ავათმყოფობის საუნჯე“ შევქმენით.

დარწმუნებულნი ვართ, მთარგმნელს არც კი წაუკითხავს თავისი შრომა, თორემ აბა რა საკადრისი იყო ამ დასახიჩრებულ წიგნაკისათვის „საუნჯე“ ეწოდებინა. მაშ რისთვის ჩაიდინა ასეთი საქმე? იმისთვის, ბატონებო, რომ ეს დალოცვილი მეტად ჩეარობს, თავის გულკეთილობით მას უნდა, რომ ჩვენ ქართველ კაცს ყოველ მეცნიერების „საუნჯე“ ჰქონდეს და ეს ყველა „საუნჯე“ და „სალარო ცოდნისა“ მისი კალმის წვერიდან გამოვიდეს.

ენციკლოპედისტობა, ვინ ამბობს, დიალაც რომ საუცხოვო რამ არის, მაგრამ არც ასეთი უყურადღებობა უნდა, როგორც ამ თავის „საუნჯეს“ მოჰკუევია. სხვა არა იყოს რა, დალოცვილი, კორრექტურას მაინც გაასწორებდა.

აბა რა სასიამოვნოა: წუბალაშვილი, ცგვირი, ბალდასა, ძონს, სალსრილამ, ჟაათონა იოდა, ღწვეთ, დარაის, კრონეის ნანკი, ადამ-ადამიანსაც და სხვა, უკვერდზე კიდე სათაური ტექსტში აურევია.

თუმცა ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ არავითარ, სუჯ უბრალო ჭრისტიურელ შეცდომებსაც კი სახალხო წიგნში ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მით უფრო საექიმო დარიგებაში, მაგრამ ამ წვრილმანებმა თქვენი ჭირი წაიღოს—დევ ლარმა გაიტანოს, ხოლო ვერ ვაპატიებთ ვერას—გზით ამ წიგნის აქრელებას

\*.) სომხურს ენაზე უკვე გადმოთარგმნა და გამოსცა დოქტორმა ჯაბოვმა, ვნახოთ ჩვენი ქართველი დოქტორები როდისდა გვაღირებენ.

რუსული სიტუვებით. დეე წამლების და სატკივრების სახელი რუსულადაც იყოს (თუმცა მცოდნე კაცი ლათინურს იხმარდა, როგორც საზოგადოთ არის მიღებული), მაგრამ ეს რაღა უბედურებაა! ჩვეულებრივ სიტუვებს და მთელ წინადან დებას რაღა განმარტება სჭიროდა: слабительное, запоръ, рвотное, кисточка, кончикомъ трубочки, древовидный, сокъ, отваръ, во время шелушенія, чистый, кусочекъ синаго мѣднаго купароса, секунда, минута, уменьшается число кровяныхъ шарикивъ, клистиръ изъ теплого отвара ромашки, камфорнымъ спиртомъ, ушибы головы, шелушеніе, нутрянныи саломъ, согревательныи припарки или примочки და სხვა და სხვა.

ახლა აქედგან რა დასკვნა გამოგყავთ? იმას კი არ იფიქრებენ, რომ ბ. როსტომაშვილი მერანს რომ მიაჭინებდა, სისწრაფეში ქართული შემთაკლდა და რუსული ლექსით ხელი მოინაცვლა... ვაი ჩვენს დაქუცმაცებას! ჩვეულებრივ სიტუვებსაც-კი უცხო ენიდან ვსესხულობთ მერე რა სიტუვებს, იმ სიტუვებს, რომელიც პირველ კლასის ქართველ მოწაფემაც კი სირცხვილია რომ არ იცოდეს.

ბ. როსტომაშვილი მხცოვანი პედაგოგია, გამოცდილი ლიტერატორია, კაცი რედაქტორი და ვამომცემელია, უკრაინ „მოგზაურისა“ და რამდენიმე „საუნჯისა“. მანვე გამოსცა რამდენიმე ტომი „სალარო ცოდნისა“ და მრავალი მოზღვილი და მომცრო წიგნები და წიგნაკები. ე. ი. კაცი ქართულ სიტუვეირების და მწიგნობრობის სათავეში სდგას. მაშასადამე ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ამ გვარ სწავლულ კაცისაგან მეტი მოვითხოვთ.

მოგეხსენებათ, რომ ხალხის ენა, სიტუვიერება ევოლიუციის მტკიცე კანონს ემორჩილება, ენა ვითარდება, ლიტერატურა კულტურის ზე გავლენით წინ მიისწრაფვის, პროგრესიული ზღა ეტყობა. ეს უველა ასეა, მაგრამ გასაკვირველს ვართ, ამდენს ხანში ბ. როსტომაშვილმა რითი ვერ შეისწავლა ქართული ენა, აქამდე ალლო რითი ვერ აართვა.

ნათქვამია, „ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო“: ვსთქვათ შესცდა და რაც თავის საქმე არ იყო, იმას მოჰკიდა ხელი, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ე ენამ რაღა დაუშავა, ნუ თუ საჭიროა მოვაგონოთ, რომ ხალხისთვის დაწერილი წიგნი უნდა დაიწეროს მეტად გასაგებ ენით, სადათ, მოკლე-მოკლე წინადაღებებით. მეტადრე როცა სამკურნალო მეცნიერებას აქართულებთ, შრომა ერთი-ორად მეტი გმართებთ, რადგან სიკვდილ-სიცოცხლეზე ბასობთ და არა ქალ-ვაჟთა მიჯნურობაზე. ერთის სიტუაცით, ისეთის ხერხით უნდა აავთ წინადაღება ისეთი კონსტრუქცია უნდა მისწევთ, რომ მთლად წერტილები და მძიმები თუნდ რო კიდევ გამოაცალოთ გამოაკლოთ, მით წინადაღებას აზრი მაინც არ შეეცვალოს. ეს სიფრთხილე, მეტადრე საექიმო წიგნში, საჭირო იმიტომა, რომ მდაბიო მწიგნობარი არავითარ ნდენებს მართალ წერისას არ დაგიდევს. არ უსწავლია და ადვილად შეიძლება უნებლივთ ცოდვა: შე ჩავაგდოთ. გარდა ამისა ქართული ენა სრულებით უცხოა რუსულ ენისთვის. მაგალითად, ქართულ ენას საშინალად ეჩოთირება მრავლობითი რიცხვის „უპრაგრენოთ“ ხმარება. იქ, საღაც თვით ენის ბუნება არ მოითხოვს, ძალად ჩახსირული მრავლობითი რიცხვი საშინალად ამანინჯებს წმინდა ქართულს. ასევე ითქმის ნაცვლითი სახელზე, ამის შესაბენევად არც დიდი ლინგვისტობაა საჭირო და არც პროფესორობა ქართულ ენისა საკმაოა მხოლოდ კაცს ყურთა სმენა გადაგვარებული არა პქონდეს. დევჩენი ახალგაზდა მწერლები რუსულის ზეგავლენით სცდებიან, თარგმნის ავტორს რაღა დაემართა, ხო ამდენი ხნის მწერალია. იმის მაგივრად, რომ სანიმუშოდ, სამაგალითოდ გახადოს თავის მწერლობითი ენა დასტილი და მით ახალთაობამ ჭას მიჰბაძოს, თითქოს განვებ ამანინჯებს სამშობლო ენას. მთლად ეს წიგნი „საუნჯე ავათმყოფისა“ ანიდან პოემდე ზალასი რუსიციზმია—პირდაპირ რუსული დაწერილი ქართული ასოებით.

აბა თქვენი ჭირიმეთ ნეტა სადაური ქართულია;

1) ფილტვებს და გულს უჭირდება წესიერად მუშაობა, მოქმედებენ, ასე ვთქვათ, ძალ-დატანებით. 2) თუ ის კაცს იმისგან დაემართა. 3) ზემო-აღწერილ სნეულებაში მუდამ უნდა

მოელოდეთ მორჩენას, აქ კი, თუმცა არა მალე, სიკვდილს.  
 4) ხორციანი \*) საჭმელი ეჭირვებათ. 5) თუნდაც რო გამოვიდეს,  
 რომ ტვინის ანთებით არ ყოფილა ავალ. 6) მოქმედებენ რაი-  
 მე არა ძლიერი მიზეზები, 7) გურგვალი რკინა. 8) როცა ადა-  
 მიანები ერთმანერთს ძალზე აწვებიან. 9) ემართება კაცს გადამ-  
 დები სენების დროს. 10) მწვავი ანუ ჩქარიდა. 11) საჭმელი  
 კოვზი. 12) ნახველი ამოსდის მცირედ მნელად. 13) საჭმელი  
 კოვზი. 14) ავათმყოფის პირის სახე კვლავ საღ სახეს მიღებს.  
 15) თუ ბავშვს ჭია ჭუავს. 16) წყალში დამხრჩვალის შველა  
 (ჩემი მტერიც ნუ დამხრჩვალა, თორე ველარის უშველის იქვე-  
 ნი „საუნჯე“.) 17) ქუნთრუშა იწყება მოშეტებულად ერთბაშად.  
 18) ასეთი დაწეა იცის შორიდან ცეცხლმა. 19) თუ დაწეა მეო-  
 რე გვარია, 20) აღამიანი უეცრად წაიქცევა როგორც მოჭრი-  
 ლი ჟანა (მტკნარი რუსიციზმი თუ გნებავთ ეს არის), 21) შემ-  
 დეგში კი მალე ეწვევა სისუსტე, ძილი და აღამიანი, რა თქმა  
 უნდა, აღვიღად გაცივდება, გაუინება დაჯვევის მაგივრად, როცა  
 ზამთარში საღმე მიღიხართ...

კმარა. მთლად წიგნს აქ ხო ვერ ამოვწერთ... ან კი რა  
 საჭიროა... აბა გვიჩვენეთ ამ წიგნში თუნდ პარა ადგიალი  
 მინუშად წმინდა ქართულისა

დიალ, ბატონებო, „საუნჯე ავათმყოფისა“ იმიტომ კი არ  
 არი თარგმნილი და გამოცემული, რომ ავადმყოფის გულს  
 ესალბუნოს, არამედ კარგად მყოფი ქართველიც ააღელვოს და  
 ეროვნული თავმოყვარეობა შეულახოს, თუ არა და ასე თათა-  
 რახნიად შეთითხნილმა წიგნაკებმა ან კი ვის რა სარგებლობა.  
 უნდა მოუტანოს.

## II

ახლა რაც შეეხება სატკივართა და წამალთა სახელებს,  
 ამათი ტერმინელოლით იქამდე მდიდარია ძველი ქართუ-

\*) კურსივი ცველგან ჩვენია.

ლი სამკურნალო ლიტერატურა. რო შეიძლება ასიოდე ახალი წამლის და ათიოდე სატკივრის სახელი არ მოიპოვებოდეს ქართულს ენაზე, თორე დანარჩენი ჩვენს ძველებს ყოველივე საჭირო ტერმინი უკვე შემუშავებული, ნახმარი და დაკანონებული აქვსთ. აბა გავსჩხრიკოთ ამ შემთხვევაში როგორ მოქცეულა „საუნჯის“ ავტორი. როგორ და სრული პროფანაცია მეცნიერებისა თუ გნებავთ ეს არის! აქაოდა მე არ ვიციო, თუ ესა და ეს ტერმინი ქართულს ენაზე მოინახებაო, აულია ბ. როსტომაშვილს და სულ უბრალო სახელებიც-კი, რომელიც ჩვენში ყველა მეწვრილმანებ და „ექიმ“ დედაკაცებ მაც იციან, აულია და თითონ უთარგმნია რუსულიდან ქართულად, მაშ როგორ მოითმენს ქართველი კაცი, თუ რო მეორე ამერიკა არ აღმოაჩინოს!

გვიკვირს!.. ნუ თუ საჭირო იყო იმის თარგმნა (მერე რო გორი თარგმნა) რაც არის და გვაქვს მამაპაპათაგან სამკვიდროდ გადმოცემული.

„საუნჯეში“ ფარმაცევტიულ და ქიმიურ ტერმინების შესახებ შემდეგი აბდა-უბდა ვპოვთ:

1) ერთს სამკურნალო ძირს ეწოდება Radix ipecacuanhae ლათინურად რვოთის კორენს რუსულად და ფრანგ ძირს ქართულად. საუნჯის ავტორს კი აქა და რუსები რვოთის კორენს უძახიანო, ამდგარა და ქართულად სამნაირი სახელი დაუნათლებია: 1) პირიდან საქმობის ძირი. 2) სასაქმებელი ძირი და 3) პირლებინების ძირი. ხოლო მე 37 გვერდზე ამ თავის ნათარგმნს ძირს რვოთის კამენს-უძახის!?

2) ყველა ყველა და ე შრატი დოსაგან რომ ვერ გაგირჩევიათ, ეგ ვერაფერი ამბავია. Молочная сыворотка (და არა ცივის სივოროტკა, როგორც თქვენ სწერთ მე-16 გვ). რის შრატია და არა დო როგორც თქვენ გითარგმნიათ.

დოს რუსულად პახტანე ჰეკიან, ხოლო ლათინურად lac ebutyratum. როგორ მზადდება დო, ყველამ იცით, ხოლო შრატი Serum lactis, მილის სივოროტკა აქრილი რე არის და მეტადრე სიცხეში თავისთვალ აიჭრება ხოლმე ხოლო რო-

დესაც საგანგებოდ უნდათ მოამხადონ რძის შრატი, მაშინ ნაღებ მოხდილ თბილ რძეს (40%) ასკრიან ხოლმე ხბოს დვრიტათი: ის, რაც შეიკუმშება, იმას კაზეინი ჰქვიან, დანარჩენს სითხეს შრატი. აფთიაქში შრატს ბევრნაირად ამზადებენ: არის შრატი ტკბილი, მუავე, შაბიანი, რკინიანი, თამარ-ჰინდიანი და სხვა... .

3) ლმერთი იწამეთ, ფისი განა რუსულად დეგოთ არას! ? ფისი გახლავთ ცივია, ხოლო დეგოთ-ს ეწოდების კუპი.

4) არის ერთი ქიმიური რთული სხეული, რომელსაც პირიდან რწყევის თვისება სკირს—Tartarus emeticus, რვოში კამენი, ჯულაბი. ყველა მეწვრილმანემ იცის ჯულაბი რაც არის, ხოლო „საუნჯის“ ავტორს კვლავ დასჭირდა ამერიკის აღმოჩენა და ამ წამლისთვის სასაქმებელი ქვა დაურქმევია (გვ. ვ5). მაშ რა ექმნა! თუ კი რუსები რვოში კამენის ეძახიან! ერთ წამს რატომ არ იფიქრეთ, განა რუსების. მოსვლამდე ქართველები ტყეში ცხოვრებდნენ, ხის ტოტებზე იძინებდნენ და ტყის ხილს და ხვლიკებს სჭამდნენ?

გარდა ამისა ხალხისათვის დაწერალი სამკურნალო წიგნი ანუ დარიგება, რა ხალხისათვისაც იწერება. იმ ხალხის ადგილს, ჟაფას, მეგდირთა ცხრენება კარგმოებას, შათს ხასიათს, ჩეეულებას უნდა შეეფერებოდეს, მოუხდეს, გამოიდგეს, ეთანასმებოდეს. ნათევამია: „ადგილის კურდლელს, ადგილის მწევარი დაიკერსო“. ეს დალოცვილი „საუნჯის“ ავტორი არაფერს არ უფრქრებდა. დოქტორმა ფედოროვმა რუს ხალხისთვის დასწერა თავის დარიგება და არა ქართველებისთვის. რუსის ყოფა-ცხოვრებას ალლო აართვა და იმის დაგვარად, იმის მიხედვით შესაფერ რჩევას აძლევს, მეცნიერებას სახალხოდ ხდის. ფედოროვი რუსებს თრკას უძაგებს და კვსს უქებს, კლიუპების მაშარაბს უქებს და ფკინს წამლად კოვზობით აძლევს. „საუნჯის“ ავტორსაც შეშინებია ფედოროვს არაფერი ვაწყენინოთ და სიტყვა-სიტყვით გვითარების. მერე! ჩვენში რომ კლაუკვა არ იზღება, ხალხმა რა ქმნას? რატომ არ უჩჩიეთ ბროწეველის მაშარაბი, კოწასურის მაშარაბი, ხართუჭას მაშარაბი და სხვა. ჩვენ უფრო მდიდრები არა

ვართ მაშარაბებით? — ოტკას ჩვენში იმდენათ ვინა სვამს ხალხს უძაგოთ და კვასი ურჩიოთ. მერე ე კვასის გაკეთება ჩვენებმა რომ არ იციან და არც ჩვეულნი არიან? ფედოროვი ღვინოს რუსს. წამლად აძლევს თითო კოვზობით და თუ ღვინო არ გეშოებათ, ოტკა დაალევინეთ წვეთობითათ, ყოველივე ეს ქართველ ოჯახს განა შეეფერება. მეოცდა ხუთე გვერდზე ამ-ბობთ, ცხელი ჩათ ასე ნუ გატუგრებით ხოლმეთ (რა ეტიკაა), განა ჩაის სმა ასეა გავრცელებული ჩვენში.

თქვენ რომ, ექიმობა იცოდეთ, განა შესაძლო იყო იქ სადაც სატკიფარი და საჭიროება მოითხოვდა ჩვენი ხალხის უებარი წამალი შაწონი არ გეხსენებინათ! ფედოროვის ხალხს რომ შაწონი ჰქონდეს, მთელს ტრაქტატს დასწერდა ამ მშვენიერ საშუალებაზე.

აქ მოკლედ მოვიყვანთ დანარჩენ შეცდომებს ფარმაცევ-  
ტიულ ტერმინებში:

1) დაბეჭდილია: არჯასპი თეთრი ცინკისა — უნდა იუზა: აჯასპი თუთიასი ანუ თეთრი აჯასპი — цинковый купаросъ или ნ්‍යलිй купаросъ.

2) დაბეჭდილია: არჯასპი ლურჯი სპილენძისა — უნდა იუზა: აჯასპი სპილენძისა ანუ ლურჯი აჯასპი ანუ შაბიამანი, — мед-  
ный купаросъ или синий купаросъ.

3) Ромашку настайвайте какъ чаиѣ გვირილა ჩაისაებ მო ხარშეთ. — უნდა იუზა: მიასწარის ყვავილი ჩაისაებ დამდუღრეთ ე. ი. უნდა ვიხმაროთ: Отваръ беъзарშо, настоиі бащдулрой, (ჩაის როცა ვამზადებთ ვმდულრით, და არ კი ვხარშავთ, მო-  
ხარშულს ჩაის ვინ აიღებს პირში).

4) არის ერთგვარი ფორმა ფარმაციაში მიღებული: სამ-  
კურნალო მცენარის რომელსამე ნაწილს ანუ სხვა რამ წამალს  
ასწონენ, ჩაჰყრიან შუშაში, დაასხმენ სპირტს და ასე სდგას  
5—6 დღე, ვიდრე მცენარე სამკურნალო ძალას სპირტს მისცემს  
და სპირტსაც შელებავს; ამ ფორმას ლათინურად ეწოდება  
Tinctura, რაც ნიშნავს შედებეს, ფერს, დაფერვას. რუსებს  
ამ ფორმისთვის დაუდგენიათ ტერმინი ნასტიკა. ჩვენი ძველე-

ბი უძახოუნენ არაუს მაგალითად პიტნის არაყი, ბარამბოს არაყი და სხვა. ღლეს ეს ძველი ტერმინი არ შეეფერება თითონ ფორმას, ჩვენ უკეცელად უნდა დავადგინოთ ასეთი ტერმინია: Tinctura ლათ. წასტიკა რუს. ფერა ქართულად, რაიც უდრის ლათინურს ტინკტურას, ხოლო თუ რუსებს მივბაძეთ, მაშინ მათებრი ნასტოიკა ჩვენებურად იქნება ნამდგრადი ანუ ნამდგრადა და არა დანეუჯინი, როგორც ბ. როსტომაშვილს უთარგმნია.

5) Cataplasma ლათ., წრიპარკა რუსულ, ფაფა-ფუფა ქართულ. ეს ტერმინი „საუნჯის“ ავტორს თავისებურად უთარგმნია: ზოგან უხმარია სიტყვა თბეჭები, ზოგან ქაში; ზოგან მტლე-თბილი სადებლები. მაგალ. წრიპარკა ის ლაქანაგი ცხმენი ქართულად არის სეჭის-ფაფა ანუ ფაფა-ფუფა და არა სეჭის თბილი მტლე როგორც „საუნჯეშია“ ნახმარი. მტლე ანუ ტლე არის გამაგრილებელი წამალი (холодная примочка). ადებენ იმ ადგილას, საიდანაც უნდათ სიცხე გამოჰკაფონ, ხოლო ცხელ-ცხელ ფაფა-ფუფას ადებენ მუწუკზე ანუ სიმსიცნეზე, როცა უნდათ საჩირქოდ მოამშიფონ.

6) დაბეჭდილია: შვრია აჭამეთ, უნდა იუჟს შორბა აჭა-მეთ (გვ. 15).

7) დაბეჭდილია: კასტორის ზეთი, უნდა იუჟს გენაგერჩა-გის, ზეთი.

8) დაბეჭდილია: ზეითუნი, უნდა იყოს ზეითუხის ზეთი (ზეითუნი ქვეყანაა, სადაც ზეთის ხილიდან ზეთს ზდიან).

9) დაბეჭდილია: კროვენის ბანკი უნდა იყოს კრო-სის ბანკი, რაღაც მინის კოტოში სისხლს სწოვს და არ კი ატარებს.

10) დაბეჭდილია (29 გვ.): რკინის შაბიამნის წყალი. არც ასეთი პროფანაცია უნდა. გთხოვთ აგვისხნათ რა არის რკინის შაბიამნი?

11) დაბეჭდილია (50 გვ.): სოდა, კრემორტარტარი და დვინის მარილი (сода, кремортартаръ и винный камень). — წარ-მოიდგინეთ, დვინის მარილი და კრემირტარტარი ერთი და იგი 390.

12) დაბეჭდილია: ტვიის კენკრა (ягодъ можжевельника) უნდა იყოს ღვიის კენკრა, ხოლო თქვენს ნათქვამს ტვიის რუსულიად მირთა ჰქვიან, *Myrtus communis L.*).

13) სახაცილოც ბევრი რამ გახლავსთ ამ თქვენს „საუნჯეში“... არც ასეთი დამორჩილება უნდა ქართულის ენისა. თუ რუსულს ენას შეჰვერის ლათინურს *liniment. antimoniat.* ლეთუჩая мазь, ლეტუჩი მაზი უწოდოს, განა ქართულიადც უეპველად მფრინავი საცხებელი უნდა იყოს?! ლეთუჩая мазь, ქართულიად გახლავსთ საფბუნი ამონისა.

14) მდიდარს ქართულს ენას თქვენ ძალად ალატაკებთ. რუსები ამბობენ: 1) перецъ, черный перецъ. 2) турецкий перецъ, стручковый перецъ, красный перецъ. ქართულად პირველს ჰქვიან ჰილბილი, ხოლო მეორეს წიწაკა. თქვენ კი აგილიათ და სიტყვა „ასმალუში“ მიგიმატებიათ წიწაკისთვის..

17) დაბეჭდილია: მუსკუსი, უნდა იყოს მუშკა. მუსკუს რუსები უძახიან. რათ სტაცებთ ქართულ ენას თავის ტერმინებს!?

18) დაბეჭდილია შიგნური ქანი, უნდა იყოს შუცლის ქანი). რუსები რომ ჩურქა სალის ეძახიან, ეგ იმათ ენას მაგრე შეჰვერის, თქვენ რაღათ ამახინჯებთ ქართულს?..

19) მე-81 გვ. თქვენ ურჩევთ ვინალ օკის მიიღეთო. ნერა თუ რა არის ეს ვადნი ჟყისი? თქვენ ამბობთ აფთიაქში იკითხეთო. აბა სცადეთ, ვნახოთ რას მოგცემენ. ჟელეზია და გვიწყებიათ უთუოთ, არა? კიდევ ბევრი სხვილმანი და წვრილმანი ცოდვა მიგიძლვით ამ ახირებულ თარგმანში. მარა რაც გითხარით, მგონი, ესეც ჰქმაროდეს გამომაფხიზელებელ წამლად.

## III

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ყოველ სატკივრების სახელები მოიპოება ქართულს ენაზე. მხოლოდ ამ ტერმინოლოგიას ჯერ ბევრი მუშაკი სჭირია—უნდა გაიჩხრიეთ ჩვენი ძველი სამკურნალო მწერლობა—ქარაბაღინები, უნდა ვეძიოთ

ხალხში, ვკითხოთ დალაქებს, „ექიმ“ დედაკაცებს და მამაკაცებს, მხოლოდ ამ გვარად შეიძლება აღვადგინოთ დაკარგული და შევამუშავოთ ახალი: ბ. როსტომაშვილი არ დაპრიდებია ტერმინების უქონლობას, გაბედულად, თავისებურად უთარგმნია და ვინ რცის იქნება კაზგადაც მოიქცა.

ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთა საგრძნობეჭ შეცდომებს ვუჩვენებთ, დანარჩენზე კი ჩვენს სწავლულ ქართველ ექიმებს ვსთხოვ ხდა ამოიღონ.

1) **Молочница** არის კენკელი (ასე კახეთში უძახიან) ანუ თურქული (ასე ქართლში უძახიან). თუმცა თურქული უფრო საქონლის ჭირს შევთერის.

2) **Воспаление околоушиныхъ железъ,** свинка ნათარგმნია ანთება ყურთან მდებარე ჯირკვლებისა ანუ ეგრედ წოდებული ყბა-ყურა, ასე გაჭიანურება; სატკივრის სახელისა საჭირო არ იყო, პირდაპირ უნდა ითქვას ყბა-ყურა—ხალხი კარგად იუნდს ამ სატკივარს.

3) **Даёдекциолион:** ნაწილავი უნდა იყოს ნაწლევი.

4) **Воспаление острое и хроническое,** ნათარგმნია: ანთება მწვავი ანუ ჩქარიდი და ანთება ქრონიკული ანუ დახანებული. უნდა სჯობდეს: ანთება მწვავე ანუ გამწვავებული და ანთება დამვეჯებული ანუ მუდმივი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კატარქ ჯელდკა, ჩვენებურად გულ-ჭიდება არის. (ხალხი ასე უძახის).

5) **Даёдекциолион:** იმარტულთ უნდა იყოს ფარეზი შეინახოთ.

6) **Желтуха** ნათარგმნია: ჟგითა იქნება კარგიც იყოს ეს ახალი ტერმინი, მაგრამ ჩვენი ხალხი ამ სენს სიუვითლეს ეძნის.

7) **Болѣзни дыхательныхъ путей** ნათარგმნია: სნეულებანი სასულე მილებისა, უნდა იყოს: სნეულებანი სასუნთქმილებისა.

8) **ჭრილობის,** იარის ანუ რაიმე წყლულის შეხვევის დროს მკურნალები სასტიკ ყურადღებას აქცევენ ჩიქილის (მარლა) და ბამბის სისუფთავეს ეს მასალა იდეალურ სიწმე ხ. იხა

უნდა იყოს, რამდენადაც კი ეს მისაღწევია. სწორედ ამ მიზნით სამკურნალო მეცნიერებაში წამოაყენა: ასეპტიკა, სტერილური ფიზიკია, ჰასტერიციაზია და სხვ. „საუნჯის“ ავტორი მთელს თავის წიგნში ყველგან ამბობს ძონძი იხმარეთო, ძონძით შეუხვიერთო და სხვ. ღმერთი იწამეთ, ბ. როსტომაშვილო, წიგნთხეთ ზემოდ მოყვანილი თქვენთვის უცხო სიტყვები და გაიგეთ მათი მნიშვნელობა. რაზე გვიღუპავთ ხალხს, ყველამ კარგად ვიცით ძონძი რასაც ჰქვიან ან ხალხი ძონძს რას უძანის, მეტადრე ღარიბ ოჯახში ყოველ საღმე მიგდებულ ძონძის ნაგლეჯში ჭუჭყის გარდა ვინ უწყის რამდენ გვარი ბაცილა და მიკრობები სხედან. ამისთანა ძონძებით რომ ჭრილობას შეუხვევთ, თქვენდა უნებურად ავაღმყოფს აღვილად შეჰქონით წითელ ქანს, ჭრებს, ანტონის ცეცხლს და სხვა-ლა-სხვა გადასაღებ ჭირს.

ძონძის სახელი არც-კი უნდა გეხსენებინათ. პირიქით, რაც კი რამ სუფთა მოიპოვება სახლში, თუნდ გარეცხილი ჰერანგი, დევ დახიონ და ის იხმარონ, ოლონდ კი ძონძების ხმარებით ნურაფერ ჭირს ნუ გადაჰკიდებენ ავაღმყოფს. რა თქმა უნდა, ყველაზედ უკეთესია აფთიაქში იყიდონ ჰიგროსკოპიული ბაზა და მარლა სტერილიზაცია ნაქმნარი.

9) ჩერუ և პერეპონჩათა ჯანა ნათარგმნია: ყელ-ჭირვება-ხოლო პერეპონა ნათარგმნია: ზედ-მეგანები ანუ აფსეტიბი. ამ გვარი ლეკური თარგმანი ჩვენს ყურს ძლიერ ერთირება, თუმცა პერეპონა-ს თარგმნა ჩვენც გვიძნელდება. რომელი მოუხდება: კანი, აფსა, გარსი, დაფი თუ ბანდი ეს ჩვენ ჯერ გადაწყვეტილი არა გვაქვს, მხოლოდ ეს ზედ-მეგანები და აფსეტიბი რომ ქართული არ არის, ამას კი ეჭვი არა აქვს.

10) დაბეჭდილია (გვ. 34): ტკივილი შეკრდის ძვლის ჭვეშ. ჩვენ არ გვესმის „საუნჯის“ ავტორს რა უთარგმნია, თუ ნიშანი ლიკერი, ეგ ხომ გულის ჭავზია და თუ ნიშანი ბიჭ გრძელი კოსტიუ, ეგ ხომ გულის ფიცარია, ჩვენ არ გვესმის ეს შეკრდის ძვლის ჭვეშ სადაური ქართულია?

11) Бугорчатка ნათარგმნია: მსხმა მსხმო-ჭლექი და Бугорки: წვნიკი მსხმადები. ჩვენი ექიმები დიდიხანია ნუცირკა. ს სდმურდლს ეძახიან და რატომ შესცვალა ბ-ნმა როსტომაშვილმა ეს ტერმინი, ამისი რა მოგახსენოთ.

12) Воспаление брюшины ნათარგმნია; ანთება მუცელის შიდა კანისა უნდა იყოს : ნთება მუცელის ფარისა.

13) „საუნჯეს“ ავტორი ამბობს, საშარდე ბუშტის სპაზმის დროს ვანნა მიიღეთ და მუხლის ქვემოდ თბილი მტლე იდეტ ლენციოს ფოთლებისათ (იხ. გვ. 52). მართლა რო ახირებული რჩევა—მუხლების ქვემოდამ რო მტლეები იდოს, საშარდე ბუშტის რას უშველის? ალბად, „მუცელის ქვემოდ“ უნდა იყოს.

14) Домота или ревматизмъ ნათარგმნია: ქარი, ქარები ნიკრისის ქარები; უნდა იყოს: მტეხიარბა ანუ ქარი, ქარები. ხოლო ნიკრისის ანუ ნეკრესის ქარს (როგორც ხალხი ეძახის) რუსულად Подагра ჰქვიან.

15) დაბეჭდილია (გვ. 78.) ფუჭი ანუ ტუუილი ეგაგილი ამ სატკივარს ქართულად ჩუდუგავილა ჰქვიან.

16) Шелушение ნათარგმნია: ცრცვა. ჩვენში იტყვიან კანი ექვიცეცებათ (მაგ. წითელის დროს).

17) Сухожилие ნათარგმნია: შეშაძარევები ეს ვერაფერი ქართულია. უნდა სჯობდეს: მშრალი ძარღვები ანუ ხმელი ძარღვები,

18) დაბეჭდილია (გვ. 93.) წიბორები უნდა იყოს: წიბოები.—და სხვ. და სხვ.

ამით ვათავებთ და აქ მოვჭრით სიტყვას. იმედი გვაქვს: ბ. როსტომაშვილი იმდენს მოქალაქობრივ გულადობას გამოიჩენს, რომ ამ პირველ გამოცემას „საუნჯე ავათმყოფისა“ ს მოაგროვებს და დასწვავს და მით გაასწორებს თავის შეცდომას ამას კეთილგონიერება მოითხოვს. ბოლოს შეკრიბეთ ორი სა-

მი კაცი ჩვენი ექიმ-ფარმაცევტებისა, წაუკითხეთ, შეასწორეთ  
და მეორედ გამოეცით. ამით, მერწმუნეთ, პატივცემის მეტს  
არაფერს დაიმსახურებთ და ცოდვასაც მოინანიებთ ქართველ  
ხალხისა და მწერლობის წინაშე.

პრ. იღ. აღხაზაშვილი.

P. S. სიმართლე მოითხოვს ისიც ვსთქვათ.—ჩვენს სამ-  
კურნალო ლიტერატურას პატრონი რომ ჰყვანდეს, როსტომა-  
შვილები აღარ გაერეოდნენ სხვითა საქმეში და არც ეს „საუნჯე“  
იხილავდა ქვეყანას. მაშასადამე ჩვენი ქართველი სწავლული  
ექიმები უფრო მეტად დანაშაულნი არიან ამ პროფესიაში  
ვიდრე თვით ბ. როსტომაშვილი.

თ. ა.

# უცხოეთი 1903 წელს

ორი მთავარი საგანი იპყრობდა მთელ კაცობრიობის უწადლებას 1903 წლის განმავლობაში: ერთი იყო ბალკანეთის საქმე, მეორე — შორე აღმოსავლეთისა.

მაკედონიის უკანასკნელი აჯანყება 1902 წლის მემკვიდრეობა იყო. მკითხველმა კარგად იცის, რომ დატანჯული და წამებული მაკედონელი აუჯანყდა ოსმალეთის მტარვალ მთავრობას და არც შეეძლო არ აჯანყებულიყო: სიცოცხლე, პატიოსნება და ქონება მისი მუდმივ შიშში იყო, რადგან ოსმალეთის მთავრობა არც ერთს ზოგავდა, არც მეორეს, არც მესამეს. ყველაფერს საზღვარი აქვს და მაკედონელის მოთმინების. ფიალაც აიღსო: ჯალათი მთავრობა თავის ხელობას განაგრძობდა და განათლებული, კულტუროსანი სახელმწიფოები ევროპისა არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ასეთ აუტანელ მდგომარეობას, თუმცა ბერლინის ხელშეკრულების ძალით თავს იღვეს მაკედონიის მდგომარეობის გაუმჯობესება.

იფეთქა აჯანყებამ თუ არა, სახელმწიფოებმა ყური ცქვიტეს და შეუდგნენ საქმის „შეცლის“. მაგრამ რა გზით?

შორს გამჭვრეტი დიპლომატია ჯერ აჯანყების მიზეზის გამოკვლევას შეუდგა, თუმცა ყველასათვის ცხადი იყო ეს მიზეზი, და საკვირველ აღმოჩენამდე მივიდა: მთავარი მიზეზი მაკედონიაში გაჩაღებულ ცეცხლისა სარევოლიუციო კომიტეტები და მათი თანამგრძნობი ბალგარის ერი არისო. რაკი მიზეზს მიაგნეს, დიპლომატების კანცელარიაში კალმები ააწრიპინეს და ნოტას ნოტაზე უგზავნიდნენ საბრალო ბოლგარიას —

აჯანყების მიზეზი შენა და შენი რევოლიუციონერებია, ეხლავე დაამშვიდე ყველაფერი, თორემ ცუდი დღე მოგელისო. სინიდისის გასაწმენდად ოსმალეთის მთავრობასაც მისწერეს რამდენიმე ქალალდი—ბაშიბუზუკებს ნუ აუშვებ, ბევრ სისხლს ნუ დაღვრი და პოლიციაში რამდენიმე ქრისტიანი ეანდარმი დაყენეო.

ოსმალეთის მთავრობა ბევრად უფრო ენერგიულ კილოს იყო შეჩვეული ევროპის დიპლომატიის მხრივ და ამისთანებს ყურადღებას როგორ მიაქცევდა! დიდძალი ჯარი გადმოიყვანა მაკედონიაში, ბაშიბუზუკებიც აუშვა და მთელი მხარე სისხლით მორწყო.

ევროპის საზოგადოებრივი აზრი ამოძრავდა; ეურნალ-გაზე-თები აივსო ოსმალ ჯარისკაცების სიმხეცეთა აღწერილობით; დიდძალი მიტინგები გაიმართა. მაგრამ დიპლომატია. მაინც ყურს არ იბერტყავდა და მაკედონელებს კანონიერ მთავრობის მოღალატეებად სახავდა. მტარვალობისა და სიმხეცის წინააღმდეგ ბრძოლა და ღალატის სახელი ვერაფერი შესაფერია, მაგრამ დიპლომატებისაგან ეხლა აღარაფერი უკვირთ.

ტყვილი იყო საქმის მცოდნეთა და თანამგრძნობთა ჩივილი და ღალადი: აჯანყების მიზეზს იქ ნუ ეძებთ, სადაც არ არის; ნამდვილი მიზეზი ის აშკარა უსამართლობაა, რომელიც ბერლინის კონგრესმა დააკანონა: დასტოვეს მაკედონელები ისეთ მართვა-გამგეობის ქვეშ, რომელმაც 1877-78 წწ. ომიანობა გამოიწვია; თუ გსურთ, რომ მაკედონელი კულტურულ გზაზე გამოვიდეს, და იარაღისა ასხმისა და მთაში გავარდნის მაგიერ ქალაქებსა და სოფლებში შშვიდობიან, ნაყოფიერ შრომას ეწეოდეს, ალაგმეთ ოსმალეთის მთავრობა და ისეთი წესი შემოილეთ მაკედონიაში, რომ სულთანსა და მის დამქაშებს თავისუფალი, აულაგმავი ფარფაშობა არ შეეძლოთ.

დიპლომატია მაინც თავის გზას ადგა, მაგრამ მას ერთი ავიწყდებოდა: მაკედონელ მამულისშვილის თავდადების ძალა.

ბურების სიმტკიცესა და მაშაკობას განცვითრებაში მოჰყვავდა მთელი კაცობრიობა. მაგრამ არ გვგონია, რომა მაკე-

დონელს ნაკლებად გამოეჩინოს ეს თვისებები და უფრო უარეს პირობებშიაც.

ბურების რესპუბლიკები დამოუკიდებულნი იყვნენ თმიანობამდე და ამიტომ მათი სამხედრო სამზადისი სრული იყო ომის გამოცხადების დროს. მაკედენელი კი იძულებული იყო ქურდულად, ოსმალელ უნდარმებისა და ჯაშუშების ზედამხედველობის ქვეშ ემოქმედნა; უნდა ვიქონით სახეში აგრეთვე მაკედონელ ბერძნების სამარცხვინო მოქმედება — მთავრობის მოხელეებზე უფრო გულმოდგინეთ ესენი მოქმედებდნენ.

ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკას მეტად ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ტერიტორია ნაკლებად გამოკვლეული ინგლისლებისაგან და ბურებისათვის კი კარგად ნაცნობი; მაკედონია კი პატარა ქვეყანაა, ოსმალეთის ჯარის მთავარ-შტაბი-საგან კარგად შესწავლილი.

ბური გაწვრთნილი მეომარი იყო, მაკედონელი კი იწვრთნებოდა თვით აჯანყებისა და ბრძოლის დროს. ინგლისს პირველ ხანებში ძალიან ცოტა ჯარი ჰყავდა სამხრეთ-აფრიკაში, ოსმალეთმა კი ერთბაშად დიდალ ჯარს მოუყარა თავი პატარა მაკედონიაში.

მიუხედავათ უველა ამისა, მაკედონელებმა საკვირველი მხნეობა და სიმტკიცე გამოიჩინეს: ერთი მუჭა მაკედონელები. უშიშრად შეებრძოლენ ასმალეთის უამრავსა და გაწვრთნილ ჯარს და ამდენი ხნის განმავლობაში ხშირად მეტად საგრძნო ბელი ზარალი მიაყენეს. მაკედონელი შეუდრეველად მიდიოდა ბრძოლის ველზე და ისეთის სიმამაცით კვდებოდა, რომ ძალა-უნებურად უველას პატივისცემასა და თანაგრძნობას იწვევდა.

ბოლოს, როგორც იქნა, საზოგადოებრივ აზრის აღშფოთებამ გასჭრა და დიპლომატია იძულებული გახდა წინანდელზე მეტი მოეთხოვა ოსმალეთის მთავრობისაგან. ოსმალეთიც, ხანგრძლივ ყოფილის შემდეგ, დასთანხმდა დიპლომატიის წინა-დადებას. მაკედონიის აჯანყება მიწყნარდა, მებრძოლნი ისვენებენ.

გარევნათ ოსმალეთის მთავრობაა გამარჯვებული: მაკედონია ვერ გახდა თავისუფალი და ის მცირე რეფორმები, რო-

მელიც ეხლა ევროპის კანტროლის ქვეშ უნდა მოხდეს, ვერ დააკმაყოფილებს ვერც ერთ შეგნებულ მაკედონელს.

„მაგრამ რევოლუციონერებს იმით შეუძლიათ ინუგეშონ თავი, რომ ეს პატარა გაუმჯობესებაც არ მოხდებოდა, რომ ისინი არა; რომ მაკედონელებს თავგანწირულად არ ებრძოლათ და არ გამოეწვიათ ოსმალთა ჯარის საშინელი სიმხეცენი, სახელმწიფოები არ მიიღებდნენ ასეთ მონაწილეობას მაკედონიის საქმეში. მოთმინება და მორჩილება, შეიძლება, დიდი სათნავება იყოს კერძო ცხოვრებაში, მაგრამ ისტორია მათ არა აფასებს. ისტორიაში ის იღებს რასმე, ვინც მეტ პროტესტს აცხადებს. ამას მიხვდნენ მაკედონელები და უნდა ვითიქროთ, რომ მომავალშიაც არ გაანებენ თავს პროტესტს. როგორი იქნება ამ პროტესტის ფორმა — ისევ დაიწყებენ აჯანყებას გაზაფხულზე, თუ მშვიდობიან გზას არჩევენ ახლად შეძენილ უფლებების საფუძველზე, ეს ოსმალეთის პოლიტიკისაგან არის დამოკიდებული“.

ასე ახასიათებს მაკედონიის მოძრაობის შედეგს ერთი მიმომშილველი და ჩვენც თანახმა ვართ ამ დახასიათებისა; მხოლოდ რაიმე იმედი ისმალეთის ეხლანდელ მთავრობისა არავის არა აქვს. ჩვენ წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, რომ ისმალეთის დესპოტიური მთავრობა ძველ გზას, გზას მტრავალობისას, არ დასტოვებს, რადგან ეს მტრარვალობა მისი ნიადაგია, და ვინ არის ისეთი, რომ თავის ხელით გაითხაროს საფლავი, თუ ძალით არ გაათხრევინეს! ამიტომაც არის, რომ გაზაფხულზე ახალი ბრძოლაა უფრო მოსალოდნელი ახლო აღმოსავლეთში.

---

შორე აღმოსავლეთში კი დღე-დღეზე მოელიან ომიანობას. რუსეთიცა და იაპონიაც დიდის ენერგიით ემზადებიან ამ დღისათვის. მართალია, შესაძლებელია, ამ მოკლე ხანში შეტაკება არ მოხდეს და საქმე მშვიდობიან გზით გადაწყდეს, მაგრამ, როგორც არა ერთხელ გვქონდა ნათქვამი, ასეთი მორიგება მხოლოდ დროებითი იქნება, იმდენად მოურიგებელია იაპონიისა და რუსეთის ინტერესები.

ეს მოურიგებლობა, ინტერესების წინააღმდეგობა დღითი-დღე იზრდებოდა და იზრდება.

რუსთა ამურის მხარე და დიდ ოკეანეს ნაპირების რამ-დენიმე პუნკტი უკვე ხელთ ჰქონდა, როცა იაპონიაშ გამოი-ლვიდა და მისთვის ახალ ევროპიულ განვითარების გზას და-დგა. „იაპონიის ეკონომიურ განვითარების შედეგი ის იყო, რომ განახლებულ იმპერიას კუნძულებიდან ხმელეთზე უნდა ეწყო გავრცელება; ამას თხოულობდა როგორც წმინდა სავა-ჭრო, ისე საახელშენო (ზედმეტ ელემენტის გადასახლება) ინ-ტერესები. ამიტომაც იაპონია იმ თავითვე იყო მოწადინებული კორეა თავის გავლენის წრეში მოექცია“ და აქ მტკიცე ნია-დაგი შეეძინა როგორც თავის ვაჭრობისა, ისე საახალშენო პოლიტიკისათვის.

იაპონიის ასპარეზზე გამოსვლა და მისი გაძლიერება ნი-შნავდა რუსეთის იმპერიის გავრცელების შეჩერებას. ამიტო-მაც იყო, რომ რუსეთმა ყოველი ღონე იღონა და ჩინეთ-ია-პონიის ომის შემდეგ იაპონიას თითქმის ხელი დააბანინა შო-რე-აღმოსავლეთის კონტინენტზე ფეხის მომაგრების საქმეში...

ერთის სიტყვით ან იაპონია ან რუსეთი უნდა იქნეს მბრ-ძანებელი შორე-აღმოსავლეთში და რაკი კითხვა ეგრეა დაყე-ნებული, მშვიდობიანის გზით მისი გადაწყვეტა ყოვლად შეუ-ძლებელია.

რუსეთ-იაპონიის ომიანობას განუზომელი მნიშვნელობა ექნება, სწერს ერთი გერმანელი პუბლიცისტი, და არა მარ-ტო იაპონიისა და რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობისა-თვისთვის. თუ რუსეთმა გაიმარჯვა, ამით განმტკიცდება არა მარ-ტო მისი საერთაშორისო მდგომარეობა, არამედ ეხლა არსე-ბული შინაგანი გარემოებაც; ჩინეთის დიდი წილი რუსეთის იმპერიის გუბერნია გახდება და ეს გარემოება კი აუცილებლად ახალ ომიანობას გამოიწვევს ამერიკასა, თუ ინგლისთან.

ამიტომაც არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იმ ა. ავითვე აშკარა წინააღმდეგობას უწევენ რუსე-თის პოლიტიკას შორე-აღმოსავლეთში, და თუ რუსეთი გაი-

მარჯვებს იაპონიაზე, აუცილებლად უნდა ხაერიონ საქმეში— იაპონია ეგრედ წოდებულ „ლია კარების“ მომხრეა და ხსენებული სახელმწიფოებიც ამას თხოულობენ. რუსეთის გამარჯვებით კი ეს „ლია კარები“ დაიკუტება ამერიკისა და ინგლისის საქონლისათვის.

„ჩვენი მთავრობაო, სწერს ერთი გავრცელებული რუსული უურნალი, კარგა ხანია მიმხვდარია, რომ იაპონიასთან შეტაკება მოუვა. ეს სჩანს იმ დიდ ხარჯებიდან, რომელიც გასწია მან ამ ხუთის წლის განმავლობაში სამხედრო გემების გასაკეთებლად. ყველა ახალი უძლიერესი გემები გაავებისათანავე იგზავნებოდნენ დიდ ოკეანეში. ეხლა მთელ ბალტიის ზღვაში არ მოიძებნება არც ერთი ახალი სამხედრო გემი; სამაგიეროთ შორეულ აღმოსავლეთში თავმოყრილია ძლიერი ესკადრა, რომელიც აშენებულია ამ ათი წლის განმავლობაში და ორმელიც ფულად ორას მიღიონ შეტი ლირს.

მართლაც მომავალ შეტაკების დროს მთავარი მნიშვნელობა ექნება სამხედრო ფლოტს. მხოლოდ ფლოტის საბოლოო გამარჯვებას შეეძლება საბოლოოდ დაამარტინოს მოპირდაპირე. უფრო სუსტი მხრისათვის ფლოტი საიმედო ფარია; უფრო ძლიერისათვის—ვრცელი ბაზისი ოპერაციებისათვის.

ამიტომ მეტი არ იქნება, თუ მოვიყვანთ ციფრებს ჩვენისა და იაპონელების ფლოტის ძალთა დასახასიათებლად. ამასთანავე სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ, თუმცა დიდ ოკეანეს ესკადრას გარდა, სხვა სამხედრო გემებიც გვყავს, მაგრამ ნამდვილად კი ვერ შევძლებთ ყველა გემების გაგზავნას შორე აღმოსავლეთში. ეხლანდელი პირობები ზღვაზე ომიანობისა ისეთია, რომ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება შეეძლება მხოლოდ პირველ ხარისხოვან, კარგად შეიარაღებულ გემებს; მოძველებულ, ჯავშნიო ცუდათ დაფარულ გემების გამოყვანა. ეხლანდელ ბრძოლაში ყოვლად უსარგებლოა. ამიტომაც დიდი ოკეანეს ესკადრის გაძლიერება ჩვენ მხოლოდ შავი ზღვის გემებით შეგვიძლია, მაგრამ დარღანელსა და ბოსფორზე გავლის უფლება არა გვაქვს...

ეხლა რუსეთის ჰყავს დიდ ოკეანეში, საესკადრო ბრძოლის (მარტო ასეთ ბრძოლას შეუძლია გადასწყვიტოს რომელიმე მხარეს პირველობა ზღვაზე) ველზე გამოსაყვანად ცხრა გემი 106,500 ტონნისა; ამ ესკადრაზე—20 თორმეტ გოჯიანი, 12 ათ გოჯიანი, ორი რვა გოჯიანი და 101 ექვს გოჯიანი ზარბაზანი, გარდა უფრო წვრილ არტილერიისა.

იაპონიას შეუძლია ჩვენ ესკადრის წინააღმდეგ გამოიყვანოს თორმეტი სამხედრო გემი 145,000 ტონნისა; იაპონიის გემებზე—24 თორმეტ გოჯიანი, 24 რვა გოჯიანი და 156 ექვს გოჯიანი ზარბაზანი. ყველა ეს გემები აშენებულია ჩინეთ-იაპონიის ომიანობის შემდეგ და თათხი მათვანი საუკეთესოდ ითვლება ყველა სახელმწიფოების ჯავშნიან გემებ შორის... იაპონიას აქვს აგრეთვე ის უპირატესობაც, რომ სახლ-შია—ადვილად შეუძლია დაზიანებულ გემების შეკეთება, ქვანახშირის მხრივ უფრო უზრუნველ ყოფალია და სხვა". („ურნალ დღია ვეგე", XI).

1901 წელს რუსულ გაზეთებში, განსაკუთრებით „პეტერბურგსკია ველომოსტ“-სა და „ნოვოე ვრემია“-ში, მეტად საყურადღებო წერილები იყო დაბეჭდილი იაპონელებსა და მათ ჯარზე. ამ წერილების შინაარსი თავის დროზე მოყვანილი გვქონდა „მოამბე“-ში (1901 № 6), მაგრამ მისი გახსენება ეხლაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

ჩინეთის ექსპედიციამ დანახვა ყველასო, რომ იაპონელი ჯარი უკეთესია ევროპიელებისაგან ჩინეთში გაგზავნილ ჯარებზედო. იგი იჩქერდა სხვა დანარჩენ ჯარებ შორის სასტიკის დისკიპლინით და უნაკლო ორგანიზაციით.

მეორე სწერდა— „პირდაპირ ვიტყვით და ამას კიდეც დავამტკიცებთ, რომ იაპონელი ჯარი თუ სამივე კონტინეტზე არსებულ ჯარებზე საუკეთესო არა, უფრო საშიში მაინც არის... თუ ჩვენ დავუკვირდებით იმ სკოლას, რომელიც გაუვლია სამხედრო საქმის ეხლანდელ ხელმძღვანელებს, ცხადათ დავინახვთ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ იაპონიის ჯარისათვის; ისინი იწვრთნებოდნენ იმ დროს, როცა იაპონია ესეც იყო ეცნო-

ბოდა ევროპის ცივილიზაციას და სწყუროდა სწავლა... უნდა გვიკირდეს ის მოკლე დრო, რომელიც იაპონელებმა მოანდობეს იმის შეთვისებას, რაც მათვის საჭირო იყო. მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი არის ის გამჭრიახობა და შესანიშნავი კრიტიკული შეგნება, რომელიც გამოიჩინებ იაპონელებმა ამ შეთვისების დროს. ისინი მონურად როდი ბაძვდნენ — მათ გაარჩიეს სად იწყებოდა ნამდვილი საქმე, სად გარეგნობა, ოვალთათვის საამური... უმთავრესი ნიჭი იაპონელებმა გამოიჩინეს იმაში, რომ ეს კარგი (გაღმოღებული), მაგრამ უცხო შეითვისეს მათის თავისებურობის დაუჩავრებულად... საჭიროა განა ამის შემდეგ ვილაპარაკოთ იმ აფიცრების ლირსებაებზე, რომელთქმც ასეთი მშვენიერი სკოლა გამოიარეს? საილიუსტრაციოდ 1894—95 წლის ომი და 1900 წლის კოალიცია საკმარისზე მეტოდ.

უფრო ახალგაზღა აფიცრობა ნაკლებად მოსწონს რუს ავტორს, მაგრამ არა მათის სამხედრო ლირსების მიზეზით. სასაცილო მეგალომანიას, ნაადრევ სურვილებსა და გაუგებარ დაბრმავებას უკიუინებს ახალგაზღა აფიცრობას, მაგრამ თან დასძენს, რომ „ამ ნაკლიან ლირსებაც აქვს ახალგაზღობასო... ისინი მშვენიერი ჯარისკაცები არიან... ეროვნული გრძნობა, შეგნებული, გონიერი ვაჟკაცობა, შრომისა და ჯაფის გაძლება, თავდავიწყებული და მზრუნველი დამოკიდებულება უნცრობს ქმებთან — ამ მათი ლირსებები. იაპონელი აფიცრი არ დაშორებია უბრალო ჯარისკაცს, ე. ი. თავის ხალხს, და ეს ხომისანაქებო ლირსებაა ჯარისკაცისა... იაპონელი ჯარის კაცი არის ხორცი ხორცოგან და ძვალი ძვალთაგან იაპონელ ხალხისა; და ამ ხალხს კი არ შევიძლია არ უცქირო გულწრეული ტანაგრძნობითა და პატივისცემით. ჯერ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ეს ხალხი მეომარი ხალხია — მრიკვალ მაუკუნოების განმავლობაში ხმალი ხელთ ეპყრა და ებრძოლა დმეუბობლებს ან სახლში იბრძოდა... ამიტომ იაპონელს ურგარს დავატივოს სცემს სამხედრო საქმეს, ამიტომ იაპონელი ისტორიულად მოშადებულია ამ საქმისათვის,

კიდევ უფრო საყურადღებოა ის ძველი იაპონური კულტურა, რომლითაც ასე განირჩევა უბრალო იაპონელი სხვა. ხალხთა ამგვარსავე წარმომადგენლებისაგან... იაპონელი ერთი წუთიც კი არ არის უსაქმოდ. საქმიანობა მისი ორგანიული მოთხოვნიოდებაა... იგი მუშაობს საქმის სიყვარულით, არ ზოგავს არც დროს, არც თავის ხელებსა და გონებას, რომელიც თან და თან უფრო გამჭრიახი ხდება. იაპონელი ახერხებს ჩაბეროს სულ უბრალო ნაწარმოებს ესტეტიური იდეა, რომელიც ასულდგმულებს და აკეთილშობილებს ნაწარმოებს. როცა იგი ჯარისკაცად შედის, მოელი თავისი სიყვარული საქმიანობისა და უნარი შრომისა გადააქვს სამხედრო საქმეზე; იგი ეძლევა ამ ახალ საქმეს როგორც საყვარელსა და საპატიოს და არა ძალად ნაკისრისა და სამძიმოს. ჩვეულებრივ, ყოველ დღიურ ცხოვრებაში რომ ნახო იაპონელი ჯარისკაცი, კარგ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს — აკლია გარეგანი გაწვრთნილება: არ იცის რიგიანად ჩაუმა (ცოტა არ იყოს ევროპიული ფორმა აწუხების) და მიხერა-მოხვრაც შნოიანი არა აქვს. ხშირად ნახავთ იაპონელ ჯარის კაცს ქუჩაზე პაპიროსით პირში ან ყავახანაში ქუდ და ხმალ მოხდილი ქალს რომ გარშიყებოდეს; ამას აფიცირებიც ხედავთ, მაგრამ აქ ყველაფერს უბრალოების ბეჭედი ასვია... როცა კი საქმე საქმეზე მივა, ამ ჯარისკაცს არ დასჭირდება არც დისკიპლინალური დასჯა და არც მოვალეობის გახსენება.

ამას უნდა მივუმატოთ ის გარემოებაც, რომ საზოგადო განვითარებით იაპონელი ჯარის კაცი შესამჩნევად მაღლა სდგას. მას გათავებული აქვს დაბალი, საშუალო და ხშირად მაღალ სკოლის დასაწყისიც; იცის თავის ქვეყნის ისტორია, თანამედროვე პოლიტიკა, პარლამენტის და მინისტრების მოქმედება; წაუკითხავს სამხედრო ხელოვნების შესახები წიგნები; ჰკითხულობს და შეგნებულადაც ეკიდება წაკითხულს; წარმოდგენა-აქვს თავის „დიდ იაპონიის“ ისტორიულ დანიშნულებაზე და მხურვალედ თვალ-ყურს ადევნებს ამ დანიშნულების სისრულეში მოყვანას; ესეც განსუკუთრებული თვისებაა იაპონელისა. და

ყველაფერი ეს პეტრი იაპონელ ჯარისკაცისაგან არა ამა და  
ამ ნომრიან „ხიშტა“, არამედ ჯარის კაცის ისეთ ტიპს, რომე-  
ლიც ხელს უწყობს აფიცერს საქმის გონივრულ შეგნებით და  
გონივრულ მოქმედებით”...

იაპონია მარტო იმაზედ კი არ ჰყიქრობს, რომ მეზობ-  
ლად მდებარე ადგილები შეიძინოს და ამითი საკმაო ასპარეზი  
იქონიოს თავის ბუნებრივ ძალთა განსავითარებლად. „დიდი  
იაპონიის“ განზრახვები ბევრად შორს მიღიან, როგორც ერთ-  
ხელ კიდეც გვქონდა ნათქვაში. გათვითცნობიერებული იაპო-  
ნელი მარტო იაპონელად როდი გრძნობს და იცნობს თავს,  
იგი ამასთანავე მონგოლიც არის, ის მონგოლი, რომელსაც ეს  
ამოდენა ხანია ევროპიელი სისხლსა სწოვს. დაჩაგრულ თანა-  
მოძმეს ხსნა უნდა უცხოელთა დამამცირებელ ულლიდან. ვის  
შეუძლია ითავოს ეს დიდებული საქმე, თუ არ იაპონიას, მონ-  
გოლთა ერთად-ერთ სახელმწიფოს, რომელმაც შეიძინა ევრო-  
პის კულტურა და თან თავის-თავს მონგოლურ სახელმწიფოდ  
იცნობს, რომელმაც გააოცა მთელი ქვეყანა თავის სწრაფის.  
განვითარებით და ფარულ ძალთა გამოჩინებით? ეს აზრი მალე  
გავრცელდა იაპონიაში და ბევრი თანამგრძნობიც იშოვა. მალე  
დაარსდა მთელი გავლენიანი დასი შემუშავებულის პოლიტი-  
კურის პროგრამით და ენერგიულად შეუდგა ამ პროგრამის  
ხალხში გავრცელებას. მთავრობა და მიკადო გამსჭვალულია  
ამავე მიმართულებით და სადაც და როდესაც კი გაუვა, სცდი-  
ლობს მოიახლოვოს ის დრო, როცა აზია შეერთდება იაპონიის  
ჰეგემონიით (მეთაურობით) და თავს ისნის ევროპიელების  
მძიმე და ანგარ ბატონობისაგან. აზია აზიელებისათვის — აი დი-  
დებული და სამართლიანი დედა-აზრი შეგნებულ იაპონელების  
პოლიტიკურ მიმართულებისა. და ეს დედა-აზრი თავის სიდი-  
დით არაფრით არ ჩამოუვარდება არც ალექსანდრე მაკედო-  
ნელისა და ბერძნების ელინისტურ იდეას აღმოსავლეთში,  
არც იულიოს კეისრის და რომაელების რომანიზაციონულ  
პროგრამას დასავლეთში.

1903 წლის განმავლობაში კომბის სამინისტრო დიდის  
ენერგიით განაგრძობდა ბრძოლას კლერიკალისმთან. კლერი-

კალები და ნაციონალისტები, ბევრსა სცდილობდნენ სამინისტროს მდგომარეობის შეჩერევას, მაგრამ ვერას გახდნენ: პარლამენტის წევრების უმრავლესობა მტკიცედ აძლევდა მხარს კომბსა და უფრო და უფრო ამხნევებდა ბრძოლის განსაგრძობად.

გასულ წელს საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება იმდენად პრაქტიკულის მოქმედებით ვერ ისახელებს თავს, რამდენადაც მაღალ იდეიურის ბრძოლით. სულ მოკლე ხანში დიდი ცვლილება მოხდა საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: შოვინისმისა და რევანშის იდეების მავიერ თან და თან მეფეება კაცომიყვარეობისა და ადმინისტრის აზრები. ამ ათის წლის წინად ვინ გაბედავდა საფრანგეთში მაღლა ეთქვა—ჯარის გაძლიერებას თავი დავანებოთ, რადგან რევანშის იდეა მკვდარი და უსიცოცხლო არისო. გასულ წელს კი პირდაპირ გამოსთხვა ეს აზრები და ჯვარზე არავინ უცვით, თუმცა ნაციონალისტებშა, ჩვეულებისამებრ, დიდი ყაყანი ასტეხეს. მართალია, ნამდვილ დემოკრატების წინადადება არ მიიღო უმრავლესობამ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არ თანაუგრძნობდა მას: საფრანგეთს არ შეუძლია დაიწყოს ჯარების შემცირების საქმეო, ამბობდნენ მოწინააღმდეგენი.

უველა თანახმაა, რომ ალზას-ლორენის იარაღით დაბრუნება დღეს ჭკუაში არ მოდის საფრანგეთის ერს, მაგრამ პარლამენტის უმრავლესობას ვერ გაუბედნია ინიციატივა თავზე მიიღოს და ჯარების შესუსტების წინადადება მისცეს ევროპის სახელმწიფოებს: გერმანია მაშინვე იჯიქრებს, რომ ფრანგები ამას სისუსტით სჩაღიან და შესაძლებელია ისე მოიქცეს, რომ იმი აუცილებელი გახდესო.

როცა პრესანსე, უორესი, პიუბარი და სხვები თხოულობდნენ მილიტარისმის შემცირების კითხვის დაყენებას საფრანგეთის პარლამენტში, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ აღნიშნული პირები საბოლოოდ უარს ჰყოფდნენ ალზას-ლორენს. სრულიადაც არა: ოცდაათ წელზე მეტია რევანშის პოლიტიკა საშინელის სიმძიმით აწევს ხალხს და ალზას-ლორენის კითხვა ისევ

იქ. მდგომარეობაშია, როგორშიაც იმ თავითვე იყო; ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკა უვარესი და მავნებელია; კითხვის გადასაწყვეტად სხვა გზა უნდა იქნეს არჩეული, გზა მშვიდობიანი და ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპის შესაფერი.

როცა გერმანელებმა ფრანგები დაამარცხეს, ბისმარკზე ადრე სახელოვანმა ისტორიკოსმა მომზენმა გამოსთქვა აზრი, რომ დამარცხებულ საფრანგეთს უნდა ჩამოერთვას ალზას-ლორენი, როგორც გერმანელებით დასახლებული ქვეყანაო. მომზენს უპასუხა ფრანგების შესანიშნავმა ისტორიკოსმა ფიურელ-დე-კულანერმა: ტომით და ენით ალზასი გერმანელია, მაგრამ იგი ეკუთვნის საფრანგეთის ერს და ამ ერის განუყოფელი ნაწილი არისო. „სამშობლო ის არის, რაც ხალხს უყვარს. შესაძლებელია, რომ ალზასი ჩამომავლობით და ენით გერმანელი იყოს, მაგრამ სამშობლოს გრძნობით იგი ფრანგია. მერე იცით, რამ გახადა იგი ფრანგი? არა ლურ მეთოთხმეტემ, არამედ ჩვენმა დიდმა რევოლიუციამ: ამ დროიდან ალზასი ჩვენი ბედის მინაწილე იყო“. მაგრამ თავი დავანებოთ ისტორიას და ეხლანდელ მდგომარეობას მივუბრუნდეთო, ვანაგრძობს კულანერი: „ეხლა უკეთესი ხელმძღვანელი გვყავს, ვიღრე გარდასული ისტორია; ეს ხელმძღვანელია სამართალი, უფლება, რომელიც ბევრად უფრო ცხადი და უცილობელია, ვიღრე თქვენი გვარტომობა. ჩვენი პრინციპია, რომ ხალხის გამგებელი იყოს ისეთი დაწესებულება, რომელსაც თვითონ ხალხი მიიღებს თავისუფლად და რომ ეს ხალხი უნდა იქნეს იმ სახელმწიფოს ნაწილი, რომელსაც თავის ნებითა და ძალდაუტანებლად თვითონ აირჩევს. თი თანამედროვე პრინცი; იგი არის ერთად-ერთი საფუძველი ნამდვილ წესიერებისა და იგი უნდა აღიაროს უკელამ, ვინც მშვიდობიანობისა და კაცობრიობის პროგრესის მომხრეა. მიიღებს ამ პრინციპს პრუსია თუ არა, ეგ სულ ერთია—ბოლოს მაინც პრინციპი გაიმარჯვებს“.

აი, ამ პრინციპის გამარჯვებას სცლილობს საფრანგეთის დემოკრატია; მისი სურვილია შეჰქმნას ისეთი პირობები, რო-

კა ალზასს შეუძლება თავისუფლად, ძალდაუტანებლად გადა-  
სწყვიტოს, თუ რა სურს მას — საფრანგეთის ნაწილად გახდომა  
გერმანიის პროექტით ცარჩინა, თუ სრული დამოუკიდებ-  
ლობა.

გერმანიის დემოკრატიაც თანახმაა სავსებით კითხვის ასეთ  
გადაწყვეტისა. და სანამ ორივე მხრის დემოკრატია არ გაი-  
მარჯვებს, ამ საქმის მშვიდობიან და სამართლიან გზით გადა-  
წყვეტიაც შეუძლებელია.

ერთის მხრით იყო კიდევ შესანიშნავი საფრანგეთის პოლი-  
ტიკური ცხოვრება გასულ წელს: დემოკრატია იმდენს ეცადა,  
რომ საფრანგეთი დაუახლოვა შეურიგებელ მტრად მიჩნეულ  
ინგლისს — ინგლისსა და საფრანგეთ შორის დაიდო პირობა,  
რომლის ძალით ფანსაზღვრულ ხასიათის სადაც კითხვები  
სამედიატორო სამართლის გზით უნდა გადაწყდეს. ეს ფაქტი  
ორი მხრით არის დიდ მნიშვნელოვანი: ერთი მხარე პრინცი-  
პიალურია. საფრანგეთ-ინგლისს შორის დადებული ხელშექ-  
რულობა ერთი იშ ეტაპთაგანია, რომელიც დემოკრატიას უახ-  
ლოვებს მთავარ იდეის განხორციელებას — საერთა-შორისო და-  
მოკიდებულებანი დაუქვემდებაროს სამართალს და არა ცეცხლსა  
და მახვილს.

მეორე მხრით ამ ხელშექრულებას დიდი პრაქტიკული  
მნიშვნელობა აქვს არსებულ „კავშირებისათვის“.

როგორც ვიცით, ინგლის-იაპონიის ხელშექრულების გამო-  
ცხადებისთანავე, საფრანგეთ - რუსეთმაც გამოსცეს შესაფერი  
საპასუხო დეკლარაცია, სადაც გამოცხადებული იყო ამ ორ  
სახელმწიფოების ინტერესთა თანხმობა. ინგლისისა და საფრან-  
გეთის უკანასკნელი შეთანხმება ძალას უკარგავს ხსენებულ  
დეკლარაციას. შეუძლებელია, რომ ინგლის-საფრანგეთის დაა-  
ხლოების შემდეგ საფრანგეთი ენერგიულად ჩაერიოს შორეულ-  
აღმოსავლეთის საქმეში და ენერგიული დახმარება გაუწიოს  
რუსეთის პოლიტიკას იაპონია-ინგლისის წინააღმდეგ. რევანშის  
პოლიტიკა თავის ძალას ჰქარგავს და თუნდაც არ ჰქარგავდეს,  
არავის იმედი აღარ აქვს საფრანგეთში; რომ რუსეთი ალზას-

ლორენისათვის სამს გამოუცხადებს გერმანიას. ახლო აღმო-  
სავლეთში ბალკანეთზე და განსაკუთრებით მცირე აზიაში საფრან-  
გეთის და რუსეთის ინტერესები ძველის დროიდან აქამომდე  
ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. დარჩენილი იყო შორე აღმო-  
სავლეთი, სადაც ორ მოკავშირეს შეეძლოთ თანხმობით მოქმე-  
დება, რადგან რუსეთი ჩრდილოეთით მოქმედებდა და საფრან-  
გეთი სამხრეთით; გარდა ამისა საფრანგეთს ინგლისთან შუღლი  
ჰქონდა სიამის გამო. ეხლა, როგორც სჩანს, საფრანგეთი სია-  
მის საქმეშიაც მორიგებია ინგლისს და შორეული აღმოსავლე-  
თი, ეს ერთად-ერთი საასპარეზო ადგილი „ორთა კავშირისა-  
თვის“, გამოეცალა რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებულ მოქმე-  
დებას.

გასულ წელს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების მთავა-  
რი ფაქტი საპარლამენტო არჩევნები და არჩევნებში დემოკრა-  
ტიის გამარჯვება იყო. გერმანიის მთავრობა და რეაქციონე-  
რები ისეთ ეგოისტურ პოლიტიკას ადგნენ არჩევნებამდე, ისე  
დაუქვემდებარეს ხალხის ინტერესები ამ ხალხის ხორცმეტ ნა-  
წილის გაუმაძლრობას, რომ ხალხის გაბრაზება და დემოკრა-  
ტიის გამარჯვება ადვილი საწინასწარმეტყველო საქმე იყო,  
მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც — კერმანიის დემო-  
კრატიის გამარჯვება ისე ბრწყინვალე იყო, რომ მთელი ქვე-  
ყანა აალაპარაკა და ააყაყანა. გერმანიის პოლიტიკური პარ-  
ტიები ერთ ხანს გონის ვერ მოსულიყვნენ და ბოლოს, როცა  
დაინახეს ნამდვილი სახე საქმეთა მიმღინარეობისა, მეტად და-  
ფრთხენენ, და, გარდა ბარტიის პარტიისა, გადაწყვიტეს შეერ-  
თებულის ძალით შეპროლებოდნენ „სახელმწიფოს გამანად-  
გურებელ პარტიას“.

მართალია, გერმანიის რეიხსტაგის უმრავლესობა დღესაც  
დემოკრატიის წინააღმდეგ პარტიებს ეკუთვნის, დღესაც შე-  
უძლია ამ უმრავლესობა! ხალხის დარიბ ჯიბეს დააწვეს, მაგ-  
რამ საეჭვოა, რომ ხალხის ასეთ მანიფესტაციის შემდეგ ძველე-  
ბურის გაპელულებით მოიქცენ — ეგ ხომ საკრიტარ საფლავის

გათხრის დაჩქარება იქნებოდა. რაც უფრო ეკოისტურ პოლი-  
ტიკას დაადგებიან, რეაქციონური პარტიები, მით უფრო აღრე-  
გადავა მთელი ხალხი დემოკრატიის მხარეზე.

მეორე მოვლენა გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებისა, მოვლენა, რომელმაც მთელ ევროპის ყურადღება მიიპყრო, დემოკრატიულ პარტიის კონგრესი იყო.

მეტად დაშახასიათებელია ეს საერთო ყურადღება. პარტია, რომელსაც რაღაც ოცდაათის წლის წინად სულ ორი წარმომადგენ ელი ჰყავდა გერმანის იმპერიის რეიხსტაგში, დღეს ისე გაძლიერებულა, ისეთი მნიშვნელობა შეიქცნია, რომ პარტიის წარმომადგენელთა კონგრესის მთელ კატასზე და ყოველ დადგენილებას მთელი ეუროპა ადევნებს თვალ-ყურს.

რაც შეეხება დრეზდენის კონგრესის მნიშვნელობას თვით  
პარტიისათვის, მაინცა და მაინც საგანგებო არ ყოფილა. ცხარე  
ბრძოლა და კამათი იყო, დაუზოგველად ჰკიცხავდნენ და  
ლანძღვდნენ ერთმანერთს მოპირდაპირენი, დასასრულ „შეუ-  
რიგებლებმა“ და „მართლ-მორწმუნებმა“ გაიმარჯვეს, მაგრამ  
სინამდვილეს ვერ შესცვლის ვერც ცხარე კამათი, ვერც ლან-  
ძღვა-გინება და ვერც დადგენილება. სიტყვის ყოველის შემძ-  
ლებლობა არვის არ სწავს. საქმით კი ეგრედ წოდებულ „შეუ-  
რიგებლებსა“ და ოპორტიუნისტებ შორის განსხვავება არ არის:  
თავის პრაქტიკულ მოქმედებაში პარტიის ორივე მხარე ერთ  
და იმავე პროგრამით ხელმძღვანელობენ. პარტიის საბოლოო  
მიზანია რევოლუციონური, პრაქტიკული მოქმედება კი, რო-  
მელსაც ხალხი ამ მიზნისაკენ მიჰყავს, გერმანიაში დასებულ  
კანონიერ ნიაღვზეა დამყარებული.

ავსტრიია-ჰუნგრეთის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას გა-  
სულ წელსაც მხოლოდ ეროვნული ბრძოლა შეადგინდა.

ამ ბრძოლის უმთავრესი ფაქტი ავსტრიისა და პუნგრეთის გამწვავებული ბრძოლა იყო:

ავსტრიისა და პუნგრეთის შემაერთებელი წესი; ეგრძელ წოდებული დუალისმი მოძველდა: პუნგრეთი განვითარდა, გა-

ლონიერდა და ეხლა სრულ თავისუფლებას საჭიროებს. ეს სრული თავისუფლება კი სამეფო ტახტის უპირატესობათა შეკვეცაა. ამიტომაც გასულ წლის ჰუნგრეთის კრიზისი იყო ბრძოლა ჰუნგრეთის პარლამენტისა და სამეფო ტახტისა. მეფე ჯერ მედგრად დახვდა ჰუნგრელების მოთხოვნას, მაგრამ ამ მედგრობამ ისეთი მღელვარება გამოიწვია მთელ ჰუნგრეთში, რომ ფრანც-იოსები იძულებული გახდა დაეთმო: ჰუნგრეთის ჯარი ჰუნგრეთის პარლამენტის განკარგულებაში გადავიდა, გარეგნად, ფორმით ავსტრია ჰუნგრეთის ჯარი ერთია და ამ ერთი ჯარის მბრძანებელი იმპერატორი, მაგრამ ეს ეხლა ფიქცია; ნამდვილად კი ჰუნგრეთის ჯარი გამოეყო ავსტრიის ჯარს, იგი ეხლა ჰუნგრეთის ეროვნული ჯარია, ჰუნგრეთის პარლამენტის განკარგულებაში.

დიდი ბრიტანიის პოლიტიკური ცხოვრება ისევ ჩემბერლენითა და ჩემბერლენის სადამოუნო პროექტით იყო მოცული.

სხვა ქვეყნების ვაჭრობა-მრეწველობა იზრდება და ვითარდება, ინგლისისა კი ეცემა; ინგლისისის ერს განსაკლები მოელის; საჭიროა ენერგიული ღონისძიება საქმის გამოსაბრუნებლად. ასეთ ღონისძიებად ჩემბერლენსა და მის მომხრეებს პროტექციონისმი, მფარველობითი სისტემა მიაჩნიათ. დავადოთ ბაჟი უცხოელ საქონელს, როგორც ამას ამერიკა და გერმანია სჩადიან, უფრო დავუახლოვდეთ ჩვენ ახალშენებს და ჩვენი მრეწველობაც ისევ აყვავდებაო, გაიძახის ჩემბერლენი.

ოპოზიცია, ლიბერალები და დემოკრატები კი პროტექციონისმში ინგლისის დაღუპვას ხედავენ: დიდი - ბრიტანიის უმაგალითო განვითარება, მისი აღურიცხველი სიმდიდრე, შეუდარებელი ვაჭრობა და მრეწველობა შექმნა თავისუფალმა ვაჭრობამ და ეხლა ჩემბერლენს სურს შოსპოს ინგლისის დიდების ეს საფუძველით, ამტკიცებენ ჩემბერლენის მოპირდაპირენი.

უურნალ-გაზეთები, სახალხო კრებები, საპარლამენტო სხდომები განუწყვეტლივ პროტექციონისმზე და თავისუფალ ვაჭრობაზე მსჯელობენ,

მიუხედავათ ამისა, დიდი-ბრიტანიის პარლამენტმა მოა-სწორო ერთი შესანიშნავის კანონ-პროექტის განხილვა და დამ-ტკიცება. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დაიკვეთნის ასეთ დიდ მნიშვნელოვან კანონის შექმნას.

ირლანდიის საადგილმამულო კითხვა, მიზეზი საშინელ განხეთქილებისა ინგლისა და ირლანდიას შეუ, ისპობა; უინ-დგემის კანონპროექტით, სახელმწიფო აძლევს ფულს ირლან-დიელ გლეხებს მემამულეთაგან აღგილების შესაძენად. ფული სესხად ეძლევა გლეხს, მაგრამ სარგებელი ამ ფულისა არსებულ საიჯარო გადასახადზე მცირეა. ასე რომ ირლანდიელი გლეხი გადაიხდის წლიურად იმაზე ნაკლებს, რასაც აქამდე იხდიდა, და ბოლოს ადგილის მესაკუთრე ხდება.

საყურადღებოა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი კანონი კონ-სერვატიულ სამინისტროს ეკუთვნის, იმ კონსერვატიულ სამი-ნისტროს, რომელსაც, გარდა ძალმომრეობით პოლიტიკისა, ყველაფერი შურდა ირლანდიისათვის.

როგორ მოხდა ასეთი ცვლილება?

მთავარი მიზეზი თვით ირლანდიელების მოქმედებაა.

ხეეწინა-მუდარა, დაყვავება, მოწყალების თხოვნა რომ და-ეწყო ირლანდიას, აქამდე ვერაფერს მიაღწევდნენ. მათხოვარს არავინ არასცემს პატივს. პატივსაცემი ის არის, ვინც მეფერად, თავდადებულად იბრძის თავის უფლებისა და ინტერესები-სათვის.

ამ მხრივ ირლანდიელებმა სამაგალითო ნიჭი და უნარი გამოიჩინეს.

რაც უფრო მეტს დაგვითმობენ, უფრო მეტი უნდა მოვი-თხოვოთო, ამბობდნენ ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე-ები, სანამ საადგილ-მამულო რეფორმას და საკუთარ პარლა-მენტს არ შევძენთ ირლანდიასთ.

აგრარული რეფორმა მიღწეულია, დარჩა საკუთარი პარ-ლამენტის შოვნა. სრული იმედი და საფუძველია, რომ ამ მიზანსაც მაღვ მიაღწევენ.

როცა სახელოვანი ჩარლზ პარნელი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ირლანდიელ დეპუტატების მეთაურად პარლამენტში ისააკ ბიუტი იყო: ისააკ ბიუტი სულ იმის ცდაში იყო, ინგლისის პარლამენტი არ გაეჯავრებინა, და ამ გზით სცდილობდა ირლანდის ბედნიერების დამყარებას: ტკბილად მოვიქცეთ, ნუ გავაჯავრებთ ჩვენ მბრძანებლებს და ბოლოს უველაფერს მოგვცემენო. პარნელი შედავდა ამ საბრალო პოლიტიკას და მის შედეგს დამთელს თავის ძალ-ლონით დაეძგერა ინგლისის პარლამენტს: ირლანდის ერს ტყავს აძრობთ, მისთვის საპყრობილისა და სახრჩობელის მეტი არაფერი გემებით, მაგრამ დაგანახვებთ, თუ რა შეუძლია ხალხსა და მის ნამდვილ წარმომადგენლებსო. აასრულა კიდევ თავის მუქარა.

სულ მოკლე ხანში ამ მედგარ და შეურიგებელ პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ მხურვანი გლადსტონი მთელ თავის პარტიით ირლანდიელების მხარეზე გადაჭიდა, ისააკ ბიუტს სიზმარშიაც არ მოეჩვენებოდა ასეთი ამბავი.

პარნელის შემდეგ ირლანდიელების ბრძოლას იგივე შეურიგებელი ხასიათი ჰქონდა და პირველი დიდმნიშვნელოვანი შედეგიც ხომ ვნახეთ. მეორესაც მალე მოვესწრებით.

აბაშიძე კიტა. — ეტიუფები ქართულის ჭირერატურულიდან. — წერილი  
მეშვიდე. № XI, XII.

არაგვისპირელი მ. — ჩემი პარველი სიყვარული (ეტიუდი) № I.  
აღხაზიშვილი ილ. — ბიბლიოგრაფია. № XII.

ბარხოვა გ — უძღვი. — მთხოვთ ბა № IV.

— მრუდე მსხალი. — მთხოვთ ბა № X.

გაჩეჩილაშვილი ს. — მეფე სიცონიშვილი დიდი და რასტომ, რ. ჭას ერასთა-  
ვი. — დასამატოული პოემა საფხური თქმულებიდან № XI, XII.

გერვანიშვილი. — მეფე ლირი. № I და V.

გორგი მ. — ს. მხა. — თარგმანი ი. პოლუმირდვინოვისა. № I, II, III,  
IV, V, VI და VIII.

გრიბოედოვი ა. — ვაი ჭერისაგან. — თთხ მოქმედებიანი კომედია,  
თარგმ. განდეგილისა. № I.

გოუ ღე მოსახსანი. — შების დამეს. — თარგმანი ი. ზურაბიშვილისა  
№ XII.

დამოუკიდებელი. — „წმინდა ქართული“-ს ვერ ქართულთა და საჭი-  
რო დასკვნა № IV.

დუმეუ მეგრელი. — დაშორებული. — (მთხოვთ ბა). № II.

დოლი კონან. — როგორ დაიხსნა ბრიგადურმა ჯარი. — თარგმანი  
ებ. მე — ს. № VI.

დოდე ალე. — მასკერპლი. — კომედია სამ მოქმედებად, თარგმა-  
ნი ინახისა. № IX, X, XI.

გმრასი. — ერთი მრავალთავის. — მთხოვთ ბა, თარგმანი ეპ. გაბა-  
შვილისა. № V.

იბსენი ჰენრი. + საჭხის მტერი ანუ ექიმი შტაკმახი. — ხეთ მოქმე-  
დებიანი დრამა, თარგმანი იგ. პოლუმირდვინოვისა. № IV,  
V, VI, VII და VIII.

გლდიაშვილი ა. — მოკლე შინერალური ქაშა. — თეატრეტიოვლი ნა-  
წილი. № X, XII.

გარგარინი ბე. ძღვ. ივ. — თრიოდე სოტევა სენტურ ენის შესა-  
ხებ. № VII.

მილო აქტავი. — ბრძოლის უფლის. — მთხოვთ ბა, თარგმანი თ. ს.  
№ VIII, XI, XII.

ძირითადად აღ. — ქართული ფრთხოები სიტყვები. № IV.

მთავრობის განკარგულება № IX.

ოუკეშეთ. — მომენტი. — თარგმანი აფ. სოფლის მემკვიდრეობა № III.

ჰაფფი. — ხენთი. — რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასკნელ  
ომის დროის ისტორიული რომანი. (თარგმანი სომხურ  
რიდან) ბ. ევანგელიკის. № I, II და III.

სუმბათაშვილი თავ. ა. — ღაფატი — ღრამატიული ლეგენდა-ღრამა ხუთ-  
მოქმედებად საქართველოს წარსულიდან, თარგმანი გ. მეს-  
ხისა. № XI.

ცარასი. — ქათახევის მონასტრის გუჯარი. — წარმოდგენილი № IX.

ფრანგი იგ. — ნაძირალი. — თარგმანი ს. ეიფინისა. № VII და VIII.

ფონ-ბოლენცი გილბერტ. — გლეხი კარი. — რომანი, თარგმანი იგ.  
შოლუშირდვინონის. № IX, X, XI და XII.

ქვარიანი ს. — შეთა რუსთაველი და მისი პეტერი — № VII და VIII.

ჯანაშვილი მთხვე. — ქართველთა მატიანე. — № II, III, IV, V და VI.

### უცხოუთის მიმოხილვა.

საფრანგეთი. — ეორევის სიტყვა. № II.

1. კლერიკალისმი და დემოკრატია. — 2. ინგლისის საქმეე-  
ბი. — 3. ბალკანეთი. — 4. ოპორტიუნისმი. № III.

1. დრეიფუსის საქმე და დემოკრატიის ძალა საფრანგეთ-  
ში. — 2. მომავალი აზჩევნები გერმანიაში. — 3. ისპანია. № IV.

1. ბელგრადის დრამა. — 2. გერმანიის საპარლამენტო აზჩევ-  
ნები. — 3. კიდევ ეპიტონისმი. № VI.

მაკელონიის საქმე: ახალი აჯანყება, ბერძნების სამარცვი-  
ნო ქცევა, აჯანყებულების პროცესი, ბოლგარია და მაკე-  
ლონია, ვის შერჩევის წუთისოფელი. ავსტრია და ოსმა-  
ლები. № VIII.

1. შორე აღმოსავლეთი. — 2. ბალკანეთი. — 3. ახალი საერთა-  
შორისო მდგომარეობა. — 4. დანარჩენის პარტაიტაგი. — 5.  
ერთი სამრეწველო დაწესებულება. № IX.

1. ჰუნგრეთი და ავსტრია. „კვალის“ შეცდომა. — 2. მან-  
ჯურია. — 3. კიდევ „საერთო ნიადაგი“-ი გამო. № X.

1. ახალი რესპუბლიკა. — 2. ერთი პროცესი. № XI.

უცხოეთი 1903 წელს. № XII.

დამატება. — საბერძნების ძეგლი ისტორია დასწურისიდან დამთუქმდე-  
ბლობის დაკარგვამდე. — ფრანგულის ნათარგმნივ. და — სა.  
№ I, II და III.